თეა ქუთათელაძე

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ინტერიერების მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერა ქ.თბილისში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა - არქიტექტურათმცოდნეობა

შიფრი 1007

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თბილისი, 0175, საქართველო

2015

საავტორო უფლება © 2015 წელი თეა ქუთათელაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით თეა ქუთათელაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: “საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ინტერიერების მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერა ქ.თბილისში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე” და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

- - - - - - - - - - - - 2015 წელი

თანახელმძღვანელები: პროფესორი გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილი

პროფესორი ლევან ბერიძე

რეცენზენტი:_____

რეცენზენტი:_____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2015წ

ავტორი: თეა ქუთათელაძე

დასახელება: საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ინტერიერების მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერა ქ.თბილისში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

ფაკულტეტი: არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ხარისხი: ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიური დოქტორი

სხდომა ჩატარდა:

- -

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ახალ მასშტაბებსა და ტემპებს მივყავართ ქალაქის ძველი არქიტექტურის იერსახის შეცვლასთან. ირღვევა ქალაქისათვის დამახასიათებელი ელემენტებსა და სტრუქტურას შორის ჰარმონიულობა, მისი ესთეტიკური აღქმა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ადამიანი მიისწრაფის შეინარჩუნოს ძველი, ტრადიციული ფორმები და ეძებს ამის განხორციელების გზებს.

კვლევისათვის არჩეულია ისტორიული თბილისის ის პერიოდი, როცა ფეოდალური ქალაქი გარდაიქმნებოდა კაპიტალისტურად, აზიურიდან - ევროპულად. ამ პერიოდის არქიტექტურა განსხვავებით მისი ისტორიის სხვა პერიოდებისაგან ძირითადად შემორჩენილია დღემდე. მათი ნაწილის შესახებ წარმოდგენა ასევე შეიძლება ვიქონიოთ შემორჩენილი გეგმებით, ნახაზებით, გრავიურებითა და ფოტოებით. ნაშრომში ძირითადად ის უბნებია განხილული სადაც თავმოყრილის თბილისის არქიტექტურული სპეციფიკა. კალა, თბილისი (სეიდაბადი), ისანი (ავლაბარი), გარეთუბანი, დავით აღმაშენებლის გამზირი და მისი მიმდებარე ტერიტორია.

განხილულია რიგა-ბაქო-თბილისის მოდერნის სტილის ნაგებობები, მათი სადარბაზოების ინტერიერები და ფერწერა. აღსანიშნავია, რომ ყოველ მათგანში იგრძნობა ადგილობრივი ტრადიციებისა და კულტურის გავლენა როგორც შენობების არქიტექტურაზე, ისე მათი სადარბაზოების ინტერიერებსა და ფერწერაზე.

განხილულია თბილისში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები, მათი ინტერიერების მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერა. დაფიქსირებულია ხუთ ათეულზე მეტი ნაგებობა.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შედგენილი იქნა განხილული ობიექტების სია მისამართებით და ისტორიული მონაცემებით (აშენების წელი, არქიტექტორი) და მათი დისლოკაციის რუკა. რამაც შეიძლება გამოყენება ჰპოვოს სხვა მკვლევარებისა და ტურისტული სააგენტოების მიერ.

SUMMARY

New scales and paces lead us to the transformation of an appearance of an old architecture of the city. Harmonicity between the elements and structure, characteristic for the city, its esthetic perception is violated. At the same time it should be noted, that a human being strives for keeping the old, traditional forms and searches for the ways of its implementation.

Such period of a historical Tbilisi is selected for a research, when a feudal city had been turned into a capitalist city, from Asian into European. Unlike other periods of its history, the architecture of this period mainly had been reserved up to date. We can learn the part of them by the old plans, drawing, engravings and photos. In this paper mainly are discussed those districts, where there is concentrated the architectural specific character of Tbilisi. Kala, Tbilisi (seidabad), Isani (Avlabari), Garetubani, David Aghmashenebeli Avenue and the surrounding area.

Riga-Baku-Tbilisi modern style buildings, their entrances' interiors and paintings are discussed. It should be noted, that in each of them we can feel an influence of local traditions and culture on the architecture of the buildings and on their entrances' interiors and paintings as well.

Residential buildings and public institutions, constructed on the threshold of XIX-XX centuries, monumental-decorative paintings of their interiors are discussed. More than five dozen buildings are recorded.

On the bases of the conducted research, the list of addresses and historical data (date of construction, architect) of the discussed objects and their dislocation maps were drawn, which can be applied by other researchers and touristic agencies.

შინაარსი

შესავალი- - - -

შესავალი

თანამედროვე, სწრაფად განვითარებად მსოფლიოში, ურბანიზაციის, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების და ტექნიკური მიღწევების ფონზე, ადამიანს სულ უფრო ეუფლება ესთეტიურად მიმზიდველ, მხატვრულ გარემოში ყოფნის სურვილი.

თანამედროვე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების დაპროექტების და მშენებლობის პროცესში ძირითადი ყურადღება ეთმობა მათ ფუნქციონალურ სრულყოფას და გარეგნულ იერს. რაც შეეხება ინტერიერს, ყურადღება ძირითადად გადატანილია საზოგადოებრივ შენობებზე, საცხოვრებელი სახლის საზოგადოებრივ სივრცეს (სადარბაზოს) ჩვენთან არ ექცევა სათანადო ყურადრება.

სახლის მაცხოვრებლები ზრუნავენ მხოლოდ საკუთარი ბინის ინტერიერის შეკეთებაზე და გაფორმებაზე ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, რომ მიაღწიო ძვირად ღირებულ, ე.წ. „ევრორემონტით“ გაფორმებულ ბინას, უნდა გაიარო უღიმღამო, მოუვლელი, ყოველგვარ ესტეტიურ ღირსებას მოკლებული სადარბაზო.

ასეთი მიდგომა საცხოვრებელი სახლებისადმი დაინერგა საბჭოთა პერიოდში და, სამწუხაროდ აისახა მოსახლეობის მენტალურ დონეზე, არადა ისტორიულად, სადარბაზო ასრულებდა საცხოვრებელი სახლის სავიზიტო ბარათის როლს, ანიჭებდა მას პრესტიჟულობას, ამიტომ მისი ინტერიერი იყო მდიდრულად გაფორმებული არქიტექტურული დეტალებით და ფერწერული ნამუშევრებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დადგა დრო შემოვაბრუნოთ ეს არაჯანსაღი ტენდენცია და აღვადგინოთ ისტორიულად არსებული ტრადიციები.

ბუნებრივია, რომ დღევანდელი მიდგომა ამ საკითხისადმი განსხვავებული იქნება ისტორიულად შემორჩენილი კულტურული მემკვიდრეობის გადაწყვეტებისაგან. გამომდინარე აქედან დისერტაციაში განხილულია, თანამედროვე მიდგომა და მოყვანილია სათანადო მაგალითები.

მუშაობის დროს გამოიკვეთა ის აზრი, რომ არასწორი იქნებოდა, შენობების შიდა საზოგადოებრივი სივრცეების ინტერიერების შესწავლა მათი ქალაქში ადგილმდებარეობის, ისტორიული უბნების იმ არეალის დახასიათების გარეშე, სადაც გავრცელება ჰპოვა მოხატულმა შიდა საზოგადოებრივმა სივრცეებმა.

ამიტომ ნაშრომში განხილულია თბილისის შესახებ ისტორიული და საარქივო წყაროები ანტიკური პერიოდიდან XX საუკუნის ოციან წლებამდე.

აღნიშნული სამუშაოს მიზანია:

- ძველი თბილისის შენობების შიდა საზოგადოებრივი სივრცეების, სადარბაზოების მოწყობის, გაფორმების და მოხატულობის პრინციპების განსაზღვრა, თანამედროვე შენობების ანალოგიურ სივრცეებთან მათი შედარება და დღევანდელი პროექტირების პრაქტიკისთვის დასკვნების გამოტანა.
- შემოუნახოს მომავალ თაობებს XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე თბილისში არსებული საცხოვრებელი და საზოგადო შენობების არქიტექტურა და მათი ინტერიერების მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერა.
- ამ თემატიკასთან დაკავშირებული საკითხების სისტემატიზაცია, მათი კომპლექსური ანალიზი.

თემის აქტუალურობა განპირობებულია ადამიანისთვის არა მარტო არქიტექტურულ-კონსტრუქციული და ფუნქციონალურად გამართლებული საარსებო გარემოს განხილვით, არამედ, ესთეტიურად მისაღები, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სივრცის შექმნის აუცილებლობით და ეს უნდა ეხებოდეს შენობის ყველა გეგმარებით ელემენტს, მათ შორის სადარბაზოებს, რომლებიც წარმოადგენენ ამ შენობის სავიზიტო ბარათს.

ნაშრომის სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ

- შიდა საზოგადოებრივი სივრცეები, მათ შორის სადარბაზოები, მათი ინტერიერების მოწყობა–გაფორმება, განიხილება არა განყენებულად, არამედ ქალაქში მათი ადგილმდებარეობის კონტექსტში.

- მოცემულია ისტორიული უბნების იმ არეალის დახასიათება, სადაც გავრცელება ჰპოვა მოხატულმა შიდა საზოგადოებრივმა სივრცეებმა.
- ასევე სიახლეს წარმოადგენს არა მარტო ისტორიული შენობების სადარბაზოების შესწავლა, არამედ თანამედროვე მაგალითების განხილვაც.

კვლევის მეთოდიკა მდგომარეობს მეცნიერული კვლევების, ტექნიკური და ისტორიული ლიტერატურის, ჩანახატების და ფოტო მასალის (მათ შორის ავტორის მიერ შესრულებული) შესწავლასა და ანალიზში.

პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც რესტავრაციის, რეკონსტრუქციის და კონსერვაციისათვის, ასევე ძველ თბილისში მშენებარე ნაგებობებისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი სტანდარტულობა და სრული მსგავსება სხვა უბნების ან ქალაქების არქიტექტურულ შენობებთან.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. დისერტაცია შედგება შესავლის, ორი თავისა და ზოგადი დასკვნებისაგან. ნაშრომი მოიცავს 196 ნაბეჭდ გვერდს, მათ შორის 94 გვერდზე დანართები, 48 ილუსტრაციას, 62 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის და ინტერნეტრესურსის ნუსხა.

ლიტერატურის მიმოხილვა

თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია მისი 1500 წლოვანი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიასთან.

არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ თანამედროვე თბილისის ტერიტორია და გარეუბნები დასახლებული იყო ენეოლითურ ხანაში 5-6 ათასი წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. III-II საუკუნეებში თბილისს ქონდა კულტურისა და ეკონომიკის მაღალი დონე, მრავალრიცხოვანი სავაჭრო კავშირები, როგორც მეზობელ ქვეყნებთან ისე, ბაქტრიასთან, პარფიასთან, რომთან და ბოსფორთან. ქალაქის შემდგომი ზრდისათვის მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა მის გეოგრაფიულ მდებარეობას, რადგან აქ გადიოდა სავაჭრო გზა, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთთან და დასავლეთთან აკავშირდება.

ისტორიული მასალები იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ციხე-გალავნები არსებობდა ანტიკურ პერიოდში I-IV საუკუნეებს შორის. ერთ-ერთი უძველესი მოწმობა თბილისის შესახებ არის ჩვენამდე მოღწეული საგზაო რუკა, შედგენილი რომაელი გეოგრაფის კასტოიუსის მიერ IV საუკუნეში. თბილისი, როგორც ციხე-ქალაქი პირველად ქართულ დამწერლობაში მოიხსენიება IV საუკუნეში [12].

ფეოდალური ურთიერთობების განვითარებამ, ეკონომიურმა და სოციალურმა ძვრებმა მოამზადა ციხე-ქალაქი სავაჭრო-ხელოსნობის ცენტრად. დასახლებული პუნქტების განვითარებას და მისი ქალაქად, ხოლო მომავალში დედაქალაქად ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მას ქონდა ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა, იცავდა საქართველოს უძველეს დედაქალაქს მცხეთას. თბილისის განლაგება ხელს უწყობდა მის კულტურულ-ეკონომიურ განვითარებას. იმყოფებოდა რა ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ქალაქი ადვილად უკავშირდება საქართველოს და ამიერკავკასიის ყველა კუთხეს.

შემთხვევითი არ არის, რომ ვახტანგ გორგასალმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ამ ქალაქს. მასვე ეკუთვნის საქართველოს დედაქალაქის თბილისში გადმოტანის იდეა. ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების შემდეგ მისმა შთამომავალმა დაჩიმ გააგრძელა დაწყებული საქმე, დაასრულა თბილისის გალავნის კედლები და მამის სურვილისამებრ იგი სამეფო ქალაქად აქცია [17].

ამრიგად IV საუკუნეში თბილისი - ადრეფეოდალური აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ანუ დედაქალაქია. უძველესი ცნობები უცხოურ წყაროებში თბილისის, როგორც დედაქალაქის შესახებ ეკუთვნის ბიზანტიელ ისტორიკოსს თეოფანეს.

თბილისი თანდათან გადაიქცევა საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად. უკვე VI საუკუნეში აქ ყალიბდება საეპისკოპოსო. VI-VIII ს-ში ქალაქში იყო მნიშვნელოვანი ნაგებობები, შემორჩენილი თუნდ გადაკეთებული სახით ჩვენამდე, სიონის ტაძარი, ანჩისხატი და სხვა.

თავდაპირველად მოსახლეობა გაჩნდა თბილი წყაროების რაიონში (გოგირდის აბანოები) მისი სახელიც ხომ აქედან წარმოსდგა. თბილისი როგორც ფეოდალური ქალაქი შედგებოდა ციხე-ქალაქისაგან, ქალაქი გარშემორტყმული იყო გალავნით [9].

IV-VI საუკუნეებში სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი გადიოდა ამჟამინდელ სამას არაგველთან. ჩრდილო-აღმოსავლეთით ქალაქს ერტყმოდა მდ. მტკვარი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ მხრიდან მთა თაბორის ფერდობები, ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან - მდინარე წავკისის-წყალი (დაბახანა). IV-ს-ში აგებული იყო კალას ციხე, რომელიც დღესაც ქალაქს გადმოყჰურებს.

ქალაქი იზრდებოდა მტკვრის ნაპირების გასწვრივ. VII საუკუნეში ქალაქის ჩრდილოეთი საზღვარი მიდიოდა დაახლოებით ბარათაშვილის ქუჩამდე. ძველთაგანვე იყო დასახლებული ისანი (მტკვრის მარცხენა ნაპირი - ავლაბარი). იმ ადგილას, სადაც მტკვრის კალაპოტი მკვეთრად

ვიწროვდება მეტეხთან და იყო გადებული ხიდი, რომელიც აერთებს კალას თბილისს და ისანს.

თბილისის ისტორია ომებისა და მშვიდობიანი დღეების, ნგრევისა და შენების, დაცემისა და გაფურჩქვნის კალეიდოსკოპური ცვლილებებია. არაბთა ბატონობის დროს (VII-Xსს) თბილისი გახდა ჩრდილოეთით მათი დასაყრდენი პუნქტი და არაბთა ამირას რეზიდენცია [6-7].

თბილისი არაბთა ბატონობისაგან გათავისუფლდა დავით IV აღმაშენებლის მეფობის (1089-1125) დროს 1122წ. ამ დროიდან თბილისი ხდება ძლიერი ფეოდალური სამეფოს დედაქალაქი, დაიწყო ქალაქის სწრაფი ზრდა.

XII-XIII საუკუნეებში თბილისი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი დიდი და კეთილმოწყობილი ქალაქია, ძველი ციხე გალავნებით. სამეფო სასახლე იყო ისანში. XII-XIII საუკუნეებში ქაშუეთის ეკლესია და ლურჯი მონასტერი ქალაქის საზღვრებში იყო.

XII-XIII საუკუნეებში თბილისი იყო ქართული შუასაუკუნოვანი კულტურის მსხვილი ცენტრი, რომელმაც იმ დროს განვითარების ზენიტს მიაღწია. XIII ს-ის 30-იან წლებში ჯალალედინის შემდეგ მონღოლთა ურდოების შემოსევამ თბილისის მშვიდობიანი განვითარება დაარღვია, ხოლო 1386-1403 წლებში თემურლენგის 8-ჯერადმა შემოჭრამ ქალაქი ძლიერ დააზარალა, ნგრევით და გაღატაკებით სიკვდილის პირამდე მიიყვანა [20].

XV ს-ში თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, საქართველო დიდი ხნით ჩამოცილდა კულტურულ სამყაროს, შემცირდა ვაჭრობა და ხელოსნობა, ქალაქმა დაკარგა ყოფილი ბრწყინვალება. XVI ს-ში თბილისი თურქეთისა და ირანის მეტოქეობის ასპარეზი გახდა, დაუსრულებელმა ომებმა შეაჩერა ქალაქის განვითარება. XVII ს-ის 30 წლებიდან მდგომარეობა შეიცვალა. დროებითმა შესვენებამ გამოიწვია თბილისის კვლავ აღოძინება, აღდგა სავაჭრო კავშირები. 1709 წელს დაარსდა პირველი ტიპოგრაფია. წარმოიშვა ინტილიგენცია [4].

გვიანდელი ფეოდალური ხანის თბილისის არქიტექტუტაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ შემორჩენილი ჩანახატებით (ჟან შარდენი, ტურნეფორი) და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი (1735) ქალაქის გეგმითა და აღწერით.





გეგმის ვახუშტისეული დედანი რედაქტირებული ვერსია (1990 წ.)

1795 წლიდან ქალაქს შემოესია აღა-მახმად-ხანი, თბილისმა კიდევ ერთხელ განიცადა ნგრევა, ხანძარი, გაღატაკება, მაგრამ ჩქარა აღა-მახმად-ხანი იძულებული იყო დაბრუნებულიყო ირანში, თბილისმა კვლავ დაიწყო აღდგენა [10].

სანდო დოკუმენტი, რომელიც გვაძლევს XVIII-ის თბილისზე წარმოდგენას ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი ქალაქის გეგმაა. როგორც გეგმა, ასევე მისი აღწერა თვალსაჩინოდ გვაჩვენებს რაიონებისა და ნაგებობების საზღვრებს XVIII ს-ის 30-იან წლების თბილისში. ქალაქი იყოფოდა 3 ძირითად ნაწილად 1) კალა, 2) სეიდაბადი, რომელიც იმ დროს უკვე იწოდებოდა „თბილისად“, 3) ისანი (მას ეწოდებოდა ავლაბარი, ავლაბარი არაბული წარმოშობის სიტყვაა, რაც ნიშნავს სასახლის გარშემო არსებულ ადგილს).

კალა იყო ქალაქის ძირითადი ნაწილი. აქ იყო მეფის და დედოფლის სასახლეები, ეკლესიები, საკათედრო ტაძარი, ქარვასლა და სხვა მნიშვნელოვანი დანიშნულების შენობები. ქალაქს 6 კარიბჭე ჰქონდა და გარშემორტყმული იყო გალავნით.

ქალაქის მეორე ნაწილი თბილისი ანუ სეიდაბადი მოთავსებული იყო კალას სამხრეთ აღმოსავლეთით და იკავებდა ამჟამინდელ აბანოთუბანს.

მესამე - ისანი მტკვრის მეორე ნაპირთან იყო დაკავშირებული ერთადერთი ხიდით. ქალაქის ამ ნაწილის არქიტექტურული აქცენტი იყო მეტეხის ეკლესია (საყდარი). გარდა ამ სამი რაიონისა იყო სხვა მჭიდროდ დასახლებული რაიონები გარეთუბანი, ჩუღურეთი [18].

ვახუშტის გეგმაზე სხვადასხვა შენობა და ფორტიფიკაციური ნაგებობებია დატანილი. იმდროინდელი საცხოვრებელი სახლები არ შემორჩა, ამიტომ მათზე წარმოდგენა წერილობითი წყაროებიდან შეიძლება ვიქონიოთ, რომლებიც იმაზე მეტყველებენ, რომ ასახავენ მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციას.

საცხოვრებელი სახლები ძირითადად ქვისგან აგებული და შელესილი იყო. ეს ერთსართულიანი სახლები ბრტყელი გადახურვით (ბანი) განლაგებული იყო საფეხურისებრ, ისე რომ შეიძლებოდა ერთი ბანიდან სხვაზე გადასვლა. თბილისში იყო ქართლისა და კახეთის მეფეებისა და ფეოდალ-დიდებულთა სახლები. ფეოდალური არისტოკრატიის სახლები მკვეთრად განსხვავდებოდა სხვა ფენის მოსახლეობის სახლებისაგან. მეფის სასახლე იყო ძალზე ლამაზი, მოპირკეთებული მარმარილოთი და მოხატული ოქროთი და სარკეებით. მდიდრულად იყო მორთული შეძლებული ქალაქელების დარბაზები, ქარვასლები, აბანოები [1-4].

1845-1917 წლებში თბილისში იყო ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი და მთავარმართებლის რეზიდენცია. საქართველო ერთვება კაპიტალისტურ ურთიერთობებში. XIX ს-ის დასაწყისში ჩნდება ახალი გზები, იზარდება სავაჭრო დაწესებულებების, სახელოსნოების რიცხვი, გამოცოცხლდა ვაჭრობა. სამრეწველო კაპიტალმა თანდათან გამოდევნა დრომოჭმული ამქრები [20].

ბურჟუაზიული ქალაქის კულტურის განვითარება ახალი გზით დაიწყო. იხსნება სასწავლო დაწესებულებები, ჩნდება ბეჭდითი

პერიოდული გამოცემები. XIX ს-ის მეორე ნახევრიდან განახლდა ქართული თეატრი და წარმოიშვა რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, ობსერვატორია, მუზეუმები, სასოფლო სამეურნეო და გეოგრაფიული საზოგადოებები [25].

XIX ს-ში მნიშვნელოვნად გაიზარდა თბილისის ტერიტორია. ამ საუკუნის დასაწყისში იყო განადგურებული გალავანი და ჭიშკარი. გაჩნდა ახალი რაიონები სალალაკის ბაღების ადგილზე (ამჟამინდელი რუსთაველის პროსპექტი), კუკია, ჩუღურეთი, ვერე, დიდუბე, ნავთლუღი და სხვა. ქალაქის ცენტრმა გადაინაცვლა გარეთუბანში. კეთილმოწყობილ ქალაქის ცენტრში გაჩნდა ოფიციალური (საზოგადო) შენობები და საცხოვრებელი სახლები და ეს რაიონი გახდა არისტოკრატიული, გამოცოცხლდა მშენებლობები, XIX ს-ის 30-იანი წლების შემდეგ, როცა დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობები, გამოცოცხლდა (აღდგა) კულტურული ცხოვრება [39].

მტკვრის მარჯვენა ნაპირი, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ვარაზის ხევამდე და მდინარე ვერემდე იყო საცხოვრებელი სახლებით განაშენიანებული.

XIX საუკუნე თბილისის ისტორიაში საინტერესოა არა მხოლოდ მისი ტერიტორიული ზრდით, არამედ იმითაც, რომ ქალაქმშენებლობაში პირველად გაჩნდა რეგულარული გეგმარება. ფეოდალურ ეპოქაში მშენებლობები იყო სტიქიური ხოლო XIX საუკუნუდან მშენებლობა ექვემდებარებოდა გარკვეულ წესებს. ახალი რაიონები წინასწარ იგეგმებოდა, დგინდებოდა ქუჩების მიმართულება და სიგანე. ძველი თბილისის ქაოსური რაიონების გვერდით ჩნდება ელემენტარულად კეთილმოწყობილი პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩების ქსელი. მაგრამ ამ ინტენსიური მშენებლობის პერიოდში არ არსებობდა ქალაქის ერთიანი გეგმა, მისი გეგმარების ერთიანი არქიტექტურული იდეა. ქალაქის საერთო მხატვრული სახე ხშირად დამოკიდებული იყო შემთხვევით

ფაქტორებზე, ქალაქის რელიეფი და ბუნება თავისებურ კვალს ტოვებდა [35,36,41].

XIX ს-ის არქიტექტურამ შეცვალა არა მხოლოდ ქალაქის გეგმა, არამედ თვით საზოგადო შენობების სახე. ადმინისტრაცია ნერგავდა თბილისში გვიანი კაპიტალიზმის ფორმებს, მას არ ქონდა არაფერი საერთო ქართულ არქიტექტურასთან.

სხვაგვარად მიმდინარეობდა საცხოვრებელი სახლების მშენელობა. ამ პერიოდის თბილისში ჩამოყალიბდა საცხოვრებელი სახლების სრულიად თავისებური ტიპი, მათ ფასადებში დამკვიდრდა კლასიციზმის ფორმები. მაგრამ თბილისის ბუნებრივმა პირობებმა, შენების მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ და თავისებურმა ყოფამ ამ სახლებს განუმეორებელი იერსახე მისცა. საფუძველი კლასიკური ფასადებია, ირთვებოდა ხის დახურული მოჩუქურთმებული აივნებით, სახელურებითა და თაღებით. გაჩნდა დერეფნები ფერადი მინებით, დახურული გარე კიბეებითა და გადასასვლელებით. თავისებურებას წარმოადგენდა ამ თბილისური საცხოვრებელი სახლების გეგმაც: აივნებს, ტერასებს ხშირად ეკავა მეტი ფართობი ვიდრე ოთახებს. განსაკუთრებით დამახასიათებელი სახლები იგებოდა ქალაქის ძველ უბნებში, სადაც მიწის ნაკვეთების სივიწროვე და სიმრუდე განსხვავებულ ფორმებს ანიჭებდა საცხოვრებლებს. ხშირად ამ სახლებთან იყო პატარა ეზოები, რომლებიც თავისებური ვესტიბულის როლს ასრულებდა. ეს სახლები არაჩვეულებრივად ლამაზია და ბევრი მათგანი მეტყველებს მათი მშენებელი ოსტატების მაღალმხატვრულ გემოვნებაზე [43].

ნაგებობები, სადაც ადგილობრივი ტრადიციები ორგანულად ერწყმის კლასიციზმის ფორმებს ქმნის ძველი თბილისის განუმეორებელ სახეს. ისინი გვხვდება არა მხოლოდ კალასა და ისანში, არამედ იმ რაიონებშიც, რომლებიც XIX ს-ის 60-იან წლებში ინტენსიურად შენდებოდა: სოლოლაკში, მთაწმინდის ფერდობებზე, კუკიასა და ჩუღურეთში.

არც თუ ადვილად ხდებოდა თბილისის იერსახის ცვლილება, როგორც არქიტექტურაში ისე ყოფაში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეიმჩნევა გაორება. ევროპისა და აზიის შერწყმა - ეს იყო იმ მრავალრიცხოვანი მოგზაურისა და ჟურნალისტის ძირითადი თემა, რომლებიც წერდნენ თბილისზე. ყოფის ევროპეიზაცია უხამდებოდა ძველ ტრადიციებს და ჩვევებს. თბილისში ერთდროულად იყო იტალიური ოპერა და ტრადიციული სახალხო კარნავალი „ყეენობა“, მოხეტიალე ცირკი და მამლების ბრძოლა, რუსული „лихачи“ და გლეხების ურმები ან აქლემების ქარავნები, აღმოსავლური დახლები, სავაჭრო რიგებინ «შუა ბაზარი“ და ევროპული მაღაზიები. ეს ყველაფერი თავს იყრიდა ქალაქის ცენტრში. მსგავსი წინააღმდეგობები იჩენდა თავს არქიტექტურაშიც.

XIX ს-ის 60-იან წლებიდან თბილისის არქიტექტურა თანდათან კარგავს კავშირს ნაციონალურ ტრადიციებთან და მისდევს ბურჟუაზიულ სამყაროში გავრცელებულ არქიტექტურულ მიმდინარეობებს. კლასიციზმის სწრაფი აღმავლობის, ტექნიკის განვითარების პერიოდში მსოფლიო არქიტექტურაში ბატონობს ეკლექტიზმი. საქართველოშიც დაიწყეს შენება ფსევდო-რენესანსის სტილში (მეფისნაცვლის სასახლე), ფსევდო-გოთურ სტილში (მიხეილის საავადმყოფო), ფსევდო-მავრიტანულ სტილში (ოპერისა და ბალეტის თეატრი და ქალაქის საკრებულო). XIX საუკუნის დასასრულს წარმოიშვა ე.წ. „მოდერნი“, რომელიც იმ დროისათვის გავრცელდა მთელ მსოფლიოში. მოდერნის სტილში შენდებოდა ბურჟუაზიული სახლები სოლოლაკში. მოდერნის ტიპიური ნიმუშებია ფინანსთა სამინისტროს შენობა კეცხოველზე, მარჯანიშვილის თეატრი და სხვა [44,45].

XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე აგებული რამოდენიმე სახლი, მოწმობს რომ იყო ცდები აღედგინათ უძველესი ქართული არქიტექტურული ფორმები და ტრადიციები. ეს უპირველეს ყოვლისა იყო საჯარო ბიბლიოთეკის შენობა (ყოფილი საადგილმამულო ბანკი), ქაშუეთის ეკლესია, ასევე ღვინის I ქარხნის შენობა. მაგრამ ეს ცდა შემოიფარგლა ამ

ერთეული ნაგებობებით. იმ დროს აგებული შენობები სტილისტურად არ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან და ქმნიდა ჭრელ ეკლექტურ სურათს [57].

ისტორიული თბილისის საქალაქო ქსელი პრინციპულად განსხვავდება როგორც აღმოსავლეთის, ისე ევროპული ქალაქების შიდა სივრცისგან ქმნის სივრცითი აღქმის განსხვავებულ სურათს.

ისტორიული თბილისის გეგმარებითი სტრუქტურის ანალიზის დროს შეიმჩნევა საინტერესო კანონზომიერება: ქალაქის გეგმის განვითარების ყოველ ეტაპზე ქალაქის ნაწილების საწყისი გეომეტრიული ფორმა და კომპოზიცია იცვლება. მაგრამ დროის სხვადასხვა მონაკვეთისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის გამეორება, ამასთანავე ურთიერთკავშირი ქალაქის სტრუქტურის ელემენტებს შორის მეტნაკლებად მუდმივია. მოცემულ შემთხვევაში საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად ყველა ცვლილებებისა ქალაქის ყველა ნაწილის სივრცითი აღქმა უცვლელი რჩება [50].

თბილისი განვითარების ყველა ეტაპზე სრულად და დეტალებში ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ სივრცითი ორგანიზაციის განუმეორებელ სპეციფიკას. ქალაქის სივრცითი ორგანიზაცია განისაზრვრება უპირატესად მისი განლაგებით, რთული რელიეფით. ქალაქი განაწილებულია მდ. მტკვრის გასწვრივ და ვითარდება მის ორივე ნაპირზე. ის შემოსაზღვრულია ბუნებრივი დომინანტებით - სოლოლაკის ქედით და ისნის კლდით. ეს დომინანტები ფაქტიურად განსაზღვრავენ მთელ ქალაქს. მტკვარი ბუნებრივი არქიტექტურული ღერძია. მთელი ისტორიული თბილისის გეგმარება ღიაა, თავისუფალია, რაც უდავოდ დაკავშირებულია ქართული საცხოვრებლის მშენებლობის უძველეს ტრადიციებთან [56].

თბილისის სტრუქტურა XVII-XVIII საუკუნეებში განსხვავდება XIX საუკუნის სტრუქტურისაგან. XVIII ს-ის ძირითადი განაშენიანება

შეადგენდა განსაკუთრებულ ჯგუფს ე.წ. „შირვანული“ და „დარბაზული“ სახლებისა.

შირვანის სახლს ჰქონდა მარტივი პარალელეპიპედის ფორმა და ბრტყელი გადახურვა - „ბანი“. განლაგებული ჯგუფებად არასწორ რელიეფზე შირვანის ტიპის ბანიანი სახლები წარმოქმნიან ტერასული განაშენიანების სისტემას, სადაც ქვედა სახლის სახურავი წარმოადგენს ეზოს ზედასთვის. ბანიანი სახლების ჯაჭვი ბრტყელი გადახურვით იყო ნარიყალას ციხიდან მდინარემდე [57].

თბილისური საცხოვრებლის მეორე ტიპი იყო დარბაზული სახლი; XIX საუკუნის 40-იან წლებამდე დარბაზის ტიპის სახლები დომინირებდა. ქართულ დარბაზს აქვს გვირგვინისებრი გადახურვა ანუ პირამიდული გადახურვა ძელების საშუალებით, განლაგებული დახრილად, ცენტრში დატოვებული ერდოთი. შიგნიდან გვირგვინს ჰქონდა კონუსური ფორმა, ხოლო გარედან თიხით შელესილი სახურავი იყო შედარებით ბრტყელი, რითაც რაღაც ხარისხით უახლოვდებოდა ბრტყელ შირვანის სახლის გადახურვას. დარბაზი - ფაქტიურად საცხოვრებელი სახლი, აგებული იყო ფერდობზე და უკანა მხრიდან შეჭრილი იყო რელიეფში, ფასადი და შესასვლელი ჰქონდა ერთი მხრიდან, ხოლო განათება მხოლოდ ზემოდან. ერთ ერთი ორგანული შემადგენელი ნაწილი თბილისური დარბაზისა იყო ე.წ. ტახტი - ღია სათავსო დაბალ ბოძებზე თანამედროვე აივნის ანალოგი, ხის ბალიასინებით. იგი ებჯინება სახლის ფასადს და არა აქვს გადახურვა. მოგვიანებით ქალაქური ცხოვრების შეცვლასთან ერთად შირვანის და დარბაზის ტიპის სახლები აღარ გვხვდება ქალაქის განაშენიანებაში, სახეს იცვლის ან სრულად ქრება [55].

XIX საუკუნის თბილისში ყველა ოფიციალური შენობა იგებოდა გვიანი რუსული კლასიციზმის კანონებით. მეტიც, როგორც ცნობილია ყველა შენობა იგებოდა მთავრობის მიერ დამტკიცებული „სანიმუშო“ პროექტებით. შედეგად სხვადასხვა გარდამავალი ფორმების და ელემენტების სანაცვლოდ მოვიდა ახალი ტიპის არქიტექტურა - ცივი,

გაყინული, არა თბილისური ფასადები, რომლებიც გამორიცხავდა ყოველგვარ კონტაქტს გარემოსთან - ევროპული ამპირი, ეკლექტიკა, მოდერნი [10].

XIX საუკუნის 10-იანი წლებიდან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშენებლობის რეგლამენტაციას. არსებობდა კანონი, რომლის მიხედვითაც ქალაქში მშენებარე ნებისმიერ სახლს უნდა ჰქონოდა „უმაღლესი აპრობირებული“, ყველა იმპერიის ქალაქისათვის საერთო, გვიანრუსული კლასიცისტური ფასადი. რეგლამენტაცია ვრცელდება როგორც საზოგადო შენობებზე, ასევე საცხოვრებელ სახლებზე, მაგრამ თუ ოფიციალურ შენობებზე რუსული კლასიციზმს მექანიკურად იღებდნენ, ქალაქურ საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში რუსული კლასიციზმის ფორმების ათვისება ხდება თანდათან ახალი ყოფის მოთხოვნების კარნახით. თბილისური სახლი კიდევ დიდხანს რჩებოდა თბილისურ სახლად [22].

ქართული ნაციონალური ტრადიციები აქტიურად ვლინდება მხოლოდ საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში. ე.წ. „აპრობირებული ფასადები“ შენობის შიდა გეგმის სრულ იგნორირებას ახდენდნენ. რა ხდებოდა ფასადს მიღმა ხელისუფლებას არ აინტერესებდა. სამაგალითო პროექტების ალბომებში მხოლოდ ფასადები იყო.

ამის შედეგად საცხოვრებელი სახლის გარეგნული სახე შეუცვლელად იმეორებდა „სანიმუშო“ ფასადს, ხოლო სახლის შიგნით ეზოს მხრიდან განაგრძობს ფუნქციონირებას ტიპიური თბილისური დიდი ხის აივნები. არ არის შემთხვევითი, რომ ფასადი იყო გათვალისწინებული ქუჩიდან აღქმაზე და სულ სხვა იყო ეოდან. ორი აზრი სხვადასხვა პოზიციიდან.

ასე ვითარდება თბილისური საცხოვრებელი სახლის ტიპი, რომელიც კლასიცისტური ფორმებით ორგანულად ერწყმის სპეციფიკურ თბილისურ ელემენტს - აივანს. თბილისელი მშენებელი თავისუფლად უდგება „ევროპულ“ სტილს. XIX საუკუნის 30-იან წლებში კლასიცისტურ ფასადზე

ჩნდება გადახურული კიდულა ხის აივანი - თბილისური სახლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი [29].

როგორც ცნობილია, თბილისის რთულმა რელიეფმა განაპირობა გეგმარების სირთულე და არარეგულარობა, ქალაქის ქსელის ჩვეულებრივისაგან განსხვავებული კომპოზიცია. ამის მაგალითია სახლი აშენებული შებრუნებულად ქუჩის მიმართ და ქუჩისკენ ეზოს ფასადის მხრიდან მოქცეული, ხის კიდულა გადახურული აივნებით, ზოგჯერ სამი მხრიდან შუშაბანდით, ყველა სართულზე ღია კიბეების და გადასასვლელების რთული ქსელით, ხის კოლონებით და ჩამოსხმული ბალიასინებით.

თბილისური ხის აივნები წარმოადგენს ბინის ინტერიერის ნაწილს მის გაგრძელებას.

მოგვიანებით ფართო ქუჩების ფასადებზე ხის აივანი ან გარდაიქმნება მცირე ზომის რკინის აივნად ან საერთოდ ქრება, რითაც შლის რაღაც ხარისხით ისტორიული თბილისის კონტექსტს.

ხის აივნების ევოლუციას ხელს უწყობს კიდევ ერთი ფაქტორი - ამპირისა და სხვა ევროპული სტილის შემოჭრა. ზოგ სტილს თბილისის აივანი კარგად ერწყმის, ზოგთან ის ხდება შეუსაბამო. აივნის ევოლუციის პროცესი არ ვრცელდება ეზოს მხრიდან აივანზე, რომელიც სრულიად არ იცვლება, სრულად ინარჩუნებს თავის ფუნქციებს, პროპორციებს და მთლიან სახეს.

სპეციფიური თბილისური ხასიათი აქვს ქუჩების, როგორც მთლიანის სივრცით ორგანიზაციას. ქუჩის სივრცეს აქვს რამოდენიმე პერსპექტივა, იგი წარმოიქმნება ქუჩების პლასტიკური კონფიგურაციის შედეგად, რომელიც მისდევს რელიეფს და არის მისი შედეგი. ძვ. თბილისის ქუჩის ერთგვარი ვარიანტია ჩიხი: ნებისმიერ ისტორიულ ქალაქში ჩიხი შეადგენს ურბანული სტრუქუტირს ერთ-ერთ ელემენტს, მაგრამ ისტორიულ თბილისში ჩიხი ანალოგიურია ქუჩისა და მისი ყველა მახასიათებლით - მორფოლოგიური, კომპოზიციური და ფუნქციური [57].

თბილისის ქალაქმშენებლობა მიდიოდა ბუნებრივი განვითარების გზით, თუმც არ გამოირიცხებოდა გავლენის შესაძლებლობაც. გავლენაც ბუნებრივი პროცესია რომლის დროსაც ახალი მკვიდრდება ნაციონალური ტრადიციების ნიადაგზე. ცივილიზაციისა და ტექნიკის განვითარებასთან და ქალაქის მასშტაბების კატასტროფულ ზრდასთან ერთად ტრადიციების იგნორირების საფრთხე დგება.

მშენებლობა ძველი ქალაქის დიდ ნაწილში ინარჩუნებს ძველი ფეოდალური თბილისის გეგმის კვარტალთა გაბარიტსა და ხასიათს. შუასაუკუნეების გეგმარებითი სტრუქტურა შემორჩენილია დღემდე, ძირითადად, ზედა კვარტალში ბარათაშვილის, პუშკინისა და ლესელიძის ქუჩებს შორის, ასევე ქვედა კვარტალის ვრცელ ტერტორიაზე ლესელიძისა და (ენგელისის) ასათიანის ქუჩებს შორის. ამასთან ლესელიძის ქუჩა დღევანდელი სახით, ჩამოყალიბდა 1930-იან წლებში და არაფერი არ აქვს საერთო შუასაუკუნოვან სისტემასთან, რომელიც გადის ამ ქუჩის გასწვრივ. შემოინახა ქუჩათა ქსელი, სოლოლაკის ქედის ფერდობზე მთიან კვარტალზე. თბილისში შემონახულია არა მხოლოდ შეუასაუკუნოვანი გეგმარება არამედ მეტ-ნაკლებად შემოინახა ძველი თბილისის სახეც და უპირველეს ყოვლისა მასშტაბი და განაშენიანების სილუეტი. ძველთაგან თბილისის ქალაქმშენებლობის სტრუქტურაში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ნარიყალას ბასტიონი, მარცხენაზე ისნის ციხის საფეხურიანი მოცულობები დომინირებდა. ეს კომპლექსები სრულდებოდა ეკლესიების გუმბათით. ქალაქის პანორამაში გამეფებული ციხესიმაგრეების და გუმბათთა სილუეტები ქმნიდნენ მკვეთრად გამოსახულ განივ ღერძს. ძველი ცენტრი თანდათან კარგავდა თავის მნიშვნელობას. დანგრეული იქნა ქალაქის კედლები. და მაინც ურთიერთსაწინააღმდეგო ამაღლებებზე შემორჩენილი სივრცეები არ დაიკარგა უძველესი თბილისის ნაგებობების წამყვანი კომპოზიციური როლი. თუმცა დღეს ნარიყალა შემონიახა ფრაგმენტებად. ბასტიონის ნანგრევები ამჟამად მეფობს დიდ სივრცეში და ქმნის ძველი თბილისის ყველაზე რომანტიულ სურათს.

მხატვრული რელიეფი აძლევს დიდი სივრცის სხვადასხვა რაკურსით აღქმის შესაძლებლობას. გასულ საუკუნეში თითქმის სრულად იყო შეცვლილი ძველი ქალაქის ნაგებობები, წარმოიშვა ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლები, რომლებმაც განსაზღვრეს თბილისის ქუჩების ფასადის იერსახე. მრავალაივნიანი თბილისი - ასე აღიქმვამდნენ თბილსის. ე.წ. „თბილისური სახლი“, რომელიც ჩამოყალიბდა 1830 წლისათვის. თბილისური სახლი ხის აივნებით გამოირჩეოდა ძველ კვარტალთა კოლორიტული ელემენტებით და ქმნიდა კალას განაშენიანების საერთო ფონს. საბედნიეროდ ჯგუფი ასეთი სახლებისა შენარჩუნდა კალაში. ინტერესს მოკლებული არ არის სახლებიც XIX ს.-ის დასასრულს და XXს-ის დასაწყისში. 2-3 სართულიან ნაგებობებში გამოიყოფოდა ეკლესიათა გუმბათები. ეს პანორამა აღიქმება სოლოლაკის ქედის ფონზე, რომლის შორეულ პერსპექტივას როგორც წინათ, ასრულებს ნარიყალა. ევროპული კლასიციზმის გავლენით თბილისის არქიტექტურულ-სამშენებლო პრაქტიკამ პროგრესული ნიშან-თვისებები შეიძინა [30].

XIX ს-ის თბილისური საცხოვრებელი სახლი სხვადასხვა ტრადიციათა შერწყმის შედეგია. ცხადია, ეს არ არის განსხვავებულ ფორმათა მექანიკური ჯამი: რუსეთიდან შემოსულ, სრულიად ჩამოყალიბებულ, კანონიზებულ ფორმებს ასეთივე კანონიზებული ადგილობრივი ფორმები კი არ მიმატებია, მათ აქ დახვდათ ადგილობრივი პირობები, ცოცხალი ადგილობრივი ტრადიციები, რომელთა ევოლუციამ ახლად შემოსულ ფორმებთან შეხამების პროცესში - თვისობრივად ახალი რამ მოგვცა. ამიტომაა, რომ XIX ს-ის თბილისური საცხოვრებელი სახლი, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ქალაქთა იმდროინდელი საცხოვრებელი სახლები, ჩვენ შეგვიძლია მივიჩნიოთ ქართული ხუროთმოძღვრების გარკვეულ საფეხურად.

როგორც ცნობილია, ქართული ქალაქური საცხოვრებელი სახლის სახე XIX საუკუნეში მარტო თბილისური სახლებით არ იფარგლებოდა. ქალაქური საცხოვრებელი სახლების საინტერესო ნიმუშები შეიქმნა

ქუთაისში, თელავში, სიღნაღში, გორსა და დუშეთში. იქაურ სახლებს პრინციპულად იგივე საფუძველი აქვს, რაც თბილისურს: აქაც ხდება კლასიციზმის ფორმათა გარდაქმნა, მათი შეგუება ქართულ ტრადიციასთან; აქაც, მრავალ შემთხვევაში, სრულიად ითელება კლასიციზმის თეორია.

თბილისში ყალიბდება საცხოვრებლის ტიპი, რომელშიც „აპრობირებული“ ფასადის უკან ჩართულია ადგილობრივი ელემენტები - ჩაშენებული კარადები, ნიშები, ღია ვერანდა ეზოს მხრიდან და სხვა. იმ სახლების პროექტებში, რომლებიც გათვალისწინებული იყო ძველი უბნისათვის პირველ სართულებზე ეწყობოდა სავაჭრო ორგანიზაციები. ადგილობრივი ტრადიციები კარნახობდნენ თავისებურ გადაწყვეტას.

ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელია მონუმენტურობა, სისადავე, სილაღე, ორნამენტის ზომიერი, გემოვნებით გამოყენება, ფუნქციონალური თუ ცრუ თაღების სიუხვე, სიმაღლისაკენ ლტოლვა, გაწონასწორებული პროპორციები თავისუფალი ფართობისადმი (სადა კედლისადმი) ტრფიალი, შიდა და გარე ფორმებს შორის სრული შესატყვისობა, განვითარების მთელ მანძილზე (მცხეთის ჯვრიდან და ხერთვისიდან გრემსა და ანანურამდე) გარემომცველ ბუნებასთან ძეგლის საოცარი შერწყმა, ნაგებობათა ხალისიანი, მაჟორული იერ-სახე, მოსაპირკეთებელი მასალის დიდი გემოვნებით შერჩევა, მნიშვნელოვანი არქიტექტურული დეტალების აქცენტირება, საკულტო ძეგლებისათვის საპარადო, საზეიმო, თუ შეიძლება ითქვას, საერო იერის მიცემა [57].

XIX საუკუნის არქიტექტურამ შეცვალა არა მხოლოდ ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურა, არამედ თვით საცხოვრებელი სახლების სახე.

თბილისური სახლები არსებითად განსხვავდება მეზობელი ქვეყნების, მაგ., აზერბაიჯანის, ქალაქური სახლებისაგან. იქ, ისევე, როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებშიაც, XIX ს-ის მანძილზე, ძალიან დიდხანს ინარჩუნებდა ძალას ქუჩისკენ ზურგით მიქცეული სახლების შენების ტრადიცია, „ჩაკეტილი სახლის“ პრინციპი, უცნობი თბილისისთვის. სახლის მთავარი ფასადი, მისი ღრმა აივნები და გალერიები შიგნით,

ეზოსკენ იყო მიმართული. მხოლოდ წინააღმდეგობით სავსე ევოლუციის შემდეგ, გარკვეული გარდამავალი საფეხურების გავლით, გაჩნდა სარკმლები ქუჩის ფასადზე. მაგრამ ზოგჯერ ნამდვილ სარკმლებს მაინც მხოლოდ მეორე სართულში აკეთებდნენ, I-ში კი სარკმლების დეკორატიულ იმიტაციას სჯერდებოდნენ. ქუჩის მხარეს დაკიდული აივანიც აქ შედარებით გვიან ჩნდება, როგორც გარე გავლენის შედეგი, ისიც მხოლოდ ზოგიერთ ქალაქში, მაგ., ყუბაში. ყუბის აივნები ზოგადად ძალიან ჰგავს თბილისურს, აზერბაიჯანის სხვა ქალაქების საცხოვრებლების ფონზე კი განმარტოებით გამოიყურება. დასასრულ, აზერბაიჯანის ქალაქურ სახლებში საერთოდ ნაკლებ იგრძნობა კლასიციზმის კვალი, სამაგიეროდ ძალიან ძლიერია ტრადიციული - „ისლამური ხასიათის“ - დეკორაციული და ხუროთმოძღვრული ფორმების ხვედრითი წონა (აგურის სახეებიანი, ხალიჩისებრი, წყობა, სრული თაღები სწორკუთხა ჩარჩოში და სხვ.). შუშაბანდთა ალათების ნახატში თბილისურსა და აზერბაიჯანულ სახლებში გვხვდება საერთო წყაროდან მომდინარე ანალოგიური მოტივებიც, მაგრამ ეს ვერ ცვლის არსებითი განსხვავების შთაბეჭდილებას.

ამგვარად, XIX საუკუნის მანძილზე, სამოციან წლებამდე თბილისურმა საცხოვრებელმა სახლმა თვალსაჩინო ევოლუცია განვლო. თბილისმა შეიმუშავა შენობის თავისებური დაგეგმარება - შესაფერი აქაური ბუნებრივი და საყოფაცხოვრებო პირობებისათვის; მან არსებითი კორექტივები შეიტანა შენობის გარეგნობაშიაც. ახალ ფორმათა შეთვისებულების შედეგად, შეიქმნა საცხოვრებელი სახლის სახე, რომელსაც ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია თბილისური ვუწოდოთ არა მარტო სახლების ადგილმდებარეობის, არამედ მათი თავისებურების გამოც [7].

XIX საუკუნის კლასიცისტურ ან ბაროკულ ფასადებს მიღმა თბილისური ეზოები იმალება, ხის მოხარატებული აივნებითა და კიბეებით. მავრულ თუ გოთურ მოტივებს, მოდერნის სტილი და შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების სტილიზაციით შესრულებული დეკორი ერთვის. მთლიანობაში კი სტილთა და

ტრადიციათა ეს მრავალგვარი ნაერთი ქალაქის განუმეორებელ კოლორიტს ქმნის [59].

XIX ს.-ის ბოლოს და XXს-ის დასაწყისში ევროპაში ჩაისახა ახალი მიმდინარეობა არქიტექტურაში, რომელმაც უარი თქვა ყველა მანამდე არსებულ არქიტექტურულ სტილზე. ახალი მიმდინარეობა იწოდებოდა „ახალ ხელოვნებად“ - არტ ნუვო, ან როგორც მას ასევე უწოდებენ იუგენდსტილი. სტილი ხასიათდებოდა მარტივი გეომეტრიული ხაზებისა და ფორმების გამოყენებით, ერთის მხრივ და მდიდარი დეკორით მეორეს მხრივ. XIX საუკუნის დასასრულიდან თბილისში მსოფლიოში იმხანად ძალზე პოპულარული მოდერნის სტილი გავრცელდა, დამკვეთთა და შემსრულებელთა გემოვნება კვლავ საერთაშორისო სტანდარტებს მისდევს ფეხდაფეხ [55].

არტ-ნუვო (ფრანგ. Art Nouveau „ახალი ხელოვნება“), იგივე მოდერნი, სტილია ხელოვნებაში, არქიტექტურასა და დიზაინში, რომელმაც პოპულარობის პიკს მე-20 საუკუნის დასაწყისში მიაღწია. სახელწოდება "არტ-ნუვო" მომდინარეობს ამავე სახელის მაღაზიისგან პარიზში, "Maison de l'Art Nouveau" რომელიც იმ დროისთვის სემუელ ბინის განკარგულებაში იყო და გასაყიდად გამოფენილი იყო სხვადასხვა ნივთები, რომლებიც ამ განსაკუთრებულ დიზაინში იყო გადაწყვეტილი. ახალმა მიმდინარეობამ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი შეიძინა იმის მიხედვით, თუ რომელი სახელოვნებო ორგანიზაცია უწევდა მას პოპულარიზაციას. სხვა უფრო ლოკალური ტერმინები, რომელმაც წინაპირობა შეუქმნა რადიკალურ, რეფორმისტულ შიკს მე-20 საუკუნის მოდერნიზმში იყო "იუგენდსტილი"' გერმანიაში და ნიდელანდებში (გერმანული ჟურნალის Jugend-ის მიხედვით), "სეცესიონსტილი" ვენაში, "ლიბერტი" იტალიაში. იტალიაში "სტილ-ლიბერტი"-ს მიმდინარეობას საფუძველი ჩაუყარა ლონდონურმა მაღაზიამ "Liberty & Co", რომელიც თანამედროვე დიზაინს ავრცელებდა კომერციულ ასპექტში გამოსახული ხელოვნების ნიმუშებით; ხოლო "მოდერნიზმო" ესპანეთში, სადაც პროგრესული ხელოვანები და

დიზაინერები სალონურ გამოფენათა მიმდინარეობას გამოეყვნენ, საკუთარი თავის უფრო კონგენიალურ გარემოებებში წარმოჩენისთვის. იგი კატალონიაში ძირითადად ბარსელონაში ვითარდებოდა და მისი ყველაზე ცნობილი პრაქტიკოსი ანტონიო გაუდი იყო. რუსეთში ეს მიმდინარეობა სამხატვრო ჟურნალ "ხელოვნების სამყარო"-ს ირგვლივ ტრიალებდა, რომელმაც რევოლუციური "ბალე-რუსი" (Ballets Russes) წარმოშვა. საქართველოში რუსეთის მსგავსად ამ სტილს მოდერნსაც უწოდებდნენ. ყველაფერი კი 1861 წელს, ინგლისში დაიწყო. იმ პერიოდისთვის ყველაზე მეტად ინდუსტრიალიზებულ ქვეყანაში, როდესაც უილიამ მორისმა და სხვა ხელოვანებმა დააარსეს ხელოვნებისა და ოსტატობის მოძრაობა, რომელშიც გაერთიანდნენ მე-19 საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბებული სტილის მიმდევრები [31].

სოციალური იდეების მხარდამჭერებს სურდათ, რომ ყველა საგანი ლამაზი და გამოყენებადი ყოფილიყო, ამავე დროს, ხელნაკეთიც. მართალია, ხელნაკეთი ნამუშევრები ძალზე ძვირი იყო მასებისთვის, მაგრამ სკოლებმა, გამოფენებმა და ჟურნალებმა ხელი შეუწყვეს ამ იდეის გავრცელებას და არტ-ნუვოს დაბადებისთვის სასურველი გარემო შექმნეს. ბევრმა არტისტმა,

უილიამ მორისი

არქიტექტორმა, დიზაინერმა და ინტელექტუალმა, რომლებიც დეკორატიული და ვიზუალური ხელოვნების სფეროში მოღვაწეობდა,

აგრეთვე, კულტურის წარმომადგენლებმა, ავანგარდისტებმა აიტაცეს იდეა - შეექმნათ „თანამედროვე ცხოვრების ხელოვნება".

ახალი სტილი ორნამენტების სიმდიდრით, რკალებითა და ხვეული ხაზებით გამოირჩეოდა. ეს დეკორატიული სტილი დრამისა და ფანტაზიის ნაზავია და მისი მოტივების წყაროს წარმოადგენს გოთიკური პერიოდის ხელოვნება, იაპონური დამწერლობა, უილიამ ბლეიკის ხელოვნება.

უილიამ ბლეიკი

არტ-ნუვოს დამახასიათებელი ნიშნებია ქალთა ფიგურები თხელ კაბებში, ასევე, გრძელი, ტალღოვანი, ესთეტიკური, ასიმეტრიული ხაზები, რომლებსაც ხშირად ბუნების საგნების - ხვიარა მცენარის ან კვირტების, პატარა ცხოველების ან მწერების ფიგურებით გამოსახავდნენ ასევე, დეკორატიული ელემენტებით, რომლებიც ცენტრშია გამოკვეთილი. ამ სტილის მიმდევრები იყვნენ: მხატვრები, ილუსტრატორები, იუველირები და შუშის ნაწარმის დიზაინერები [31].

1893 წელს, მორისის იდეების გავლენით, ახალგაზრდა ბელგიელმა არქიტექტორმა ვიქტორ ჰორტმა დაიწყო არტ-ნუვოს სტილის პირველი მნიშვნელოვანი ნაგებობის მშენებლობა - ეს იყო ტასელის სახლი (la Maison Tassel) ბრიუსელში.

1894 წელს, ისევ ბრიუსელში, ჰენრი ვან დე ველდემ გამოაქვეყნა ბროშურა ,,Déblaiement d'Art”;

ტასელის სახლი

მასში წარმოდგენილი იყო ახალი, რევოლუციური იდეები სახვითი და დეკორატიული ხელოვნების შესახებ, რომელთა თანახმად, არქიტექტურა და ინტერიერი სრული ხელოვნების რანგში უნდა ყოფილიყო აყვანილი. ახალი საუკუნის დასაწყისში, არტ-ნუვო გავრცელდა მთელს დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით, პროვინციულ ქალაქებში, რამდენადაც დედაქალაქის ბურჟუაზიული მოსახლეობა სიახლის წინააღმდეგი იყო: ასე რომ, გლასგოში, დარმშტატში, მიუნხენში და ნანტში უფრო მეტი ნამუშევრები იქმნებოდა, ვიდრე ლონდონში, ბერლინსა და პარიზში. პრაღაში, ვენაში, ჰელსინკსა და, რა თქმა უნდა, ბრიუსელში არტ-ნუვო მეტად პოპულარული გახდა [51].

ისეთი მხატვარ-დიზაინერების ნამუშევრებმა და ესთეტიკამ, როგორებიც იყვნენ ავსტრიელი დიზაინერი იოსეფ მარია ოლბრიხი, იოსეფ ჰოფმანი, შოტლანდიელი არქიტექტორი ჩარლზ რენე მაკინტოში, გუსტავ კლიმტი ე.წ. ვიზიონერი კატალონიელი არქიტექტორი ანტონიო გაუდი, ესპანური წარმოშობის იტალიელი მოდელიერი მარიანო ფორტუნი ი მადრაცო, გერმანელი ილუსტრატორი ოტო ეკმანი, ჯუზეპე სომარუგა და კარლო ბუგატი სწორედ არტ-ნუვოს სტილში შესრულებული ნამუშევრებით გახდნენ ცნობილნი. (ილუსტრაციები იხ. დანართ 1-ში)

მოგვიანებით, არტ-ნუვომ ჩიკაგო, ბოსტონი, ნიუ-იორკი დაიპყრო, სადაც ლუის კომფორტ ტიფანიმ დეკორატიული ნამუშევრებით ამერიკულ არტ-ნუვოს დეკორატიულ ხელოვნებაში დაუდო საფუძველი, ხოლო ლუის სალივანმა არქიტექტურაში [33].

ტიფანის დეკორატიული ნამუშევარი

ლუის სალივანი

ეს უკანასკნელი ამერიკის უდიდესი არქიტექტორის, ფრენკ ლოიდ რაითის წინამორბედად ითვლება. არტ-ნუვოს არქიტექტურული ნიმუშები, ერთი შეხედვით, ფორმების სისადავითა და ჰარმონიულობით გამოირჩევა. თუმცა, მათში შეინიშნება ვიქტორიანული ეპოქის სტილის ეკლექტურობა.

არტ-ნუვოს დიზაინერებმა ასევე გაათანამედროვეს როკოკოს სტილის აბსტრაქტული ელემენტები, დიდი ყურადღება ეთმობა ალისებური და ნიჟარის ფორმის ფიგურებს, სტილიზებულ ფორმებს. არტ-ნუვო მასშტაბური მიმდინარეობა იყო. ბევრი ევროპელისთვის მასში ცხოვრების მთელი სტილი მოიაზრება.

არტ-ნუვოს დიზაინი მთელ იერარქიას მოიცავს: არქიტექტურას, ინტერიერის დიზაინს, დეკორატიულ ხელოვნებას - სამკაულებს, ავეჯს, ქსოვილებს, ჭურჭელს, განათებას და ვიზუალური ხელოვნების მთელ სპექტრს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ემილ გალეს (1846-1904) განუმეორებელი ხის, მინისა და კერამიკისაგან შესრულებული ნაკეთობები.

კარლ ფაბერჟესა და რენე ლალიკის ნამუშევრები.(ილუსტრაციები იხ. დანართ 1-ში).

ორგანზომილებიან ხელოვნებაში, ახალი მიმდინარეობის ნიმუშები არა მხოლოდ ფერწერული ტილოების სახით იქმნებოდა, არამედ, ბეჭდურმა მედიამაც აიტაცა - სარეკლამო აბრები, პოსტერები, წიგნები მრავლად იყო ილუსტრირებული მორკალული ხაზებით, მისტიური ფიგურებით, კონტრასტული ორნამენტებით. ორნამენტის ზოგიერთი ნიმუში კლიშედაც იქცა. მიმდინარეობამ განაპირობა საიუველირო ხელოვნების აღმასვლა. განსაკუთრებით, მინანქარის, ოპალისა და სხვა ნახევრად ძვირფასი ქვების დამუშავების მხრივ. იაპონური ხელოვნების, კერძოდ კი, ლითონის დამუშავების მეთოდების პოპულარიზაციამ გავლენა იქონია ორნამენტებზეც. მანამდე, მთელი ორი საუკუნის განმავლობაში, საუკეთესო საჩუქრად ბრილიანტის ყელსაბამი ითვლებოდა და იუველირები თავიანთ ნამუშევრებს, ძირითადად, ფინანსური მოგების მიზნით ქმნიდნენ. არტ ნუვოს სტილთან ერთად გაჩნდა ახალი ტიპის იუველირი, რომელიც ნატიფი ხელოვნების ნიმუშებს ქმნის. საუკეთესო ნიმუშებად ითვლება რენე ლალიკის ნაკეთობები.(ილუსტრაციები იხ. დანართ 1-ში)

არტ-ნუვოს იუველირები მასალად იყენებდნენ შუშას, სპილოს ძვალს, მომინაქრებულ ოქროს, კამეას.

აღმოსავლეთ ევროპაში პრაღასა და მორავიაში, განსაკუთრებით დიდი იყო ალფონს მუხას გავლენა.მისი ნამუშევრები ასოცირდება ჩეხურ აღორძინებასთან. (ილუსტრაციები იხ. დანართ 1-ში) [51].

პრაღაში მრავალი შენობაა გაფორმებული ფოთლებისა და ქალების გამოსახულებებით. ამ მიმდინარეობის არქიტექტურული ნიმუშებია სამლოცველოს ვიტრაჟების, ცენტრალური სადგური და სხვა. (ილუსტრაციები იხ. დანართ 1-ში)

არტ-ნუვოს ევოლუციამ კულმინაციას მიაღწია 1900 წელს პარიზში გამართულ უნივერსალურ მსოფლიო ექსპოზიციაზე, სადაც მოდერნი

ტრიუმფს განიცდის ყველა ფორმასა და მედიუმში. მიმდინარეობამ სავარაუდოდ აპოგეას მიაღწია 1902 წლის ტურინის ექსპოზიციაზე იტალიაში, სადაც დიზაინერები თითქმის ყველა ევროპული ქვეყნიდან საკუთარ ნიმუშებს ექსკლუზიურად არტ-ნუვო სტილში წარადგენენ. არტ-ნუვო იყენებდა გვიანდელი მე-19 საუკუნის თითქმის ყველა ტექნოლოგიურ ინოვაციას, როგორიცაა გაშიშვლებული ლითონი და ვრცელი უსწორმასწორო ფორმის მინა არქიტექტურაში.

ამრიგად, ყველა ეპოქა, სოციალური ფორმაცია თუ ისტორიული მოვლენა, აზიური და ევროპული კულტურების გავლენა, თავის კვალს ტოვებდა ქალაქის განაშენიანებაზე. ჩვენ შეძლებისდაგვარად, წარმოვაჩინეთ თბილისის ძველ უბნებში XIX – XX საუკუნეების შენობების არქიტექტურა, შიდა საზოგადოებრივი სივრცეები, სადარბაზოების მოწყობის, გაფორმების და მოხატულობის პრინციპები. საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ინრერიერების მონუმენტურ დეკორატიული ფერწერის ნიმუშები.

2.კვლევის შედეგები და მათი განსჯა

2.1. საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ინტერიერებში მონუმენტურ - დეკორატიული ფერწერის ჩამოყალიბების ისტორია და ეტაპები

XIX საუკუნის დასასრულს გერმანულ ხელოვნებათმცოდნეობასა და მხატვრულ კრიტიკაში არის მიღებული იუგენდსტილი (jugendsil). ის წარმოიქმნა მიუნხენის ჟურნალ „jugend“ დასახლებიდან, რომელიც პროპაგანდას უწევდა ამ სტილს. იუგენდსტილი - არის სტილი დეკორატიულ-გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების, არქიტექტურისა და მოდის - ევროპასა და ამერიკაში. სტილი წარმოიქმნა ეკლექტიზმის საწინააღმდეგოდ და იყო ცდა შეექმნათ უფრო ესტეთიური, სივრცითი, ასევე საგნობრივი გარემო ადამიანებისათვის. ხაზი ესმება სრულ თავისუფლებას, ექსპრესიული, გამომსახველობითი ფანტაზიით და სურვილით რათა ნაგებობების ყველა ელემენტი მოხრილი ხაზები, გეომეტრიული ორნამენტები, ღია ტონების გამა, ცხოველური და მცენარეული მოტივები, ქალის სახეები. ეს იყო პირველი სტილი, რომელმაც შესაბამისობაში მოიყვანა შენობის გარეგნული სახე მის სივრცით სტრუქტურასთან.

ლატვიაში იუგენდსტილი 1900 წლიდან იღებს დასაწყისს. რიგის არქიტექტურაში ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნაციონალურ რომანტიზმთან, რომელმაც თავის მხრივ გავლენა მოახდინა ფინეთის რომანტიზმზე. XX საუკუნის დასაწყისში დაახლოებით 40% რიგის მრავალსართულიანი დასახლებებისა იყო აგებული იუგენდსტილში. იუგენდსტილს ჰქონდა რიგაში ყოველგვარი ვარიაციები დეკორატიული, ნაციონალური რომანტიზმი. რიგის მოდერნს აქვს გამომსახველი განსაკუთრებული სტილი და მაშტაბები, რათა შეუნარჩუნოს მომავალ თაობებს ვეცრიგის არქიტექტურა. რიგირს ხის სახლები და იუგენდსტილის შენობები ისტორიული რიგის ცენტრი შეტანილია იუნესკოს კულტურული ნაგებობების დაცულ სიაში.

იუგენდსტილი ეს ორნამენტული სტილი, ეყრდნობოდა მოხრილ ხაზებს, ასიმეტრიას კომპოზიციაში და რიტმში არარეგულარულ ხაზებს, მთავარი მოტივებია - ბუნება, გადაძახილი ანტიკურ ხელოვნებასთან და მითოლოგიასთან. არქიტექტურაში იუგენდსტილი გამოიხატება ნაგებობების ფუნქციურობით და მდიდარი დეკორატიული ფასადით, ეს მიიღწევა ყველა შესაძლო სამშენებლო საშუალებებით დაწყებული ფანჯრის და კარის სიოს ფორმით, ერკერებით, დამთავრებული სკულპტურებითა და რელიეფებით, ორნამენტული ხაზებითა ან მინდვრით, ვიტრაჟებით. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პარადული ფასადი, საერთო ხედი, არამედ საერთო სახე, ამიტომ „იუგენდსტილის არქიტექტურა“ ნიშნავს ინტერიერსაც, მაგიდის ჭურჭლის ფორმას და მაცხოვრებელთა გარდერობსაც.

ლატვიას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს იუგენდსტილთან ისევე როგორც სკანდინავიას, განსაკუთრებით კი ფინეთს. იუგენდსტილის მსოფლმხედველობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაციონალური თვითშეგნების აღმასვლასთან. ზუსტად მოდერნის ჟღერადობის თანხლებით მოვიდა პირველი აღიარება ლატვიური პროფესიონალი მხატვრების. რიგის იუგენდსტილის მარგალიტები შეიქმნა როცა რიგა განიცდიდა ეკონომიურ აღმასვლას, აქ ცხოვრობენ განათლებული მეწარმეები და ინჟინრები, რომლებმაც განათლება მიიღეს ევროპის დედაქალაქებში, რომლებმაც მიიზიდეს გერმანული, რუსული და ებრაული კაპიტალი, აქ ბრუნდებოდნენ განათლების მიღების შემდეგ იმედითა და ამბიციებით. ამიტომ არქიტექტორების კონსტანტინე პეკშენის და ვილგელმ ბოკსლაფის, ასევე ინჟინერ მიხეილ ეიზენშტეინის ფანტაზიას ზღვარი არ ჰქონდა. სახლების ფასადები გადავსებულია დეკორატიული ელემენტებით, კარნიზის ხაზს ზემოთ მოთავსებულია ობელისკები, სფინქსები, ლომები, ლარნაკები, ყვავილები და ყველაფერი რაც დამახასიათებელია სიცოცხლის ზეიმთან.

შენობათა დამპროექტებლები, რომელთათვისაც დამახასიათებელია ნაციონალური რომანტიზმი (ეჟენ ლაუზე და იანის-ფრიდრიგ ბაუმანისი) ითვლებიან ნაციონალური კულტურის პიონერებად. (ილუსტრაციები იხ.დანართ 2-ში)

ის ადგილები რიგაში, სადაც გაიფურჩქნა იუგენდსტილი არის ყველაზე მდიდრული ალბერტის ქუჩა და იქვე ახლოს მყოფი ე.წ. „ელჩების რაიონი“, მაგრამ იუგენდსტილის არქიტექტურის არაჩვეულებრივ ნიშნებს შეიძლება შევხვდეთ ქალაქის სხვა ნაწილებში. ამავე დროს რიგა ჩრდილქვეშ ამყოფებს ლატვიის სხვა ქალაქების იუგენდსტილის მარგალიტებს, იმ დროს როდესაც ოიეპაეში ამ სტილით აგებულია არა მხოლოდ საცხოვრებელი სახლები, არამედ სამრეწველო შენობები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბაქოში დაიწყო კაპიტალიზმის განვითარება, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აზერბაიჯანულ არქიტექტურაზე. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ბაქოს განაშენიანებაში, სადაც ამ დროს იგებოდა ახალი ტიპის შენობები. ამასთან ერთად ქალაქში იჭრება ევროპული არქიტექტურის ტრადიციები. ევროპული არქიტექტურის სხვადასხვა სტილის ურთიერთშერწყმა, მათი ურთიერთგავლენა ადგილობრივ არქიტექტურულ ტრადიციებთან დამახასიათებელია XIX-XX საუკუნეების ბაქოს არქიტექტურისათვის. არქიტექტურული სტილი იყო სრულიად განსხვავებული და დამოკიდებული იყო დამკვეთის გემოვნებაზე, ხუროთმოძღვრის პროფესიონალიზმზე.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბაქოს არქიტექტურა ორი მიმართულებით ვითარდება - ნაციონალურ რომანტიკული და ევროპული (კლასიციზმი, რენესანსი, გოთიკა, მოდერნი და სხვა). ამ პერიოდის ქალაქის არქიტექტურული სტილი თავისებური რეგიონალური ხუროთმოძღვრებით გამოირჩეოდა. შენობების არქიტექტურული სტილის საფუძველს შეადგენდა ადგილობრივი არქირექტორების მიერ შექმნილი ტრადიციული ფესვები, რომლებიც ეყრდნობოდნენ შირვან-აბშერონის შუასაუკუნეების

არქიტექტურულ სკოლებს. ბაქოს ნაციონალური არქიტექტურა იყო წარმოდგენილი ძირითადად საკულტო შენობებით (მეჩეთებით, აბანოებით და სხვა).განხილული პერიოდის თვითმყობადობის ნიშნებია არქიტექტურული ხერხებისა და ფორმების ერთიანობა. ადგილობრივი მოსაპირკეთებელი მასალა (კირქვა) გამოიყენება ორნამენტებში, ფასადების დეკორატიულ გაფორმებაში, ღრმა რელიეფური ჭრილებით აივნებსა და ერკერებზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისის ბაქოს არქიტექტურა ჩანასახშივე შეიცავდა არქიტექტურის განვითარების ყველა ძირითად მიმართულებას. ბაქოში ისე როგორც ევროპის დედაქალაქებში შეიმჩნევა სხვადასხვა სტილის მრავალფეროვნება. კაპიტალისტურ ქალაქში იყენებენ ისეთ არქიტექტურულ სტილს როგორიცაა „ნეოკლასიციზმი“, „რენესანსი“, „გოთიკა“, „მოდერნი“ და სხვა. ევროპული ნიშნებია ორდერული და კლასიკური ელემენტების, დეტალების გამოყენება რომლებიც ერწყმოდა რა რეგიონალურ ხუროთმოძღვრებას ქმნიდა ქალაქის ინდივიდუალურ არქიტექტურულ სახეს. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბაქოს არქიტექტურის განვითარებას თან სდევს ეკლექტიკა, რომელიც იძლეოდა შემოქმედებით თავისუფლებას და ინდივიდუალიზმს. ეკლექტიკის ნასესხები ფორმები, რომლებიც ეყრდნობოდა ისტორიულ გამოცდილებას, იყო აუცილებელი ნაციონალურ-რომანტიული სტილის ჩასასახად.

შენობები „აღმოსავლურ“ (მავრიტანულ) სტილში, იყო ცდები ნაციონალური ხუროთმოძღვრების ელემენტების გამოყენებისა. „აღმოსავლური სტილის“ ნიშნები გამოჩნდა ისრისებურ და ნალისებურ თაღოვან სიოებში, ნიშებში და პილიასტერებში. განხილული პერიოდის შენობისათვის დამახასიათებელი ნაგებობა, შესრულებული „აღმოსავლური სტილით“ არის რკინიგზის სადგურის შენობა (1882წ.). (ილუსტრაციები იხ. დანართ 3-ში)

განსაკუთრებული ყურადღება ამ პერიოდში ეთმობა არქიტექტურულ დეტალებს: დეკორატიულობის პრინციპი არის სტილის მატარებელი, ძველ მშენებლობის და კონსტრუქციულ მეთოდებს შემოაქვს ცვლილებები ისეთი ახალი მასალების სახით როგორიცაა ფოლადი, მინა, ბეტონი და რკინაბეტონი.

ამ დროისათვის რაციონალიზმისაკენ სწრაფვა იყო ბაქოს არქიტექტურაში ახალი სტილის მოდერნის შექმნის წინაპირობა. ბაქოს მოდერნის რაციონალიზმი არსებობდა დეკორატივიზმის მეზობლად. არქიტექტორების შემოქმედება, ძირითადად ფასადების დეკორატიული დამუშავებით გამოისახებოდა. ბაქოს პრაქტიკაში მოდერნი იყო უფრო შეზღუდული დეკორით, ვიდრე იმ პერიოდის სხვა სტილები და არ ფარავდა ფასადის მთელ ზედაპირს. ამასთან მოდერნის პერიოდში პირველად დაიწყო ახალი ფორმების ძიება, რომელიც დამახასიათებელი იყო ახალი მასალისათვის და კონსტრუქციებისათვის და ამან იქონია დიდი გავლენა ქალაქის არქიტექტურის შემდგომ განვითარებაზე. შენობების გეგმა გახდა მკვეთრი, შეიმჩნევა არქიტექტურის მხატვრული და უტილიტარული ასპექტების დაახლოების ტენდენციები. ნაგებობების რაციონალური განლაგება, მკვეთრი გეგმარება.

მოდერნმა დაუდო სათავე ბაქოს არქიტექტურის განვითარების ახალ ეტაპს. მიუხედავად სტილის რაციონალური თავისებურებებისა, ბაქოს მოდერნი არ გამოირჩევა არქიტექტურული მოცულობების, კომპოზიციური და კონსტრუქციული მეთოდის განსაკუთრებული დინამიკით. მოდერნი, გაჩნდა ბანკების და სხვა საზოგადო შენობების არქიტექტურულ გაფორმებაში. ბაქოს მოდერნის თავისებურებებმა განიცადა გარდატეხა ძმებ მაილოვების (1910-1911) თეატრის შენობებში, ტიფლისის ბანკის (1901), ჩრდილოეთის ბანკის, აღა მუსა ნაგიევის საცხოვრებელი სახლებით „28 მაისის“ ქუჩაზე და სხვა.უფრო გამომსახველი ნაგებობა „ბაქოს მოდერნის“ სტილში არის ტიფლისის ბანკის შენობა.აქ ფასადი მკვეთრად მოხრილ ხაზებშია, თაღის ფრონტონის ხაზში იგრძობა მოდერნის თავისებურებები.

აღა მუსა ნაგიევის საცხოვრებელი სახლები „28 მაისის“ ქუჩაზე, თოჯინების თეატრის (1910წ) და აზერბაიჯანის

სახელმწიფო ფილარმონიის შენობები (1910-12წწ), მოდერნის ეპოქის ქალაქის არქიტექტურული ცხოვრების თავისებური მოვლენაა კ.გაჯიევის საცხოვრებელი სახლი (პლიშკო 1912). ფასადის კომპოზიციის სქემა საკმაოდ დინამიურია, ხაზების ნახაზში იგრძნობა მოდერნისათვის დამახასიათებელი ნიშნები, კარნიზის ხაზები ანიჭებს პლასტიკას ფასადს, მოდერნისტულ სულს. არქიტექტურული დეტალები შესრულებულია ღრმა რელიეფური ჭრილით ადგილობრივ ქვაზე.(ილუსტრაციები იხ.დანართ 3-ში)

აკადემიური ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობა (1910-11)

XX საუკუნის დასაწყისში ბაქოს არქიტექტურა განიცდიდა მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის გავლენას, რომელიც იყო დასავლეთევროპული სტილისტური გავლენის ქვეშ. ბაქოს ხუროთმოძღვრებმა რომლებმაც განათლება მიიღეს რუსეთში რიგი სახლების ფასადები გამოსახეს რუსული კლასიციზმის კომპოზიციური პრინციპებით. ამასთან შენობათა ფასადები მათი დეტალები და დეკორი შედგენილი იყო ადგილობრივი ქვით (კირქვით), რაც ანიჭებდა მათ არქიტექტურას ადგილობრივ თვითმყოფადობას.

სხვადასხვა სტილისტურ მიმართულებებთან ერთად, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბაქოს არქიტექტორები ქმნიდნენ სხვადასხვაგვარ

ნაგებობებს შუასაუკუნოვანი ევროპის გოთური (ფსევდოგოთური) სტილის ელემენტებით.

მათგან აღსანიშნავია ლუთერანული კირხეს შენობა (1895-1897) აგებული იყო გერმანული გოთიკის სტილში და შესრულებულია დეკორატიული გოთური ელემენტების სიჭარბის გარეშე. „ისმაილის“ სასახლის შენობა (1908-1913 ი.პლიშკო) აგებულია ვენეციური გოთიკის სტილში. ამ შენობაში ვენეციური გოთიკა მუსულმანურ ფორმებთან ისრისებური ტაღებით ადვილად შეერწყა ბაქოს პეიზაჟს და მიუახლოვდა ადგილობრივი ხუროთმოძღვრების ტრადიციებს, თუმც შეინარჩუნა თავისი იტალიური ფუძე.

მუხტაროვის სასახლის შენობა (1911-1912 ი.პლიშკო) გოთური სკულტურის ნათელი მაგალითია. შენობის ფასადები შესრულებულია ფრანგული გოთიკის სტილში. (ილუსტრაციები იხ. დანართ 2-ში)

ამ პერიოდის ბაქოს არქიტექტურის ანალიზმა აჩვენა, რომ იგი ვითარდებოდა ევროპული („კლასიციზმი“, „რენესანსი“, „გოთიკა“, „მოდერნი“) სტილით, არქიტექტურული სტილი, აღებული ევროპიდან, ადგილობრივი ტრადიციების გავლენით და ადგილობრივი სამშენებლო მასალების გამოყენებით გამოირჩეოდა რეგიონალური ნიშნებით, იყო ადგილობრივი ნაციონალური არქიტექტურის ხაზების მატარებელი და მისი ხასიათი ხუროთმოძღვრებაში განსხვავდებოდა თვითმყოფადობით.

თბილისს შეუძლია დაიტრაბახოს შენობათა საკმაოდ მნიშვნელოვანი კოლექციით, რომელიც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე პოპულარულ არქიტექტურულ მიმდენარეობას მიეკუთვნება. საბჭოთა პერიოდში არტ-ნუვოს ფენომენი ბურჟუაზიულ კულტურად იქნა შერაცხილი და ამგვარად იგნორირებული იყო.

XX საუკუნის დასაწყისში მრავალი შესანიშნავი არტ-ნუვო შენობა გაჩნდა არა მხოლოდ თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც: სოხუმი, გაგრა, ახალი ათონი, ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, დუშეთი, აბასთუმანი, ბორჯომი და სხვ. მრავალი საინტერესო არტ-ნუვო სამარხი მდებარეობს ისტორიულ

სასაფლაოებზეც. თუმცა მსოფლიოსთვის საქართველოს წვლილი ამ სტილში თითქმის უცნობია.

მიუხედავად იმისა, რომ არტ-ნუვო საერთაშორისო მიმდინარეობა იყო, ქართულ არტ-ნუვო არქიტექტურაში ადგილობრივი ფორმებია შერწყმული. შედეგად მიღებულ იქნა ორიგინალური სინთეზი ევროპული სტილის ფასადებისა ქუჩის მხარეს და ქართული ხის აივნებისა არტ-ნუვო დეკორაციებით ეზოს მხარეს. ამ სტილის არქიტექტურა ევროპული ნიმუშების მექანიკური განმეორება არ ყოფილა: აქ ვხვდებით არტ-ნუვო ორნამენტებს ორიგინალური დაგეგმარებით, ავეჯით, მოზაიკით, მოჭიქული მინის პანელებით, ძეგლებით, ბუხრებით, ინტერიერის სხვა დეკორაციებითა და მაღალმხატვრული ფასადებით.

საქართველოში მრავლად გხვდება არტ-ნუვოს სტილის არქიტექტურა.

ეროვნული ბანკის შენობა, (1910წ) არქიტრქტორი მ.ოგაჯანოვი. ბანკის შენობა თბილისური მოდერნის სტილის მნიშვნელოვანი ნიმუშია. მთავარი ფასადის სახეს ტალღოვანი ფრონტონებით დასრულებული შუაში აზიდული და ორი განაპირა რიზალიტი ქმნის. დასამახსოვრებელია მოჭიქულფილებიანი მრგვალი ტონდოები, ფართო ვიტრინების ალათების დენადი ნახატი. სიმეტრიული ფასადის უმნიშვნელოვანესი აქცენტი მის შუა ღერძზე მოქცეული, ფართო თაღოვანი ღიობის გარდიგარდმო მოთავსებული, ნიღბიანი, ნაკვეთი ფორმით გაერთიანებული მერკურისა და პლუტონის ჰორელიეფური ფიგურებია. მოდერნის სტილი ინტერიერშიც დაცულია.

ზუბალაშვილების სახალხო სახლი – თბილისში დღევანდელი კ.მარჯანიშვილის თეატრი, აშენებული ძმები ზუბალაშვილების ხარჯით 1909 წელს. სახალხო სახლის საძირკველში ჩატანებულია ლითონის ფირფიტა რუსული წარწერით:"კ.ი. ზუბალოვის სახალხო სახლს საფუძველი ჩაეყარა 1902 წლის 24 სექტემბერს, ზუბალოვის შთამომავლების ლევანის, სტეფანეს, პეტრე და იაკობის მიერ. ეს სახლი შენდება ამ შთამომავალთა სახსრებით. სახლის მშენებლობას ხელმძღვანელობს

არქიტექტორი როგოისკი, საქალაქო ინჟინერის, არქიტექტორ ს. კრიჩინსკის პროექტის მიხედვით".

თი-ბი-სი ბანკის შენობა (ყოფილი უნივერმაღი, 1910წ) აგებული კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოების დაკვრთით, პროექტი ეკუთვნის ლუჩანო დე ბლასა და ანჯელო ანდრეოლეტის. მას აქვს გამორჩეული დეკორატიული ფასადი და ინტერიერი. (ილუსტრაციები იხ.დანართ 4-ში)

ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობაა ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსი. ყოფილი სახელმწიფო ბანკის კანტორა 1910 წელს (ლ.გუდიაშვილის ქ. 7) მიხეილ ოჰანჯანოვის და რ. გოლენიშჩევის პროექტით აშენდა. იგი ერთ-ერთი საუკეთესოა თბილისის მოდერნის სტილით ნაგებ შენობათა შორის.

საჯარო ბიბლიოთეკის I კორპუსი

საჯარო ბიბლიოთეკის I კორპუსი - ყოფილი სათავადაზნაურო ბანკი ანუ ქართული ბანკი (ლ. გუდიაშვილის ქ. N3) მოდერნის ნიშნებს ატარებს ინტერიერიც, არქიტექტურული ელემენტების დენადი ფორმები, ვიტრაჟული გადახურვა. კლასიკურ ქალაქთმშენებლობაში დამკვიდრებული პრინციპებიდან არქიტექტორმა შეიმუშავა არქიტექტურული ნაგებობისა და ბუნებრივი გარემოს ერთიანი ესთეტიკური იდეალის დაცვის პრინციპი. (ილუსტრაციები იხ.დანართ 4-ში)

საბჭოთა პერიოდში ბურჟუაზიული არტ-ნუვოს სტილის მრავალი უნიკალური ძეგლი სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა. 1990-იან წლებში ქართველ არქიტექტორთა ჯგუფის მიერ შეიქმნა ქართული არტ-ნუვოს გადარჩენის ჯგუფი, რომელთაც რამდენიმე პროექტი განახორციელეს ამ დარგში: ღია საზოგადოება საქართველოს ფონდის დაფინანსებით ჯგუფმა 1997 წლის აპრილში მოახდინა თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი შენობის დოკუმენტაცია.

2.1.1. უცხოური ანალოგების (რიგა, ბაქო) ანალიზი და შედარება სამამულო პრაქტიკასთან

არქიტექტორები, დიზაინერები და ფენ-შუს თეორეტიკოსები სადარბაზოს თვლიან ადგილად, სადაც მყუდროებისა და დაცულობის განსაკუთრებული ატმოსფეროს გამო მყარდება კავშირი ქუჩასა და საცხოვრებელს შორის. სადარბაზოში ემშვიდობებიან საცხოვრებლის სიმყუდროვეს და ემზადებიან ქუჩისა და ქალაქის შესახვედრად.

რიგის სადარბაზოების მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ანტონიასის ქუჩის სადარბაზოები რიგაში. რიგის სადარბაზოების მოხატულობა დეკორატიულია და მინიმალისტური, სრულიად განსხვავდება ბაქოსა და თბილისის მოხატული სადარბაზოებისაგან. (ილუსტრაციები იხ. დანართ 5-ში)

რაც შეეხება ბაქოს სადარბაზოებს, აღმოსავლური ხასიათიდან გამომდინარე ბევრად უფრო პომპეზური და მდიდრულია. ხშირია

ჟანრული სცენები, დეკორის სიუხვე, ეკლექტურობა და თბილისის სადარბაზოების მსგავსად თვითმყობადია. (ილუსტრაციები იხ. დანართ 5-ში)

თბილისის ერთ-ერთი კოლორიტი სახლების სადარბაზოებია. თავად სადარბაზო, როგორც არქიტექტურული ელემენტი მე-19 საუკუნის ბოლოს, 50-60 წლების შემდგომ, ახალი ტიპის "ფეშენებელურ" სახლებთან ერთად ჩნდება, როდესაც არისტოკრატია სულ უფრო ევროპული ყოფის სტანდარტებისკენ მიისწრაფის და წინანდელი სახლების მასშტაბით აღარ კმაყოფილდება. უხვად მორთულმა სადარბაზო-ვესტიბულმა განსაკუთრებით პარადული, საზეიმო იერი შესძინა თბილისურ სახლს და უხვად მორთულ სახლის ფასადთან ერთად ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა.(ილუსტრაციები იხ.დანართ 6-ში)

ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე სახლის სადარბაზოს მოხატულობა

თბილისურ სადარბაზოთა დეკორის სტილი ეკლექტურია - ფსევდოკლასიციზმიდან მოდერნის ჩათვლით, შესაძლოა დროის ერთსა და იმავე მონაკვეთსა და ერთი ინტერიერის ფარგლებშიც კი თანაარსებობდეს ფსევდორენესანსის, ფსევდობაროკოს, ფსევდოკლასიციზმის ნიშნები და მოდერნის სტილი. თუმცა სტილის თვალსაზრისით ზოგადად მაინც ორი ტიპის სადარბაზო შეიძლება გამოვყოთ. ერთში კლასიციზმის ელემენტები, რენესანსული მოტივები ჭარბობს, მეორეში კი მოდერნის სტილის ნიშნები.

სადარბაზო წარმოადგენდა შესასვლელს ერთ ან რამდენიმე ბინაში. ერთ სახლს ორი სადარბაზო შეიძლება ჰქონოდა - ერთ-ერთი პირველ სართულს, ხოლო მეორე ზედა სართულებს. მდიდრულად მორთულ სახლის ფასადთან ერთად, ის მეპატრონის სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა და სადღესასწაულო იერის გარდა კომფურტულიც უნდა ყოფილიყო.

მოდერნის სტილში გადაწყვეტილ სადარბაზოებში პლასტიკური დეკორი მეტადრე კიბისა და კარის ფორმით შემოიფარგლება, კედლები სადაა, პლასტიკური დანაწევრებისა და პროფილირებული მოჩარჩოებების გარეშე. დეკორი ძირითადად ფერწერულია. მხატვრობა თავისუფლად, დანაყოფების გარეშე ნაწილდება კედლებზე და მოდერნის სტილისთვის ტიპიური დინამიკურობითა და ერთგვარი ჰაეროვნებით, მეტი სიმსუბუქით გამოირჩევა. აქ სტილიზებული ორნამენტული მოტივები ჭარბობს, რომელთა რიტმულ სტრუქტურაში ხშირად რეალისტურად დაწერილი პეიზაჟებია ჩართული. ამ სტილის სადარბაზოები XX საუკუნის I ათწლეულს მიეკუთვნება და შედარებით ნაკლები რაოდენობითაა შემორჩენილი.

I მსოფლიო ომმა არტ-ნუვოს სტილის დასასრული განაპირობა. სამყარო და შესაბამისად, მისი ესთეტიკაც შეიცვალა. არტ-ნუვოს ზედმიწევნით სტილიზებული დიზაინი, დამახასიათებელი ელეგანტურობა, მგრძნობიარობა, სიკაშკაშე რომელიც თავისთავად საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, შეცვალა უფრო რაციონალურმა, უფრო სწორხაზოვანმა, მართკუთხა არტ-დეკომ და ბაუჰაუზმა, რომელიც უფრო იაფი და, როგორც მიიჩნევდნენ, უფრო ესთეტიური იყო წმინდა ინდუსტრიული თვალსაზრისით, თუმცა, მათშიც იგრძნობოდა XX საუკუნის ერთ-ერთი უმთავრესი კულტურული მიმდინარეობის გავლენა. აღსანიშნავია, რომ ეს გავლენა ასევე დიდი იყო 1960-70-იანი წლების ხელოვნებაზე.

განხილული მაგალითების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ:

- თბილისური სადარბაზოები ძველი ქალაქის კოლორიტის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ზოგჯერ ის გვამცნობს კიდევაც სახლის ისტორიას და თავგადასავალს, მოგვითხრობს მის მშენებელსა და მესაკუთრეზე, განსაზღვრავს პირველ შთაბეჭდილებას და ქალაქური ყოფის კულტურას, სახლის აშენების დროსა და ატმოსფეროს. დღევანდელ მნახველს ისინი წარსული ბურჟუაზიული, ქალაქური ყოფის უეცარ ხიბლად, გარდასული ეპოქის რომანტიკულ მოგონებად წარმოუდგება .
- არტ-ნუვოს (მოდერნის) სტილი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში როგორც ევროპაში ისე ამიერკავკასიაში ითვალისწინებდა კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ ისტორიულ ტრადიციებს. ნაციონალური ხაზები, გავლენას ახდენდა ქალაქის იერსახეზე და თავისებურად აისახებოდა ადგილობრივი შენობების ინტერიერებზე.
- მიუხედავად ცივილიზაციისა და ტექნიკის განვითარებისა, ქალაქის მასშტაბების ზრდისა, გათვალისწინებულია ნაციონალური არქიტექტურული სპეციფიკა, ადგილობრივ ტრადიციებთან კონტექსტში, რაც განასხვავებს ამ სამი ქალაქის არქიტექტურასა და შენობის ინტერიერს.

2.1.2. თანამედროვე შენობების სადარბაზოები

ტრადიციულად ითვლება, რომ საცხოვრებლის ელიტურობა განისაზღვრება მისი ადგილმდებარეობით, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს შესასვლელი საზოგადოებრივი სივრცეების გაფორმება. ეს არის სავიზიტო ბარათი, რომელიც პირველ შთაბეჭდილებას უქმნის მომსვლელს საცხოვრებელ სახლზე. თანამედროვე შენობების საზოგადოებრივი სივრცეები, მათ შორის სადარბაზოები, ინტერიერის გადაწყვეტებით, რა თქმა უნდა განსხვავდებიან ისტორიული შენობების ინტერიერის გადაწყვეტებისგან. ეს განსხვავება გამოიხატება, როგორც გაფორმების ხერხებში, ასევე თემატიკაში და მასალებში, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაში. სხვადასხვა ქვეყნებში

თანამედროვე სადარბაზოების ინტერიერების მოწყობის სტილი განსხვავებულია. მაგალითად, ინგლისური სტილი, გარკვეულწილად კონსერვატიული, ტრადიციულად ითვლება ელეგანტურობის და კარგი გემოვნების ნიმუშად. აქ აქცენტი გადატანილია მასალასა და ფორმა-პროპორციაზე. სრულიად განსხვავებულია ჩეხეთის საცხოვრებელი სახლის სადარბაზო. აღსანიშნავია მხატვარ ბორის ჩერნიჩენკოს მიერ ქ.ასტრახანში მოხატული 8 სართულიანი სახლის სადარბაზო. ქ.ფუნშალის (პორტუგალია) სადარბაზო გამოირჩევა სისადავით, გამწვანებითა და ნათელი ფერებით (ილუსტრაციები იხ. დანართ 7-ში)

ამრიგად სადარბაზოს ინტერიერი მისი მხატვრული გაფორმება დამახასიათებელია არა მხოლოდ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აშენებულ საცხოვრებელი შენობებისათვის, არამედ დღესაც მეტად აქტუალურია და განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

2.2.. თბილისის განაშენიანება და მოდერნის პერიოდის მონუმენტურ - დეკორატიული ფერწერა

ძველი თბილისი თავისი ვიწრო ქუჩებით, სამიარუსიანი ბაზრის მოედნებით, ხელოსნებისა და სავაჭრო რიგებით XIX ს-ის შუაში უკვე არ პასუხობდა ქალაქის მოთხოვნებს, რომელიც თანდათან გადაიქცა ადმინისტრაციულ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად სამხრეთ კავკასიაში.

ქალაქის კედლის გარეთ დაიწყეს ახალი თანამედროვე შენობების აგება. პროექტებს ამტკიცებდა უშუალოდ ნამესტნიკი და მოგვიანებით ქალაქის მმართველობა.ახალი ქალაქი შენდებოდა მკაცრი გეგმით, რომელსაც რუსი სამხედრო ტოპოგრაფები ადგენდნენ და რომელმაც განსაზღვრა ამ რაიონის ამჟამინდელი სახე.

ახლოს იმ ადგილთან, სადაც ახლა შოთა რუსთაველის მოედანია, იყო მოსკოვის კარიბჭე - გარეთუბნის პოლიციიის უბანი და შლაგბაუმი. კარიბჭე იყო მოთავსებული ხის ხიდზე, ხევზე, აქედან კიდევ ერთი ძველი დასახლებაა „მოსკოვის ბალკა“.

XIX ს-ის 70 -აინ წლებში ხევი ამოავსეს და იქვე ახლოს წარმოიშვა სამხედრო დასახლება, ზედა ვერე სადაც მივყავართ ძმებ კაკაბაძეების ქუჩას.

XIX ს-ის დასარული და XX ს-ის დასაწყისი - ეს ერთგვარი რენესანსია ქალაქის ისტორიაში. სწორედ ამ დროს დაიწყო თბილისმა სწრაფად ზრდა. გაჩნდა პრაქტიკული რაიონები, სადაც სახლდებოდნენ ცნობილი ადამიანები, ბურჟუაზია და ინტელიგენცია - ესენია: სოლოლაკი, მთაწმინდა, ვერე. გარეთუბანში, კერძოდ, მთაწმინდაზე, დაიწყეს დასახლება არისტოკრატიის წარმომადგენლებმა, სამხედროებმა და სამოქალაქო ჩინოვნიკებმა, ვაჭრებმა და მეწარმეებმა. აქვე დაიწყო სასტუმროების და თეატრების, მაღაზიების და ბანკების, საზოგადო და ადმინისტრაციული შენობების აგება, რამაც განსაზღვრა რაიონის პრესტიჟულობა.

ნაკლებ შეძლებული ქალაქელები ცხოვრობდნენ კალასა და ავლაბარში. ეს იყო ხელოსნებისა და ვაჭრების რაიონი. კალა და მეტეხი, ქალაქის ყველაზე ძველი რაიონები ძველთაგანავე მოთავსებული იყო ნარიყალას ციხის შიგნით. ისინი წარმოადგენდნენ ძველ ქალაქს.

მტკვრის მეორე ნაპირზე - კუკიასა და ჩუღურეთში სახლდებოდნენ ძირითადად ჩინოვნიკები და ჩამოსახლებულები გერმანელები.

ქუჩები დაგეგმარებული იყო პოლკოვნიკ ბანოვის და მიწისმზომ ტოვარნიცკის მიერ და შეესაბამებოდა არა მარტო სამოქალაქო, სამხედრო საჭიროებასაც, მიწის გაყიდვა და სახლის მშენებლობა ნებადართული იყო შენობის პროექტის დამტკიცების შემდეგ - თვით კავკასიაში მეფისნაცვლის ან შემდგომ ქალაქის მმართველობის მიერ.

ძირითადი გზა, რომლისგანაც ზუსტად დაგეგმილი სისტემით იშლებოდა ქუჩები ზემოთ, მთაწმინდის ფერდობზე, იყო გოლოვინის პროსპექტი (რუსთაველის პროსპექტი). 1848 წელს პროსპექტის ორივე მხარეს მოწყობილი იყო ტროტუარები და დარგული იქნა ხეები. 1862 წლიდან წყალი სახლებს მიეწოდებოდა წყალგაყვანილობით. მას აწვდიდნენ მტკვრიდან, 1880 წელს ერევნის მოედნიდან (თავისუფლების მოედანი) მოსკოვის ზასტავამდე (ვარდების რევოლუციის მოედანი) გაყვანილი იყო ცხენის რკინიგზა - კონკა. 1892 წლიდან გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე შემოღებული იქნა სახლების ნუმერაცია. კენტ მხარეს განთავსებული იყო საზოგადო შენობები, ხოლო წყვილზე - საცხოვრებელი სახლები და სასტუმროები. პროსპექტის ასეთი გეგმარება შემონახულია დღემდე.1897 წ. ჯერ ადმინისტრაციულ, შემდეგ კი კერძო სახლებშიც ჩნდება ელექტროობა.

XIX საუკუნის II ნახევრიდან თბილისის არქიტექტურაში გაჩნდა ახალი ტიპის ნაგებობები – საშემოსავლო საცხოვრებელი სახლები, ფაბრიკა-ქარხნები, ბანკები, დიდი მაღაზიები და სასტუმროები, რკინიგზის სადგური, საგამოფენო პავილიონები და სხვა. სახლები შენდება სხვადასხვა ისტორიული სტილის მიბაძვით, დამკვეთის გემოვნებით. მკვიდრდებოდა

დასავლეთ ევროპაში იმხნად გაბატონებული არქიტექტურული ფორმები, რომლებიც ძირითადად დამყარებული იყო რენესანსული-ბაროკოს სტილზე.

ახალი დრო კარნახობდა ახალ მიმართულებებს არქიტექტურაში და სახლების შიდა დეკორში. წარმოიშვა სახელოსნოები, რომელშიც მხატვრები ამზადებდნენ სპეციალურ ტრაფარეტებს კედლებისა და ჭერის მოსახატად.

ზოგჯერ შემკვეთს უნდოდა რაღაც ორიგინალური. ასე გაჩნდა ნახატები ბიბლიური, ისტორიული, ლიტერატურული სიუჟეტებით, მთლიანი ჟანრული სურათებით. თბილისურ სადარბაზოებს ხატავდნენ: ბ.ტელინგატერი, დე მარცო, პოზნანი, რ.კერგელი, გ.ზაზიაშვილი, ე.ვეფხვაძე, კ.ტრიგორიანცი. თბილისური სახლების კარადების უმეტესობას რთავდნენ ანტონ ბოვაკის ფირმის ხელოსნების სკულპტურული ნამუშევრებით. მასთან მუშაობდნენ მისი შვილები ფრანცი და იოზეფი, ასევე კ.სოუჩეკი, მ.დოლიძე, ი.ხეინინელი, ძმები აგლაძეები და სხვა.

ანჯელო ანდრეოლეტის ფირმა დაკავებული იყო ქვის და მარმარილოს იატაკების დაწყობით, სკულპტურულ-მარმარილოს სამუშაოებს ასრულებდა ფირმა ბერნარდა ჯიდე და ანტონიო რიცი. ყველა მათგანი მუშაობდა მაშინ პოპულარულ სტილსა და ტექნიკაში, როგორიცაა trompo-l'oeil, ordo, rusticus, stucco, caisson, fachwerk, ასევე ბაროკო, როკოკო, კლასიციზმი და მოდერნი.

XIX ს-ის შუაში ტიფლისში გაჩნდა პირველი სამჭედლო-სახელოსნოები, რომლებიც მხატვრული ჭედვით იყვნენ დაკავებული.

ცნობილი სახელები მჭედლებისა, რომელთა მიერ თბილისში ბევრი ლამაზი აჟურული, ჭედური აივნები, ჭიშკრები, კიბის მოაჯირები, სადარბაზოს კარებებია - კერერი, როხოვი, ბარტი, ბედური, ქიმერიძე, ელისაბედაშვილი და სხვა.

ივ. ვეფხვაძის მოგონებებით „თბილისში ბევრ საქმოსანს ჰქონდა გახსნილი სამხატვრო - საფირნიშო სახელოსნო. მათ დაქირავებული ჰყავდათ ნამდვილი ხელოსანი-მხატვრები, შეგირდები“. „ასეთი სახელოსნო ჰქონიათ, მაგალითად, ზიგმანსა და ტარანს. 1905 წლის მანძილზე მე მათ სახელოსნოში ვმუშაობდი.“ ასეთივე სახელოსნო ჰქონია ვინმე არსენ გრიგორიანცს და ვინმე გურშტეინს, სადაც როგორც ივ. ვეფხვაძე იხსენებს „ჩემი პირადი საქმე იყო დარბაზთა ერის მოხატვა დეკორაციული ხასიათის ყვავილებითა და ორნამენტებით. გატაცებული ვიყავი ალფრესკოს ხელოვნებით.“ აქ ის მთავარ მხატვრადაც დაუნიშნავთ. გურშტეინის დაკვეთით მას განჯაში სასტუმროს მოხატულობაც შეუსრულებია „რომლის თემას ბახუსის ცხოვრების ციკლი წარმოადგენდა“. 1916 წელს გურშტეინთან ყოფნისას მას თბილისში იმხანად პოპულარული საგანელიძის კაფე-საშაქარლამო მოუხატავს.

სადარბაზოთა მოხატვაზე იყო სპეციალიზირებული გიგო ზაზიაშვილიც. მისი მოხატული სადარბაზო შემოგვრჩა ქეთევან წამებულის 20 ნომერში. ცნობილია ასევე რომ ნიკო ფიროსმანს მცირე ხნით გიგო ზაზიაშვილთან ერთად სახელოსნოც კი გაუხსნია, მაგრამ როგორც ჩანს თავმოყვარე და მედუქნეების მიერ მეტსახელად „გრაფად“ წოდებული ნიკო ფიროსმანი დაკვეთის ზედმიწევნით ბურჟუაზიულ გემოვნებას ვერ უნდა შეგუებოდა.

მიუხედავად სიძვირისა, ქალაქელები ცდილობდნენ თავიანთი სახლები გაეფორმებიათ არა მხოლოდ ფასადური სკულპტურებით და სადარბაზოებით, ფერწერით, არამედ მხატვრული ჭედურობით. ამისათვის ხელოსნები იწერდნენ კატალოგებს რუსეთიდან და ევროპიდან. კატალოგები გამოცემული იყო პარიზის მეტროს სადგურის პირველი

დეკორის ავტორის მიერ, მოდერნის ფუძემდებლის ფრანგი მხატვრისა და არქიტექტორის ეკტორ გიმარის მიერ. (ილუსტრაციები იხ.დანართ 8 ში).

საქართველოში ყველა იმხანად გავრცელებული ტიპის ნაგებობა შენდება და ამ მხრივ XX საუკუნის დასაწყისის ქართული არქიტექტურა სრულ შესაბამისობაშია მის თანამედროვე რუსეთისა და დასავლეთის განვითარებული ქვეყნების არქიტექტურასთან. შენობებს შორის განსხვავება არქიტექტურის მხრივ, დამოკიდებულია როგორც დამკვეთის სოციალურ-ქონებრივ დონეზე, ასევე, არქიტექტორის კატეგორიაზეც. მდიდართა სახლებს უფრო კვალიფიციური არქიტექტორები აშენებენ, წვრილ ნაგებობების პროექტებს კი, მეტწილად, ნაკლებად ცნობილი არქიტექტორები ან ინჟინერ-ტექნიკოსები ასრულებენ. ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში, ჩვენშიც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გასაქირავებლად აშენებულ, მრავალბინიან, მსხვილ შემოსავლიან სახლებს, განსხვავება მეცხრამეტე საუკუნის სახლებისგან მათი მოცულობის და სართულიანობის მომატებაა. ეს სახლები მდიდარი არისტოკრატიის, უფრო მეტად კი მსხვილი ბურჟუაზიის კუთვნილებაა.

თბილისის ცენტრალური რაიონი მთაწმინდა გარეთუბნის ერთ-ერთი მიკრორაიონი გადაჭიმულია სოლოლაკიდან ვერემდე, მთაწმინდის ფერდობზე რუსთაველის გამზირის ზევით. ამ რაიონის განაშენიანება დაიწყო 1810-1820წწ. და ერთ-ერთი პირველი აქ აშენებული იყო კავკასიის არმიის შტაბი, გაუპტვახტა, არსენალი და კავკასიაში სამოქალაქო და სამხედრო მთავარმმართებლის სახლი.

კავკასიის არმიის შტაბი რუხი ფერის, მკაცრი სიმეტრიის შენობა ადრეული რუსული კლასიციზმის ნიმუშია. შენობას 1 ზეძირკვლის და 3 სრულფასოვანი სართული აქვს. პირველი სართულის შუა ნაწილი დამუშავებულია სტილისთვის სახასიათო ნახევარწრიული თაღედით. სიმეტრიულად განთავსებულია ჯერ სწორკუთხა ფორმის, სვეტებით (პილასტრებით) გამოყოფილი სამ-სამი სარკმელი, მერე ეზოში შესასვლელი

მაღალი გვირაბი (მარცხნივ) და სადარბაზო (მარჯვნივ), ორივე მრგვალი თაღით დასრულებული. ჰორიზონტალურო ზოლები რუსტების მობათქაშული იმიტაციაა. მეორე სართულის შუა ნაწილს იკავებს მაღალი ლოჯია, იონური კოლოსალური ორდერით დამუშავებული, მის აქეთ-იქით ორივე სართულზე ასევე სწორკუთხა ფორმის სამ-სამი სარკმელია. კომპოზიციას ამთავრებს არა ჩვეული ფრონტონი, არამედ პარაპეტს ამოფარებული კოშკი, რომელსაც ოთხივე მხარეს სასაათო ღიობი გააჩნია. საათის კოშკი დღემდეა შემორჩენილი (საათის გარეშე).

კავკასიის არმიის შტაბი

თბილისში ძირითადად ადგილობრივი არქიტექტორები აშენებდნენ. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე არქიტექტორთა შორის, გამოირჩევიან: ლეოპოლდ ბილფესდი, კორნელი ტატიშჩევი, ალექსანდრე შიმკევიჩი, ზურაბიანი, ალექსანდრე ოზეროვი, გაბრიელ ტერ-მიქელოვი, ანატოლი კალგინი, ღაზარ სარქისიანი, მიხეილ ოჰანჯანოვი, ალექსანდრე როგოისკი, მიხეილ ნეპრინცევი და სვიმონ კლდიაშვილი. მათ მიერ შექმნილი საცხოვრებელი სახლები და საზოგადო შენობები დღესაც შემონახულია და ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას შეადგენს. ყოველ სახლს თავისი ისტორია აქვს. მათი სიმაღლე უმთავრესად ორიდან ოთხ სართულამდე მერყეობს, ყველა მათგანი მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული კაპიტალური შენობაა, ქუჩის მასშტაბის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით აგებული.

მეფისნაცვლის სასახლე, სასახლის მშენებლობის უმთავრესი ეტაპები თბილისში მოღვაწე შვედ ხუროთმოძღვარს, ოტო იაკობ სიმონსონს უკავშირდება. მისი მონაწილეობით 1858-1859 წლებში შენობის არასრული გადაკეთება მოხდა, 1865-1869 წლებში კი საფუძვლიანი რეკონსტრუქცია. სიმონსონმა საგრძნობლად გაზარდა მთავარმართებლის ძველი, 1845-1847 წლებში სემიონოვის მიერ აშენებული სასახლე და მას სრულიად ახლებური იერი მიანიჭა: კლასიცისტური ფასადი რენესანსული ელემენტებით ჰარმონიულმა ერთობლიობამ შეცვალა. (წახნაგოვანი და ხორკლიანი რუსტიკა, კორინთულკაპიტელიანი პილასტრებისა და თაღოვანი ღიობების მონაცვლეობით შედგენილი მწკრივი, გელერეების თაღედი, მედალიონები, რკალური ფრონტონები). შენობის ფასადები მკაცრი და ოფიციალურია. განსხვავებული და საზეიმო იერი აქვს მხოლოდ სამხრეთ ფასადს, რომელიც რკინის სვეტების მქონე ღია კიბე-აივნით არის ბაღისკენ მიმართული. ინტერიერი, XIX საუკუნის თბილისური სასახლეების ტრადიციისამებრ, კლასიცისტურ ორდერთან ერთად (დიდ ფოიეში, მეფისნაცვლის მისაღებსა და კაბინეტებში) გვიანირანული არქიტექტურისთვის დამახასიათებელ მორთულობასაც შეიცავს. (სტუკოს ორნამენტები და სარკეები, სტალაქტიტებიანი ნიშები და ფრიზები, მუშარაბიანი სარკმლები მთავარ დარბაზში). არქიტექტორ არჩილ ქურდიანის ხელმძღვანელობით, 1941 წელს შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. (ილუსტრაციები იხ.დანართ 8-ში)

ტფილისის ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი (1870-90, არქიტ. რ. გედიკე, დ. გრიმი; ახლანდელი პარლამენტის შენობის ადგილას), მართლმადიდებელი ქრისტიანული საკათედრო ტაძარი, აგებული რუსეთის იმპერიული მმართველობის მიერ. იგი რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთან გამარჯვების აღსანიშნავად აღიმართა. ნეობიზანტიური სტილის ნაგებობა ალექსანდრეს ბაღის ზედა ნაწილში, ღუნიბის მოედანზე იყო აგებული. 1917 წელს იგი გადაეცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს. 1921 წლის თებერვალში

ტაძრის ეზოში დაკრძალული იყვნენ იუნკერები. 1930 წელს კომუნისტურმა მთავრობამ ტაძარი დაანგრია და მის ადგილას მთავრობის სასახლე ააშენა.(ილუსტრაციები იხ.დანართ 8-ში).

ქალაქის საკრებულოს შენობა (1872წ.) ქალაქის ყოფილი სათათბიროს ახლანდელი თბილისის საკრებულოს შენობა თბილისის განაშენიანებაში ფსევდომავრიტანული სტილის ფასადით გამოირჩევა. ნაგებობა მთავარი ფასადით დედაქალაქის ცენტრალურ, თავისუფლების მოედანზეა. შენობის გეგმარება ეკუთვნის თბილისელ არქიტექტორს ალ. ოზეროვს, ხოლო ფასადი გერმანელ არქიტექტორ პაულ შტერნს. ფასადის მორთულობის დომინანტური მოტივია ღია და მუქი ფერის მონაცვლეობით დანაწევრებული გრძივი სარტყლები. ცენტრალურ ნაწილში შენობა მაღალი შპილით დაგვირგვინებული კოშკითაა აქცენტირებული. საკრებულოს ინტერიერში გამორჩეული ადგილი უკავია ქართული ორნამენტული ნაძერწობით მორთულ სხდომათა დარბაზს, რომელიც ასევე ალ. ოზეროვის შექმნილია. (ილუსტრაციები იხ.დანართ 8-ში).

სახაზინო თეატრი (1880-1896), ახლანდელი ოპერისა და ბალეტის თეატრი, არქიტექტორი ვ. შრეტერი; 1896 წლის 3 ნოემბერს თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სახაზინო თეატრი, რომელიც 16 წლის მანძილზე შენდებოდა. „მავრული სტილი“ საკონკურსო პირობებშივე ყოფილა დათქმული. კონკურსში წარდგენილი ოთხი პროექტიდან გაიმარჯვა პეტერბურგელმა არქიტექტორმა ვ. ა. შრეტერმა, რომელმაც პროტოტიპად ბაიროითის ვაგნერისეული თეატრი აიღო. ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის ფასადების „მავრულ“ სამოსელს ქმნის ისრული და ნალისებრი თაღები, სტალაქტიტებით შემკული დეკორატიული კოშკურები, ხალიჩასავით მოფენილი და არშიებად გაყოლებული ორნამენტები. ოპერის შენობის პროექტის საბოლოო ვარიანტში მთავარ ფასადს შუაში მიუმატეს ორსართულიანი შვერილი, რომელმაც ქვემოთ, შესასვლელის წინ, ერთგვარი კარიბჭე შეადგინა, ზემოთ კი - ფართო „მავრული“ თაღებით გახსნილი ტერასა. გვერდის ფასადებშიაც

თაღოვანი ლოჯიები ჩართეს. ოპერის თეატრის შენობა არის სამფასადიანი რაც თბილისში ძალიან იშვიათია, შენობის ფასადების აღქმა ყველა მხრიდან შეიძლება უკანა ფასადის გამოკლებით. (ილუსტრაციები იხ. დანართ 8-ში).

დიდების ტაძარი (1892წ). ამჟამინდელი საქართველოს მხატვართა გალერეა, რომელსაც თბილისელები „ცისფერ გალერეას" უწოდებენ, წარსულში „დიდების ტაძარი" ერქვა და ის კავკასიაში რუსეთის არმიის წარმატებული საომარი ოპერაციების უკვდავსაყოფად იყო აგებული. სამხედრო ისტორიული მუზეუმის პროექტის ავტორი არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი იყო. მუზეუმი 1880-1883 წლებში რომში აგებული საგამოფენო სახლის ასლია. ფანჯრების უქონლობის გამო, დღის სინათლის მისაღებად დარბაზი მინით გადახურეს. სახურავის ასეთი კონსტრუქცია ერთ-ერთი პირველი იყო თბილისში. მთავარი ფასადის ყრუ კედელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მიკრული ჰქონდა ლითონის ათი დაფა, რომლებზეც აღნიშნული იყო კავკასიის ომში მნიშვნელოვან გამარჯვებათა თარიღები და ცნობები. ფასადის ნაპირებში ორივე მხარეს, მოწყობილია თაროები, რომლებიც, სავარაუდოდ, განკუთვნილი იყო ქანდაკებების დასადგმელად. მუზეუმს თავისებური გალავანი ჰქონდა – გადაჯვარედინებული ზარბაზნები და მათ შორის გაბმული ჯაჭვები. ძველი ცნობების თანახმად, ეს იყო თურქული ზარბაზნები. გალავანი მოაშორეს, ისევე, როგორც ფასადზე ჩამწკრივებული წარწერებიანი დაფები. 1920 წელს საქართველოში სახვითი ხელოვნების პირველი მუზეუმი – „საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა" მოეწყო, რომლის პირველ ხელმძღვანელად დიმიტრი შევარდნაძე დაინიშნა. სწორედ ამ მუზეუმში გამოიფინა პირველად ლადო გუდიაშვილისა და დავით კაკაბაძის ნამუშევრები. (ილუსტრაციები იხ.დანართ 8-ში).

კლასიკური ტრადიციის ხაზის გაგრძელებაა სომეხი ვაჭრისა და მეცენატის მიხეილ არამიანცის დაკვეთით აშენებული სასტუმრო „მაჟესტიკი" (XXს-ის 10-იანი წლები), თბილისში მოღვაწე რუსი

არქიტექტორის ალექსანდრე ოზეროვის პროექტით. შენობის საბოლოო ვარიანტი თბილისელმა არქიტექტორმა გ.ტერ-მიქელოვმა შექმნა. რუსთაველის პროსპექტის განაშენიანებაში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი შენობაა.როგორც სივრცის მაორგანიზებელი მძლავრი კომპონენტი, თავისი მდებარეობითა და მოცულობის საერთო კონფიგურაციით პროსპექტს მნიშვნელოვანწილად ანიჭებს მომხიბვლელ პლასტიკას, რაც ამ შენობის ერთ-ერთი მთავარი ღირსებათაგანია.

თავის დროზე თბილისის ყველაზე დიდი სასტუმროს ხუთსართულიანი იმპოზანტური შენობა, კარგად მონახული მასშტაბით, კლასიკური არქიტექტურის კანონებს ემყარება. როგორც ფასადების, ასევე ინტერიერის კომპოზიციური გადაწყვეტის წამყვანი თემაა კორინთული ორდერი. ოსტატურადაა მონახული ფასადების რიტმული დანაწევრება და არქიტექტურულ ფორმათა დახვეწილი ნახატი, რომელთა ზომიერი გამოყენება ხელს უწყობს მთლიანობის შთაბეჭდილებას. ნაგებობის ფასადთა მორთულობის საფუძველს რენესანსულ-ბაროკული ფორმები წარმოადგენს (რუსტიკა, კორინთულკაპიტელიანი, ნახევრადწრიული და ბრტყელი გიგანტური პილასტრები, ქვის კრონშტეინებზე დაყრდნობილი სამკუთხა და რკალური ფრონტონები და სხვ.). გამზირისპირა ფასადის განაპირა ნაწილში მსხვილი კოლონებით აქცენტირებული მთავარი შესასვლელია მოთავსებული. შენობას ასრულებს მეოთხე სართულის მძლავრი ანტაბლემენტი და ატიკის სართული, რომელსაც ნაძერწრიკულებიანი პარაპეტი აგვირგვინებს.

არტისტული საზოგადოების თეატრი (1901, არქიტ. კ. ტატიშჩევი, ა. შიმკევიჩი; (ახლანდელი შ. რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრი), მშენებლობა ,,ისაია პიტოევისა და ამხანაგობის" სავაჭრო სახლმა ითავა. საძირკველი 1898 წლის 18 ნოემბერს გაიჭრა. არქიტექტორებმა გვიანდელი ბაროკოსა და როკოკოს ორნამენტიკა გამოიყენეს. თავდაპირველად შენობას მრავალფუნქციური დანიშნულება ჰქონდა, იგი საკლუბო ნაგებობას წარმოადგენდა.(ილუსტრაციები იხ.დანართ 8-ში).

იუსტიციის სამინისტროს ყოფილი შენობა. (ილუსტრაციები იხ.დანართ 7-ში) შენობა რომელშიც იუსტიციის სამინისტრო მდებარეობდა, 1898 წელს აიგო არქიტექტორ კორნელი ტატიშჩევის პროექტით. თავდაპირველად იგი საშემოსავლო სახლს წარმოადგენდა. რუსთაველის გამზირისპირა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩისპირა ფასადების გადაწყვეტა ღიობებისა და ნაძერწი ელემენტების თანაბარ რიტმს ემყარება და ნაგებობა ერთიან რიტმს ქმნის მომიჯნავე შენობასთან, რომელიც 1897 წელს ააგო არქიტექტორმა პაულ შტერნმა (რუსთაველის გამზ.№30) (ილუსტრაციები იხ.დანართ 8-ში).

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია 1901-04 წლებში აშენდა არქიტექტოტ ალექსანდრე შიმკევიჩის პროექტით. შენობის ფასადზე არაცენტრალურად მოთავსებული, კოლონებით მონიშნული პორტალი და მის ზემოთ მდებარე გიგანტური ბრტყელი პილასტრები რუსთაველის გამზირიდან ამავალი ქუჩის პერსპექტივას ასრულებს. ნაგებობა ეკლექტურია, ფასადის გაფორმებაში რენესანსულ-ბაროკული არქიტექტურის ელემენტებია გამოყენებული, ინტერიერის მორთულობა მოდერნის ნიშნებს შეიცავს. 1942 წელს ორი სართული დააშენეს რამაც უხვად მორთული ანტაბლემენტი იმსხვერპლა. შენობის გვერდით ფასადზე მოთვსებულია ანტონ რუბინშტეინის ქანდაკება, რომელმაც 1891 წელს გამართული კონცერტის მთელი შემოსავალი თბილისის მუსიკალური სასწავლებლის აგებას მოახმარა.(ილუსტრაციები იხ.დანართ 8-ში).

უზენაესი სასამართლოს შენობა(1894წ) (არქიტექტორი ალექსანდრე შიმკევიჩი) მომგებიანი ადგილმდებარეობით, მომაღლო ადგილას წამომართული მონუმენტური ნაგებობა მეფური სიდარბაისლით გადმოჰყურებს მთაწმინდის უბანს. იგი კლასიკური არქიტექტურული ხელოვნების ჩინებული ნიმუშია, რომელიც მნახველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის დედაქალაქზე, მასში თვალნათლივ აირეკლება არა მარტო ერის კულტურულ-ინტელექტუალური დონე, არამედ ქვეყნის ტექნიკური შესაძლებლობანიც. არქიტექტორმა ყურადღება გაამახვილა მასშტაბსა და ახალ ფორმათა ჰარმონიულ შერწყმაზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ სტრუქტურებთან. შეიმუშავა არქიტექტურული ნაგებობისა და ბუნებრივი გარემოს ერთიანი ესთეტიკური იდეალის დაცვის პრინციპი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობა იმთავითვე სასამართლოსთვის იყო გათვალისწინებული. არქიტექტურული დაგეგმარებით მკაფიოდ იყო დაცული საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. მთავარი ოთხსართულიანი ფასადის საერთო აღნაგობა შუა (ვესტიბიულითა და დარბაზებით) და გვერდის რიზალიტები, შემოსასვლელები ცენტრში და ფრთებზე, ორი სიმეტრიული ჭიშკარი გეგმის ფუნქციური გადაწყვეტილებითაა ნაკარნახევი. ხუროთმოძღვრული დამუშავება გვიანი რენესანსისა და ბაროკოს იტალიური (უმეტესად რომაული) პალაცოების ფასადთა მოტივებს ემყარება, რომლებიც ჩვენში XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასავლური არქიტექტურის მეშვეობითაა შემოსული. (ილუსტრაციები იხ.დანართ 8-ში).

ამ პერიოდის ნაგებობათაგან აღსანიშნავია: ზუბალაშვილის სასტუმრო არქიტექტორი ჯუზეპე ბერნარდოცი (1835წ) ამჟამად შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი (ილუსტრაციები იხ. დანართ 8-ში); მ.ნეპრინცევის მიერ აგებული რეალური სასწავლებლის ყოფილი შენობა უ.ჩხეიძის 20; საცხოვრებელი სახლი - ჭავჭავაძის 1 ჩიხი №3 (1913-14წ), საცხოვრებელი სახლი ინგოროყვას 20 (1914წ) და სხვა.

ყურადღებას იმსახურებს ა.შიმკევიჩის კავკასიის სააბრეშუმო სადგური დ.აღმაშენებლის გამზირზე. აბრეშუმის მუზეუმის მთავარ შენობას მაღალ ცოკოლზე მდგომი შეულესავი წითელი აგურის ფასადები აქვს შუა რიზალითზე მიდგმული ძლიერად შვერილი პორტიკი და ცენტრალური ნაწილის დამასრულებელი მანსარდა კი შენობას მონუმენტურობას სძენს და გამოარჩევს მიმდებარე განაშენიენბისგან. სტილისტური თვალსაზრისით ნაგებობა მრავალი ტრადიციის შერწყმის შედეგია. შენობის ფასადები ითავსებს ე.წ. "რუსული სტილის", კლასიცისტურ თუ გოთურ და ისლამურ ფორმებს. აღსანიშნავია ინტერიერის მორთულობა, რომელიც კლასიკური არქიტექტურის არქიტექტურულ მორთულობასთან ერთად, აბრეშუმის თემაზე მისადაგებულ ნაძერწ ელემენტებსაც შეიცავს – ფრიზი, კარნიზი, პილასტრი, კაპიტელი – ხან თუთის ფოთლით, ხან აბრეშუმის ჭიით, ხან პარკითა თუ ჭუპრით არის გამოძერწილი. აღნიშვნის ღირსია ასევე მუზეუმის საგამოფენო დარბაზსა და ბიბლიოთეკაში ალექსანდრე შიმკევიჩის ესკიზებით დამზადებული, თავდაპირველი სახით შემონახული ავეჯი. (ილუსტრაციები იხ.დანართ 8-ში).

გარდა საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებისა, ა.შიმკევიჩის პროექტებით თბილისში აშენდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, რომელთა ფასადები ძირითადად რენესანსულ-ბაროკოს სტილიშია გადაწყვეტილი. არქიტექტორის მთავარი მიზანი იყო გაეთვალისწინებინა შენობის ემოციურ-მხატვრული და იდეოლოგიური როლი, არ დაეყვანა იგი უსულო უტილიტარიზმამდე, არ გაეხადა პასიური. კლასიკურ ქალაქთმშენებლობაში დამკვიდრებული პრინციპებიდან არქიტექტორმა ყურადღება გაამახვილა მასშტაბსა და ახალ ფორმათა ჰარმონიულ შერწყმაზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ სტრუქტურებთან. შეიმუშავა არქიტექტურული ნაგებობისა და ბუნებრივი გარემოს ერთიანი ესთეტიკური იდეალის დაცვის პრინციპიც.

დღეს მსოფლიოში მოდერნის სტილით აშენებული მხოლოდ რამოდენიმე კინოთეატრი არსებობს. მათ შორის არის კინოთეატრი “აპოლო”. 1909 წელს აშენებული კინოთეატრი პირველი იყო თბილისში. შენობის არქიტექტორი უცნობია, მაგრამ ცნობილია რომ ის გერმანელ კოლონისტთა მდიდარ წარმომადგენელს ეკუთვნოდა, ხოლო მისი არქიტექტურული მორთულობა "არქიტექტურული ძერწვის" ოსტატებს, ნოვაკსა და სოუჩეკს შეუსრულებიათ. სამსართულიანი შენობა თბილისში აღმაშენებლის გამზირისა და ია კარგარეთელის ქუჩების კუთხეშია, ქუჩათა გადაკვეთაზე ნაგებობა სფერული გუმბათით გადახურული ცილინრული ნაწილით გამოდის. ფასადები სწორკუთხა და თაღოვანი დიდი ფანჯრებით და გიგანტური იონიური პილასტრებით არის დანაწევრებული. ძირითად სამკაულს მოდერნის სტილისთვის დამასახიათებელი ნაძერწი გირლანდებისა და გვირგვინებისგან შემდგარი კიმპოზიციები და სიმბოლური ფიგურული რელიეფები წარმოადგენს. ფასადის მხატვრულ სახეს დიდად განაპირობებს ჩეხი ოსტატების მიერ შესრულებული სიმბოლური ფიგურილი რელიეფებისაგან, გირლიანდებისა და წნულებისაგან შემდგარი მხატვრული კომპოზიცია. შენობას ნაძერწი კრატერებით აქცენტირებული არასწორხაზოვანი უკარნიზო კონტური ასრულებს. მოდერნის სტილის მრავალ ნიშანს შეიცავს ნაგებობის ინტერიერიც (ილუსტრაციები დანართ 8-ში).

სვიმონ კლდიაშვილის ქართული გიმნაზია „კლასიკური“ არქიტექტურის ნიმუშია (1906წ) (ახლანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი). ნაგებობის ფუნქცია იმთავითვე მიზანშეწონილად და მოხერხებულად იყო გააზრებული ისევე, როგორც მისი ქალაქმშენებლობითი მნიშვნელობა. სიმეტრიული, წარმოსადეგი სამსართულიანი შენობა, თავისი ქალაქური მასშტაბით, დახვეწილი პროპორციული წყობით, სოლიდურობით, ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობაა, თუმცა მისი ფასადების გადაწყვეტაში ორიგინალური არაფერია, ის სავსებით თავსდება რენესანსულ-ბაროკული ეკლექტიკის ფარგლებში და ევროპისა და რუსეთის სასწავლებლების

ტრადიციულ გადაწყვეტას მოგვაგონებს. მთავარი ფასადის ცენტრალურ ნაწილს გუმბათით დასრულებული შვერილი წარმოადგენს, რომელიც რუსტრირებული და გიგანტური კორინთული პილასტრებითაა გაფორმებული. ფართო კიბისა და სიმეტრიული პანდუსის კომპოზიცია ფასადს პარადულობას ანიჭებს.(ილუსტრაციები იხ.დანართ 8-ში).

(1903-1905წ) სახლი მოდერნის სტილის არქიტექტურის ნიმუშია. ფასადის მოპირკეთების დროს უხვადაა გამოყენებული ტალღოვანი ფრონტენები, ნაძერწი ნიჟარები, მცენარეული ორნამენტები. ეს სახლი თბილისური და ევროპული არქიტექტურის შერწყმის ბრწყინვალე ნიმუშია. (ილუსტრაციები იხ. დანართ 8-ში)

რუსთაველის 54-ში ულამაზესი სახლი დგას. ის 1897 წელს არქიტექტორ კორნელი ტატიშჩევის პროექტით აშენდა, სახლის პატრონი თავადი ვასილ გაბაშვილი იყო. ეს სახლი განაშენიანების სიღრმეშია მოქცეული და ამიტომ გამვლელების თვალსაა მოფარებული. მას თბილისური სახლებისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი აქვს: აივანი, მოხატული სადარბაზო, ეზო ბაღითა და შადრევნით, ალაყაფის ჭიშკარი. მისი ფასადის მშვენებაა ხის ორიარუსიანი მოხარატებული აივანია, რომელიც განსაზღვრავს შენობის მაღალმხატვრულ სახეს. ასეთი აივანი ტრადიციულია თბილისისათვის მაგრამ იგი დღეს ერთადერთია, მისი ანალოგი თბილისში აღარაა. სადარბაზო კი ბაროკო-რენესანსულ ეკლექტიკურ სტილშია მოხატული და მოპირკეთებული.

რუსთაველის 54, თავად ვასილ გაბაშვილის სახლი

არქიტექტურული თვარსაზრისით აღსანიშნავია კ.ტატიშჩევის სახლი, (1897წ არქიტექტოტი კ.ტატიშჩევი სკულპტორი ნ.ალიევი) ლ.ასათიანის ქ. N18, სახლი წარმოადგენს ისლამური არქიტექტურისა და ძველ-თბილისური საცხოვრებლის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ნიმუშს. (ილუსტრაციები იხ.დანართ 8-ში)

მჟამინდელ დამკვეთსა და არქიტექტორს არ უფიქრია, რომ 100 წლის შემდეგ მისი მოდური გატაცება კულტურულ მემკვიდრეობად შეფასდებოდა მათ მხოლოდ ლამაზი, ორიგინალური სახლი ჭირდებოდათ ვინაიდან იმ ხანის ტფილისის რჩეული საზოგადოების გაოცება არც თუ ისე იოლი იყო. ქალაქში, შეიძლება ითქვას, ყოველ დღე ახალთახალი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, მდიდრულად გაფორმებული, არაჩვეულებრივი სახლები შენდებოდა.

თბილისში მოხატულ სადარბაზოებიანი სახლების რაოდენობა, რეკორდული იყო. ყოველ სახლს თავისი საინტერესო ისტორია ქონდა. მარმარილოს კიბეები და მოაჯირები, სპარსული ხალიჩები, სტუკის სტალაკტიტებით შეისრული თაღები, პოლიქრომული ორნამენტებით მორთული, აღმოსავლური სტილის ხალიჩისებური ვესტიბულის პლაფონი, კიბის უჯრედი და კედლის მოხატულობა მნახველის აღტაცებას იწვევდა.

არაჩვეულებრივი სახლი აუშენა (1908 წელს) კალანტაროვს ქალაქ შუშაში დაბადებულმა და პეტერბურგის სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, არქიტექტორმა გაზაროზ (ღაზარ) სარქისიანმა (1874-1946) სახლი ახლაც დგას მაჩაბლის და ასათიანის ქუჩების კუთხეში. ივანე მაჩაბლის 17/27, ასეთია მისი მისამართი დღეს. ფსევდომავრული ორიენტალიზმის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიმუში თბილისში. სახლს აქვს 2 მოხატული სადარბაზო. მთავარი სადარბაზო მავრიტანულ სტილშია გაფორმებული სტალაქტიდებით, შეისრული თაღებითა და ფერად ორნამენტებითაა მორთული. მსგავსადაა გაფორმებული კიბის უჯრედიც. სადარბაზო მოჭიქულფილებიანი ღუმელით თბებოდა. მეორე სართულის თაღი მარმარილოთია

მოპირკეთებული. ზედა სართული მოწყობილია შუქფარნით, რომლის ფერადი ვიტრაჟი დაკარგულია.

სახლს საინტერესო ისტორია აქვს და ის დღეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი (ილუსტრაციები იხ.დანართ 9-ში).

სპარსეთის კონსული მთელს კავკასიაში მირაზა-რიზე-ჰანი, გულოვიჩის, ამჟამინდელი დანიელ ჭონქაძის 11 ნომერში ცხოვრობდა, მისი ალმასის სასახლე აშენდა XIX-ე საუკუნეში. თავდაპირველად შენობა თბილისში სამუშაოდ ჩამოსულ გერმანელ ინჟინერს ეკუთვნოდა, რომელმაც ის 1889-1894 წლებში საქართველოში ირანის კონსულს, მირზა-რიზე- ხანს მიჰყიდა. სასახლის ოფიციალური გახსნა 1892 წლის 16 ივლისს გაიმართა. საქართველოში საგანგებოდ ჩამოყვანილი ირანელი ოსტატების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად შენობამ აღმოსავლური სახე მიიღო და სადარბაზოს კარსა და შენობის ფასადზე სპარსული წარწერები და სიმბოლოები გამოისახა. დღეისთვის, სადარბაზოსა და შენობის ერთ ოთახში უვნებლადაა შემორჩენილი ჭერის უნიკალური მორთულობა, სადაც მოჭიქულ კერამიკაზე დახატული არც ერთი პეიზაჟი და თაიგული არ მეორდება. თბილისში ჭერის ამგვარი შემკულობა სხვაგან არსად გვხვდება (ილუსტრაციები იხ.დანართ 10-ში).

XIX საუკუნის ბოლოსა და XX-ის დასაწყისის ქართულ ხელოვნებაში დიდი გავლენა ქონდა აღმოსავლური ხელოვნების ტრადიციებს. ქართულ მოდერნში ამ სტილის გავლენა შეიმჩნევა რაც აისახება რიგ შენობებში: კალანტაროვის სახლის სადარბაზოების დეკორში, სამხატვრო აკადემიის, ლ. ასათიანის ქუჩის №58 საცხოვრებელ სახლსის სადარბაზოს, საჯარო ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის და სპარსეთის კონსულის მირაზა-რიზე-ჰანის საცხოვრებელი სახლის (ჭონქაძის 11) მხატვრობაში. ყველგან უხვად არის წარმოდგენილი ხლიჩისებრი და ყვავილოვანი ორნამენტი, აღმოსავლური დეკორის დახვეწილი სიჭრელე; მოსაპირკეთებლად ირანიდან იწვევდნენ ყაჯრელ ხელოსნებს. მათ მიერ შესრულებული ნამუშევრები დღემდეა შემორჩენილი და დამსახურებულად იწვევს მნახველის აღფრთოვანებას.

საყურადღებოა დანიელ ჭონქაძის 12-ში თამბაქოს მწარმოებლის, პირველი გილდიის ვაჭრის ნიკოლოზ ბოზარჯანცის სახლი არქიტექტორი მ.ოგაჯანოვი (1917წ).(ილუსტრაციები იხ.დანართ 11-ში)

ჭონქაძის №4 - აბა მადათოვას სახლი, არქიტექტორი მ.ოგაჯანოვი (1902წ) (ილუსტრაციები იხ.დანართ 12-ში). ეს მოდერნის სტილის შენობაა, ულამაზესი კოშკით, საინტერესო ისაა, რომ სახლი ქუჩის მხრიდან უხილავია. მას მაღალი ქვის გალავანი ფარავს, რომლის ზემოთ ერთ დროს ბაღი იყო გაშენებული, ახლა ჩვეულებრივი ეზოა. გალავნიდან გვირაბით სადარბაზოში მოხვდებით და გრძელ კიბეს დაინახავთ, რომელიც სახლის ეზოში აგიყვანთ. ასეთი სიდიდის სადარბაზო-გვირაბი, თბილისში არსად გვხვდება. მხლოდ ამ სადარბაზოდანაა შესაძლებელი სახლის მთავარ ეზოში შესვლა.

აღსანიშნავია, რომ არქიტექტორ სარქისიანის კარიერა იმ დროისათვის შესაშური იყო. მან პირველი გილდიის ვაჭრის, მენავთობე ალექსანდრე მანთაშევის დაკვეთით არაერთი შენობა ააგო, მათ შორის ორი საშემოსავო სახლი, ამჟამინდელი გალაკტიონ ტაბიძის №3/5-ში და აღმაშენებლის №27-ში, ასევე მანთაშევის დაფინანსებით - სავაჭრო სკოლა

ააშენა, ახლა ეს 43-ე საჯარო სკოლაა ლ.ასათიანის ქუჩაზე. მას ზევით კიდევ ეტყობა საბჭოთა პერიოდში ჩამოშლილი წარწერა Манташевская торговая школа. ქიქოძის №4-ში 50-ე საჯარო სკოლა. ამ შენობაში ფუნქციონირებდა საფრანგეთის საელჩო 1918-1921 წლებში. (ილუსტრაციები იხ.დანართ 12-ში)

1903 წელს არქიტექტორმა ღაზარ სარქისიანმა მანთაშევის სავაჭრო რიგი ააშენა. იგი მოდერნის სტილის ორი ნაგებობისგან შედგება. ერთი ყოფილ არწრუნის ქარვასლას ემიჯნება, მეორე კი ბამბის რიგისა და შარდენის ქუჩის, ყოფილი ბნელი რიგის, გამყოფ ზღუდედ აღიქმება. ორივე ნაგებობა ქუჩის მრუდ მოხაზულობას მიჰყვება. ფასადებს ყოფილი დუქნების ღიობები ანაწევრებს სავაჭრო რიგის მთავარ მხატვრულ აქცენტს არწრუნის ქრვასლის მომიჯნავე შენობის ფასადზე არაცენტრალურად მოთავსებული რიზალიტი წარმოადგენს. რიზალიტს ამკობს კარის სამცენტრიანთაღოვანი თავსართი, ადამიანის სახის სიმბოლურ-გამოსახულებიანი საჭექი ქვით. თავსართი რუსტრირებულ სიბრტყეზეა მოთავსეული, მის ზემოთ კი ფართო ნალისებული სარკმელია (ილუსტრაციები იხ.დანართ 13-ში).

თბილისური სახლების თითქმის ყველა სადარბაზოს ოდესღაც ამშვენებდა ულამაზესი მოხატულობა. ეს მაშინ მოდური იყო და ყველა ცდილობდა ამითაც გაელამაზებინა თავისი საცხოვრებელი. ფართოდ მხოლოდ რამდენიმე სახლია ცნობილი. მაგალითად, სოლოლაკში შალვა დადიანის 18 (1880-90წწ) ეკლექტიკა რენესანსისა და ბარიკოსი. სადარბაზო მოხატულია ნეოკლასიციზმისათვის დამახასიათებელ მონოქრომულ კოლორიტში. კედლებზე ალეგორიული შინაარსის ქალის ფიგურებია გამოსახული, ისინი, სავარაუდოდ, წელიწადის სხვადასხვა დროს განასახიერებენ და დღემდე გვაოცებენ განუმეორებელი და დასრულებული სილამაზით.(ილუსტრაციები იხ.დანართ 14-ში)

ასევე სტილისტურად მსგავსია ზ.ჭავჭავაძის ქუჩის №5 საცხოვრებელი სახლის სადარბაზო, სადაც ასევე ალეგორიული ქალის ფიგურებია გამოსახული, კოლორიტი უფრო ჟღერადია და ეს საოცარი მხატვრობა თავისი ჰარმონიულობით დღემდე გვხიბლავს. (ილუსტრაციები იხ.დანართ 6-ში)

გალაკტიონ ტაბიძის №18, ძმები სეილანოვების სახლი, რომელიც 1911 წელს ასევე ღაზარ სარქისიანმა ააშენა და აქ სადარბაზო სრულად არის მოხატული. (ილუსტრაციები იხ.დანართ15-ში). ვესტიბიულის კედლებზე ქვეყნები და კონტინენტები ალეგორიულად არის წარმოდგენილი: აზია, ევროპა, აფრიკა, ამერიკა. კომპოზიციები ზეთის საღებავითაა შესრულებული და მათი ავტორი, სავარაუდოდ, ბენო ტელინგატერია.

ქვეყნების ალეგორიული გამოსახულებები და კიბის უჯრედში დეკორატიული ორნამენტები, კლასიციზმის და ბაროკოს მოტივები შერწყმულია რომანტიკულ პეიზაჟებთან.

სტილთა მრავალგვარობას, სიუჟეტთა ნაირსახეობას, ფერწერულობას და დეკორატიულობას პლასტიკურ მორთულობასთან ერთად სიმდიდრის შთაბეჭდილება უნდა შეექმნა. აღსანიშნავია მეპატრონეთა დეკორატიულად შესრულებული მონოგრამები. როგორც ჩანს, ეს აღნიშნავდა და ხაზს უსვავდა მფლობელის სტატუსს.

სადარბაზოში კლასიციზმის და ბაროკოს მოტივები განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი ვესტიბიულში, ქვედა სართულზე: კომპოზიციები შესრულებულია ზეთის ფერწერაში, რთულია და მრავალფიგურიანი. გამოყენებულია მონუმენტური ფერწერის კანონზომიერებები და სივრცის ილუზიის გამომსახველობითი ხერხები. თითოეული კომპოზიცია წარმოადგენს აბსოლუტურად თვითკმარ, დამოუკიდებელ ელემენტს, და ამავე დროს ქმნიან საერთო ფერწერულ-დეკორატიულ მთლიანობას. კომპოზიციებში აღსანიშნავია დეტალების ოსტატური დამუშავება და ფუნდამენტური ამოძერწვა. კოლორიტი ჟღერადი და დახვეწილია, რაც სადარბაზოს შესასვლელის დაბალჭერიან სივრცეს თავისი ძუნწი განათებით, აძლევს საკმაო დინამიურობას და ვიტალურობას. ქმნის პარადულ და პომპეზურ განწყობას.

საინტერესოა სართულებს შორის კიბის უჯრედები თავიანთი მოხატულობითა და დეკორით. ფაქტიურად, არ არის წყვეტა სართულებს შორის, არამედ მთლიანობის საერთო განცდა ბოლომდე მოგვყვება: კიბის უჯრედში, რა თქმა უნდა, შედარებით

განტვირთულია დიზაინი, მაგრამ ასეთი მსუბუქი პაუზა ძალიან დელიკატურად აკავშირებს ერთმანეთს სართულების ეკლექტურ თემატიკას და ვიზუალურ მრავალფეროვნებას.

მეორე სართულის მოხატულობა განსხვავებულია: აქ გვხვდება მაჟორული ხასიათის ხედები თითქოს „დანახული“ ვილების ბალუსტრადების მიღმა, მათ ახასიათებთ იტალიური და ფრანგული ლანდშაფტური ესთეტიკა. შესრულებულია უფრო მსუბუქ, იმპრესიონისტულ მანერაში, ერთგვარი ,,იაპონური,, პლასტიკის ელემენტებით. კოლორიტის სიმსუბუქეში და დეკორატიულ რიტმულობაში გათვალისწინებულია შემინული ჭერის სპეციფიკაც: სივრცე უფრო მასშტაბურად აღიქმება და არის ბევრი ჰაერის განცდა (ილუსტრაციები იხ.დანართ 15-ში).

გ. ტაბიძის ქუჩა 15 - მოხატულობა შემორჩენილია მხოლოდ პირველ სართულზე. სულ ოთხი ნიშაა. ნიშებში - ღამის რომი, ტყის, ზღვის სანაპირო და ჟანრული პეიზაჟებია, კლასიცისტურ მანერაში შესრულებული. ჭერი მორთულია ლაკონური ორნამენტებით და ყვავილებით. კუთხეებში მინდვრის ყვავილებია. კოლორიტი ძალიან თბილი და ჰაეროვანია. მორთულობა ძალიან მოკრძალებულია. (ილუსტრაციები იხ.დანართ 16-ში)

თამარ აბაკელიას ქ.№5. სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი (1880-1890 წლები). რენესანსისა და ბაროკოს ეკლექტიკა. პლაფონზე ცისფერ ფონზე გამოსახულია პუტტოს ფიგურები (ფრთებიანი ბიჭები). კედლები მარმარილოს იმიტაციაა, მოხატულია მცენარეული ორნამენტით. მცენარეული ორნამენტი მოდერნის სტილში მეორდება კიბის უჯრედშიც. ბოლო სართულს ამშვენებს ბრინჯაოს შუქფარნი, კოლორიტი ჟღერადია. (ილუსტრაციები იხ დანართ 17-ში) ლადო ასათიანის ქ.№13. სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი (1897წ) ეკუთვნოდა ი.შალიმოვს, არქიტექტორი ი.გარიცილოვი. რენესანსისა და ბაროკოს ეკლექტიკა. ვესტიბულის კედლები დაყოფილია პანოებად, რაზეც გამოსახულია ქერუბიმები. იატაკი მოპირკეთებულია კერამიკული ფილებით. კოლორიტი მინიმალისტურია.(ილუსტრაციები იხ დანართ 17-ში)

კონსტანტინე მაყაშვილის ქ.№18 (1910წ) სამსართულიანი სახლი მოდერნის სტილში. ვესტიბულის მოხატულობა ეკლექტურია და აერთიანებს რამოდენიმე სტილს: ბაროკოს, ამპირსა და მოდერნს.პლფონზე გამოხატულია პუტტოს ფიგურები (ფრთებიანი ბიჭები), აჟურულ ორნამენტში ფსევდო რენესანსის სტილიზაციაა. კოლორიტი ჟღერადი.(ილუსტრაციები იხ დანართ 17-ში).

აღმაშენებლის გამზირი №36. მოდერნის სტილის სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი (1903წ) ნაძერწი დეკორის სიუხვითა და დახვეწილობით გამოირჩევა. (ილუსტრაციები იხ. დანართი 18) შენობის სახეს მოდერნული ელემენტები განსაზღვრავს. რიზოლითები მომნიშვნელი პილასტრისებრი შვერილების დამასრულებელი ქალის თავის სიმბოლური გამოსახულებები, ტალღოვანი კარნიზები, ნაძერწი გირლანდები, ყვავილოვან ორნამენტებში ჩართული უჩვეულო კრონშტეინები თუ რკინის შეკიდული აივნების მოაჯირები.სადარბაზო მთლიანად შემკულია იმ დროისათვის დამახასიათებელი მოხატულობით. ეზოსკენ ნაგებობა ტრადიციული ხის აივნებით არის მორთული“.

გადმოცემის თანახმად, სადარბაზო ფლორენციელ მხატვრებს მოუხატავთ. სადარბაზოს მსგავსად, ბინებშიც ყოფილა მოხატული ჭერი მერცხლებით, პეპლებითა და პალმებში ჩაფლული ლამაზი ხედებით. სახლს ეზოს მხრიდან თბილისური ხის აივნები აქვს და გარე ფასადი სრულიად განსხვავებულია. კიბის ქვედა ნაწილებიც კი მოჩუქურთმებული ყვავილებითაა მოხატული. კედლებს ულამაზესი პეიზაჟები, სადარბაზოს ვესტიბულში გამოსახულია ბაღები ბავშვებითურთ, რომელნიც მოსახლეობაში „ედემის ბაღადაა“ წოდებული, ზედა სართულზე კლასიცისტური ტიპის პეიზაჟები, აღმოსავლური დეტალები და პლაფონზე გახსნილი ცის ხედი კუპიდონებით - ერთგვარი იდეალური მიკროსამყაროს შექმნის მცდელობა, სადაც ერთმანეთს ერწყმის დასავლეთი და აღმოსავლეთი, ზღაპარი და რეალობა. აქაც აღსანიშნავია მეპატრონის დეკორატიულად შესრულებული მონოგრამა.

გულგრილს ვერ დაგტოვებთ ხის ულამაზესი კარები, რომელიც სადარბაზოს დიზაინში საოცრადაა შერწყმული. ერთ-ერთ კარზე, მეტალის თხელ ფირფიტასაც დაინახავთ, რომელზეც სახლის ამშენებლის სახელი და გვარია ამოტვიფრული. ეს სადარბაზო აღსანიშნავია თავისი თემატურ-სიუჟეტური გადაწყვეტით: ქვედა სართულზე წარმოდგენილია შედარებით ლაკონური კომპოზიციები ბავშვების ფიგურებით, და პანოები განსხვავებული პეიზაჟებით. სტილისტურად გარკვეულწილად კიჩურ-ნაივურსაც გვაგონებს. ფერწერული გამა საკმაოდ სასიამოვნოა და ასახავს წელიწადის სხვადასხვა დროს.

აღსანიშნავია იატაკის დეკორირებაც, რაც ერთგვარი ხალიჩის ეფექტს ქმნის. სადარბაზოს შედარებით მცირე ფართი აქვს, ამიტომ შესაბამისად არ არის ჭარბად გადატვირთული მოხატულობითა და მორთულობებით, აქ უფრო ფსევდოროკოკოს მცდელობაა, რაც ყველაზე მეტად ჩანს ზედა სართულზე. მთლიანად მოხატულია კიბის უჯრედიც და ზედა სართულიც, მაგრამ სივრცე უფრო დახვეწილად არის ორგანიზებული და შესაბამისად არ იწვევს გადატვირთულობის განცდას. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩართულია ეროვნული მოტივები: კიბის უჯრედში წარმოდგენილია კომპოზიციები "ვეფხისტყაოსნის" თემაზე. (ილუსტრაციები იხ.დანართ 18-ში)

დავით აღმაშენებლის გამზირი №93. სადარბაზო ბენო ტელინგატერის მოხატულია და სეილანოვების სახლის მსგავსად აქაც ვესტიბიულში ქვეყნების ალეგორიული გამოსახულებები და კიბის უჯრედების დეკორირებული ორნამენტებია. გადმოცემის თანახმად, ბენო ტელინგატერის მოხატულია „ჩინური დარბაზი" და „გერმანული ოთახი" შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში, იგი ასევე ბაქოს თეატრების დეკორატორად მუშაობდა. აქაც გვხვდება მეპატრონეთა მონოგრამა (ილუსტრაციები იხ.დანართ 19-ში).

თავად სადარბაზო, როგორც არქიტექტურული ელემენტი მე-19 საუკუნის ბოლოს, 50-60 წლების შემდგომ, ახალი ტიპის "ფეშენებელურ" სახლებთან ერთად ჩნდება, როდესაც არისტოკრატია სულ უფრო ევროპული ყოფის სტანდარტებისკენ მიისწრაფის და წინანდელი სახლების მასშტაბით აღარ კმაყოფილდება.

უხვად მორთულმა სადარბაზო-ვესტიბულმა განსაკუთრებით პარადული, საზეიმო იერი შესძინა თბილისურ სახლს და უხვად მორთულ სახლის ფასადთან ერთად ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა.აღნიშნულ ვესტიბულში წარმოდგენილია ზეთით შესრულებული პანოები კონტინენტებისა და ქვეყნების ალეგორიებით. სადარბაზოს სტილი ეკლექტურია: ფსევდოკლასიციზმი შერეულია ფსევდობაროკოსთან, არის აღმოსავლური ესთეტიკის ელემენტებიც. საკმაოდ დატვირთული კომპოზიციებია, თავიანთი დეტალების სიმრავლითა და დამუშავებით. მოდერნისტული სადარბაზოების სიმსუბუქესთან შედარებით, მთლიანად ეს სადარბაზო უფრო ,,მძიმეა,, და გადატვირთული. მოხატულია კიბის უჯრედებიც. ზედა სართულზე შედარებით ,,მსუბუქდება,, მოხატულობა მაგრამ მაინც არის ბაროკისათვის

დამახასიათებელი დეკორატიული უჩვეულობა და სიჭარბე. პანოები საკმაოდ ჟღერადია ფერწერულად, გამოყენებულია სივრცობრივი

ილუზიები და ისტორიული ალეგორიების სინთეზი. სადარბაზო შემკულია რელიეფური ნაძერწობებით, მარმარილოს იმიტაციის პანელებით, კარნიზებით და ა.შ. და მთლიანად ახდენს ძალიან მდიდრულ და პომპეზურ შთაბეჭდილებას.

მეორე სართული ტიპიური ვენეციური პალაცოს დეკორს გვაგონებს.

ამ განხილულ სადარბაზოებში 1 სართულზე გვხვდება ძუნწი განათება და ჟანრული სცენები, ფსევდო როკოკოსა და ბაროკოს სტილში, არ არის წყვეტა სართულებს შორის, ზედა სართული უფრო მსუბუქია კოლორიტით, განსხვავებულია სტილით და გათვლილია გახსნილი ჭერის განათებაზე. ამ სადარბაზოების მხატვრობა მსგავსია ევროპული სასახლისა.

სარაჯიშვილის ქ. №3 (ილუსტრაციები იხ.დანართ 20-ში)

ბ. ახოსპირელის ჩიხი №3/7 ორსართულიანი სახლი მოხატულობა შემორჩენილია მხოლოდ ჭერზე, თვითმყობადი, მანერული სახალისო კიჩი (ილუსტრაციები იხ. დანართი 20 ში).

წინამძღვრიშვილის №39-ში კავკასიონის ხედები და იტალირუი, იდილიური პეიზაჟები ერთმანეთის გვერდით გვხვდება მხატვრობა ი.პოზნანისა. შესრულებული იყო კლასიცისტურ სტილში. სამწუხაროდ ამჟამად სადარბაზო გადაღებილია, მხატვრობა დაკარგულია. (გამოყენებულია ძველი ფოტოები).(ილუსტრაციები იხ. დანართ 20-ში).

ქეთევან წამებულის ქუჩა №20, გ.ზაზიაშვილის მოხატულობა

საცხოვრებელ სახლში ე.თაყაიშვილის ქუჩაზე №3-5, ქურდიანის ქუჩაზე მდებარე სახლის ანალოგირი მოხატულობაა (ილუსტრაციები იხ. დანართ 21-ში).

ქურდიანისა და თაყაიშვილის ქუჩებზე მდებარე სახლიებს სადარბაზოების მხატვრობა ტიპიური არტ-ნუვოს დეკორია. გამოყენებული ორნამენტი ყვავილოვანია, მომრგვალებულია, რკალისებრ ნიშებში ჩასმულია კლასიცისტური პეიზაჟები, კოლორიტი ჰაეროვანია. მოხატულობა შესრულებულია ერთი „არტელის“ მიერ.(ილუსტრაციები იხ.დანართ 21-ში)

აღსანიშნავია, რომ მოხატული სადარბაზოები გვხვდება არა მხოლოდ თბილისში, არამედ საქართველოს სხვა დიდ ქალაქებში მაგ.ბათუმში, გორგასლის 56, საცხოვრებელი სახლი. ფსევდოროკოკოს შესანიშნავი ნიმუშია: კომპოზიციები სტრუქტურულად ლაკონურია, სივრცობრივია და ფერწერულადაც შედარებით მსუბუქია. აგრეთვე, კედლებზე დეკორატიული ნაძერწობა და შემკულობა საკმაოდ განტვირთულია, არ არის რთული და ბრუტალური “გრეხილობები“. აქ მთავარ ყურადღებას, იპყრობს ჭერი: ყველაზე მეტად გაჯერებულია დეკორატიული მორთულობითა და ფერწერული კოლორიტით, ჭერის წამყვანობას ასევე აძლიერებს ცენტრში გეომეტრიული წრიული ფორმების კონცენტრირება.

კედლების მოხატულობა-შემკულობა მთლიანობაში ბევრად უფრო მსუბუქია, ვიდრე ჭერის. შესაბამისად მხატვრის ჩანაფიქრით ეს

ილუზია უფრო მეტად კომპაქტურს ხდიდა მოცემულ სივრცეს. (ილუსტრაციები იხ.დანართ 22-ში)

2.2.1. საზოგადოებრივი შენობების ინტერიერების ანალიზი

აღსანიშნავია, რომ მოდერნის პერიოდის მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერა გვხვდება არა მხოლოდ საცხოვრებელ სახლებში, არამედ საზოგადოებრივ შენობებში სამწუხაროდ, შემოგვრჩა მათი ძალიან მცირე ნაწილი. არტისტული კაფეები: ”ქიმერიონი” და “არგონავტების ნავი“, სამხატვრო აკადემიის შენობა, საჯარო ბიბლიოთეკა, სასტუმრო ლონდონის ვესტიბული, კინოთეატრ პალასის ფოიე (ამჟამად ჯ.კახიძის საკონცერტო დარბაზი).

მოკლედ გავიხსენოთ მოვლენები, რომლებიც წინ უძღოდა ქართულ-რუსულ შემოქმედებით-არტისტულ ერთიანობას საქართველოს კულტურული ცხოვრების 20-იან წლებში. XX საუკუნის დასაწყისში, 10-იან წლებში რუსეთში (მიუხედავად დიდი პოლიტიკური კატაკლიზმებისა) მხატვრულ-კულტურული ცხოვრება მაინც დუღდა, ყველგან შემოქმედებითი ატმოსფერო ტრიალებდა. მხატვრულ ცხოვრებაში მიმდინარე უამრავ მოვლენათა შორის გამოირჩეოდა 1911 წელს პეტერბურგში არტისტული კაფე-კლუბის „ბროდიაჩაია სობაკას“ გახსნა, რომელიც რუსეთის შემოქმედებითი საზოგადოების შეხვედრების ადგილად, მათ „სახლად“ იქცა. რუსული არტისტული კაფეები პარიზული კაფეების გავლენას განიცდიდა. რუსული კაფეების წინამორბედთა შორის იყო, მაგალითად, პარიზული „Chat Noir“ („შავი კატა“ 1881).





პეტერბურგის „სარდაფი“ (ასე უწოდებდნენ „ბროდიაჩაია სობაკას“) ბ. პრონინისა და ნ. საპუნოვის თაოსნობით გაიხსნა. „ბროდიაჩაია სობაკა“ იქცა ისეთ კაბარედ, სადაც შემოქმედებითი საზოგადოება თავად იყო მონაწილეც და მაყურებელიც. ამ კაფემ დიდი როლი ითამაშა ისეთი ადამიანების შემოქმედებით ცხოვრებაში, როგორებიც იყვნენ ალექსეი ტოლსტოი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, მაქსიმ გორკი, ველიმირ ხლებნიკოვი, ანა ახმატოვა, თამარა კარსავინა, ნიკოლაი საპუნოვი, სერგეი სუდეიკინი, ვსევოლოდ მეიერხოლდი, ალექსანდრ ტაიროვი, სერგეი პროკოფიევი, ევგენი ვახტანგოვი, კუზმა პეტროვ-ვოდკინი, ივან ფომინი და მრავალი სხვა. კაფეში გამეფებულ არაჩვეულებრივ ატმოსფეროს კედლების მოხატულობაც ხელს უწყობდა. „ბროდიაჩაია სობაკას“ ძირითადი მოხატულობა სერგეი სუდეიკინმა შეასრულა, თითქმის მთელი მხატვრობა ერთ ღამეში შექმნა. გადმოცემით აქ დახატული იყო პიერო და პიერეტა, არლეკინი, დონ-კიხოტი თავის როსინანტთან ერთად, სიუჟეტები ყველა დროის ფანტასტიკური რომანებიდან, უამრავი სხვადასხვა ორნამენტი და მრავალი სხვა.

ოქტომბრის რევოლუციამ და სამოქალაქო ომმა დაანგრია რუსეთის ბოჰემური ცხოვრება. იქაური ინტელიგენცია და არისტოკრატია ცივი რუსეთიდან თავისუფალი საქართველოსკენ გამოეშურნენ. ამ დროს თბილისში, სანკტ-პეტერბურგის მსგავსად, უკვე არსებობდა არტისტული კაფეები და თეატრებისა და გამომცემლობების გარეთ არტისტული ცხოვრება სწორედ კაფეებში ჩქეფდა. ეს კაფეები პეტერბურგის კაფე-კაბარეების კვალდაკვალ გაიხსნა, მაგრამ მათ ადგილობრივი საფუძველიც ჰქონდა.

თბილისში პირველი კაფე-კლუბი 1917 წელს გაიხსნა – „ფანტასტიკური სამიკიტნო“, ეს იყო ქალაქის ცენტრში პატარა ოთახი, რომელიც 10-15 კაცს იტევდა. აქ ალექსეი კრუჩონიმ, ილია ზდანევიჩმა და იგორ ტერენტევმა დააარსეს ფუტურიზმის შემსწავლელი სახლი, სადაც

იკითხებოდა ლექციები „ზაუმური“ პოეზიის შესახებ.... ამჟამად იგი აღარ არსებობს.

თბილისის არტისტული წრისათვის ("კრუუჟოკი") (რუსთაველის გამზ. N16) 1916 წელს არქიტექტორ დავიდ ჩისლიევის პროექტით აგებული შენობა ევროპული ნეოკლასიციზმის ნიმუშია. შენობა გრძივად მიჰყვება გამზირს, ბესიკის ქუჩის კუთხესთან კი მომრგვალებულია. პირველი სართული რუსტირებულია და ფართო სწორკუთხა ღიობებით არის დანაწევრებული. ვარდისფერი ქვით მოპირკეთებულ გამზირისპირა ფასადზე სამკუთხა ფრონტონით დაგვირგვინებული ფართო რიზალიტი გამოიყოფა. ფასადს რუხი ქვის გიგანტური სადა პილასტრები ანაწევრებს. ქვის გიგანტური პილასტრებით არის გამოყოფილი ნაგებობის მომრგვალებული კუთხეც, რომლის აივნების შემკულობა (დორიული სვეტები II სართულზე; მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის შესრულებული კარიატიდები III სართულზე) და მძლავრი ანტაბლემენტი არსებითია შენობის მხატვრული ხასიათისთვის.

არგონავტების ნავი

1918 წლიდან ნაგებობის სარდაფში გამართული იყო კეფე "არგონავტთა ნავი", (ამჟამინდელი ოფიცერთა სახლის სარდაფი), რომელიც მხატვრებმა კ.ზდანევიჩმა, ლ.გუდიაშვილმა და ალ.ბაჟბეუქ-მელიქოვმა მოხატეს.

,,არგონავტთა ნავს“ ბესიკის ქუჩასთან მომიჯნავე 169,67 კვ.მ. ფართობი ეკავა. ამდენად, კაფეს სივრცე ეხლანდელი ჩასასვლელიდან მარცხნივ, სარდაფის ბოლო ნაწილში მდებარეობდა. ეს აკმეისტების (პოეტთა თბილისური გილდია) შეხვედრების ადგილი იყო. რამდენიმე

წლის წინ, ძეგლთა დაცვის სამმართველომ აქ საცდელი გახსნითი სამუშაოები ჩაატარა და გამოჩნდა მხატვრობის ფრაგმენტები. აღმოჩნდა, რომ ფრესკები შემორჩენილი ყოფილა ჭერსა და კედლებზე გადაღებილი ბათქაშის ქვეშ. სამწუხაროდ, მოგვიანებით, დაუდევრობისა თუ უცოდინრობის გამო, ჭერსა და სვეტებზე არსებული მხატვრობა ვანდალურად ჩამოიფხიკა და ამჯერად მხოლოდ ერთ დიდ კედელზეა დარჩენილი ამ უნიკალური მხატვრობის ფრაგმენტები. მხატვრობის დარჩენილი ნაწილი სარდაფის ამ მონაკვეთის ჩრდილოეთ მხარეს კედელზე და მასში გაჭრილი ორი თაღის ზემოთაა განთავსებული. მოხატულობის საერთო ფართობი 19,8 კვ.მ-ია. დღეისათვის ზედა შელესილობის ჩამოცვენის ადგილებზე მისი მხოლოდ ნაწილები მოჩანს. მის ავტორად კირილე ზდანევიჩია მიჩნეული.

მხატვრობა გაჯით შელესილ აგურის კედელზე ტემპერის საღებავებითაა შესრულებული. მოხატულობა საკმაოდ დაზიანებულია, მაგრამ შემორჩენილ ხილულ ნაწილზე, სავარაუდოდ, ფანტასტიკური ბაღია გამოსახული ჭრელ სამოსში გამოწყობილი მოცეკვავეებით. ოსტატური ხელწერა და შესრულება, ფერადოვნება, კომპოზიციური წყობა - ყოველივე მოხატულობის მაღალმხატვრულ ხარისხზე მეტყველებს.

,,არგონავტების ნავის,, მოხატულობის დანარჩენი ნაწილის რესტავრაცია, კვლევა, ავტორის იდენტიფიცირება სამომავლოდ აუცილებლად შესასრულებელია. თუმცა დღეისათვის სარდაფის გამოკეტილ სივრცეში შესვლაც კი რეალურად შეუძლებელია.

ბორის კორნეევი 1919 წელს ჟურნალ ,,კურანტში,, წერდა: ,,მხატვრული მიმდევრობა ტიფლისში გასულ წელს, სხვა მიღწევებთან ერთად, აღინიშნა ბოჰემური ტიპის სტუდიის ,,არგონავტების ნავი,,-ს გახსნით. მისი კოლორიტი ცოცხლად მოგაგონებთ მსგავსი ტიპის პეტროგრადის დაწესებულებას ,,მოხეტიალე ძაღლი,, და აგრეთვე ,,კომენდიანტების თავშესაფარს,, (прівалъ комедиантовъ), სადაც ყველაფერი, დაწყებული სცენიდან და კედლის მხატვრობიდან და დამთავრებული შიდაგანაწესითა და იდეური შინაარსით, გათვლილია თავის მაყურებელზე: პოეტზე, მხატვარზე და არტისტზე, რომლებიც აქ ეძებენ ერთის მხრივ შესაძლო შესაბამის დასვენებას და მეორეს მხრივ შეიმეცნებენ და ქმნიან ახალ იერსახეებს და იდეებს. მაგრამ ,,ნავმა,, თავისი პუბლიკა ვერ იპოვა. მასა, რომელიც მოაწყდა ,,ნავს,, აღმოჩნდა მოკლებული იმ განწყობასა და ფაქიზ გემოვნებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ შესაბამის წარმატებას ამ ევროპული წამოწყების - კულტურულობის ჩარჩოში შეთავსებულ თეატრსა და რესტორანს. მეორე მხრივ ,,ნავის,, აყვავებას საკმაოდ უშლიდა ხელს შესაბამისი მხატვრული ძალების.“

თბილისის ბოჰემური ცხოვრების ავანგარდი „ცისფერყანწელები“ იყვნენ. როდესაც ცისფერყანწელებმა გადაწყვიტეს, ჰქონოდათ თავშეყრის ადგილი, საკუთარი კაფე, ისინი რესტორან „ანონაში“ დამკვიდრდნენ, რომელიც რუსთაველის პროსპექტზე, არტისტული საზოგადოების თეატრის შენობის სარდაფში მდებარეობდა (ახლანდელი შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის ქვედა ფოიე). დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ კაფეს სახელიც შეურჩიეს – “ქიმერიონი” (სახელი აღებულია ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსიდან, ხოლო იდეა გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნოდა).

“ალბათ მთელს ქვეყანაზე არ არის კაფე, რომელიც იტევდეს იმდენ შთაგონებას და შემოქმედებას, როგორც ქიმერიონი” – წერდა ტიციან ტაბიძე. ლადო გუდიაშვილი იხსენებდა, რომ გოგლა ლეონიძეს აქ ქორწილიც კი გადაუხდია.

„ქიმერიონის“ დარბაზის მოსახატად მოუწვევიათ იმ დროს თბილისში მყოფი, რუსეთის საიმპერატორო თეატრის მხატვარი, პარიზის დიაგილევის სეზონის ოსტატი-დეკორატორი, პარიზის კაფეების მოხატულობის შესანიშნავი მცოდნე – სერგეი სუდეიკინი. კაფე იხატებოდა 1919 წელს. მასთან თანამშრომლობდნენ დ. კაკაბაძე და ლ. გუდიაშვილი. ზოგიერთი ცნობით, აქვე მუშაობდნენ კირილე ზდანევიჩი და ზიგა ვალიშევსკი (თუმცა, ფაქტობრივი მასალით, ეს ცნობა არ დასტურდება). დარბაზის გვერდითა სათავსოები ცოტა მოგვიანებით, 20-იან წლებში მოსე და ირაკლი თოიძეებს მოუხატავთ.(ილუსტრაციები იხ.დანართ 23-ში)

კაფე „ქიმერიონში“ მოხდა თანამედროვე რუსული და ქართული მხატვრობის შერწყმა. თანაც, ეს შერწყმა იმდენად ორგანული და ბუნებრივი იყო, რომ მიუხედავად ამ სამი მხატვრის მკაფიოდ გამოხატული სხვადასხვა ხელწერისა, მოხატულობა ერთიან ანსამბლურობას ემორჩილება და საერთო თეატრალურ, ოდნავ მისტიურ განწყობასაც ქმნის.

ჭერის დეკორის ავტორი იყო ალექსანდრე ზალცმანი.

“ქიმერიონის” მოხატულობა გართულებული და არაერთ-მნიშვნელოვანი სტრუქტურაა. ერთის მხრივ, ის მხატვრის ნამუშევართა კრებულია - სამი ინდივიდუალური ხელწერა და სამი შემოქმედის სუბიექტური ხედვაა. ყოველი მათგანი კაფეს კედლებს, საკუთარი ამოცანების განხორციელებისათვის როგორც ახალ გარემოს, ახალ პირობებს, ისე მოიაზრებს. ლ.გუდიაშვილის, ს.სუდეიკინისა და დ.კაკაბაძის მიერ შერჩეული თემებიც სხვადასხვაა და მათთვის ის ფასეულია. მეორეს მხრივ “ქიმერიონის” ნამუშევრები მხატვრული მთლიანობა - ერთიანი სისტემაცაა, რომელიც არქიტექტურასთან შეთანხმებული ერთიანი პროპორციებითა და მასშტაბით ფორმათქმნადობის ერთიანი პრინციპების დაცვით, სივრცის სტრუქტურისა და მისი ფუნქციური დანაწილების გათვალისწინებით მეთოდურად იქმნება. მთლიანობის ხარისხი კი მხატვართა ნიჭითა და მათ წინაშე დასმული ამოცანის გასიგრძეგანების უნარითაა განპირობებული.

ს.სუდეიკინი “ქიმერიონის” მოხატულობაში გამოკვეთილ მხატვრულ ინდივიდუალურობად ჩანს, კედლის მხატვრობის, სივრცის გაფორმების ფუნქციასაც რადიკალურად განსხვავებულად მოიაზრებს, მაგრამ როგორც მოხატულობის თანამონაწილე, იგი იზიარებს “ქიმერიონის” მოხატულობაში ქართული, ეროვნული, მეთოდების პრინციპებს. ამიტომ “ქიმერიონის” მხატვრობა, როგორც კედლის შემკულობა მწყობრ და თანამიმდევრულ სისტემას წარმოადგენს. ცალკეულ კომპოზიციათა სქემა და მათი სივრცეში ურთიერთმიმართება ისეთია, რომ განსაზღვრავს დარბაზში მნახველის მოძრაობის ორიენტირებს, გადაადგილების რიტმს და კარნახობს კომპოზიციების აღქმის თანამიმდევრობას. ლ.გუდიაშვილის “სტეპკოს დუქანი” თავისი კომპოზიციური სქემით როგორც გახსენება თბილისური დუქნის, მისი ყოფის კოლორიტის, მთავარ დარბაზში ჩასასვლელად გიბიძგებს, სადაც “ქიმერიონის” ბურჯებსა და კედლებზე ს.სუდეიკინის მიერ შესრულებულ ნამუშევართა გარემოცვაში აღმოჩნდები. ს.სუდეიკინის მიერ შექმნილ მრავალფეროვან სახეებზე გამოვლილი მზერა საბოლოოდ ფიქსირდება დ.კაკაბაძის “შემოქმედი და მუზა”-ზე და ერთგვარად წერტილს სვამს მსვლელობაში. ეს კომპოზიცია გაწონასწორებულობით, ფრონტალურობით, ჰორიზონტალური განშლითა და მკაცრი სიმეტრიულობით, ისევე როგორც ფიგურათა შედარებით დიდი ზომებით გაიძულებს შეჩერებას, “გამცნობს” მთელი მსვლელობის დასასრულს. შესასვლელის მოხატულობა როგორც შესავალი, “ქიმერიონის” ერთგვარი “სავიზიტო ბარათია”.

1920 წლის ოქტომბრის მიწურულს აქ მოეწყო ბოლო საღამო, ლიტერატურულმა კაფე „ქიმერიონმა“ არსებობა შეწყვიტა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ „ქიმერიონი“ ერთხანს ტ. ტაბიძემ და ნ. მიწიშვილმა აიღეს იჯარით, ეწყობოდა სამწერლო საღამოები ხოლო 1922 წელს განათლების კომისარიატს გადაეცა, მაგრამ ვერ იმუშავა და მალე დაიხურა კიდეც.

ლ. გუდიაშვილი “სტეპკოს დუქანი” და თეატრალური ფარდის გამოსახულება

კაფეს სტუმრები

ბალერინები

მასხარები

დ.კაკაბაძე “შემოქმედი და მუზა”

კაფეს კედლები გადაიღება, დარბაზი ფოიედ გადაიქცა და თბილისური არტისტულ-ბოჰემური ცხოვრების ბოლო თავშესაფარი უკვალოდ გაქრა. (ილუსტრაციები იხ. დანართ 23-ში)

კინოთეატრი "პალასი" (ამჟამად ჯ.კახიძის სახელობის საკონცერტო დარბაზი) ტიპიური მოდერნის ხანის შენობაა, შემორჩენილია ფოიეს მოხატულობა. კინოთეატრ პალასის ფოიეს ინტერიერი წარმოადგენს ფერწერით ფართოდ დატვირთულ სივრცეს. ჭერზე და გვერდით კედლებზე მრავლად არის ორნამენტები, რომეთა შორის ფერწერული ტილოებია. სვეტებზე და კედლებზე სურათებთან ქანდაკებებია, ეს ქანდაკებები დაგვირგვინებულია ორნამენტალებით. (ილუსტრაციები დანართ 24-ში)

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შენობა - ვართან არშაკუნის ბროლის სასახლე (გრიბოედოვის ქუჩა N22, ყოფილი კომენდანტის ქუჩა).

სომეხი კომერსანტის ვ. არშაკუნის ოცნების სასახლე XIX საუკუნის 1850-იანი წლების ბოლოს აშენდა არქიტექტორ გრიგორი ივანოვის პროექტით. 1869-1886 წლებში ამ სახლში „საარტისტო წრე" იყო მოთავსებული. სამხატვრო აკადემია დაარსების დღიდან - 1922 წლიდან, ამ შენობაში ფუნქციონირებს. შენობა მხატვრული გადაწყვეტით ეკლექტურია და ეფუძნება კლასიცისტურ, ისლამურ და ბაროკოულ სტილიზაციას.

1902 წელს შენობის მარცხენა ნაწილი (იგი ამ დროს უკვე ქობულაშვილებს ეკუთვნოდათ) გადაკეთდა არქიტექტორ სვიმონ კლდიაშვილის პროექტით, მან შეინარჩუნა ღიობთა ფორმა, ფასადი კი ბაროკოს ელემენტებით მორთო: ნაძერწი ნიჟარები, გირლანდები, ნიღბები, ქალის თავის გამოსახულებები, მაღალი „კრონშტეინები" და სხვა.

არქიტექტურული მორთულობით ნაგებობა XIX ს-ის თბილისური სასახლეების ტრადიციას მისდევს, ამავე დროს სამსართულიანი ფასადი ევროპულია, ხოლო ინტერიერში კი გვიანირანული დეკორია გამოყენებული: სტუკოს ორნამენტები სარკეებიან ფონზე, სპარსულწარწერიანი მედალიონები, სტალაქტიტური ფრიზები და ა.შ.

ინტერიერის კედლის მხატვრობაში გამოყენებულია აღმოსავლური მინიატურები, ასევე მუშარაბებიანი ღიობები, ბუხრების მოყვანილობა და სხვა. ეს ყველაფერი თბილისში მომუშავე ირანელი ოსტატების ხელით იყო შესრულებული.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შენობა

ინტერიერის მთლიანი სტილი თავისი ეკლექტურობით ახდენს საოცარ შთაბეჭდილებას: თითქოს გენიალურ სპარსულ ხალიჩას ვუყურებთ, თავისი ურთულესი და დახვეწილი ორნამენტით და ჭრელი, აღმოსავლური კოლორიტით. ზოგადად, ინტერიერის დიზაინი უნდა აკმაყოფილებდეს დამკვეთის ამბიციას და შესაბამისად ეს მეტყველებს დამკვეთის გემოვნებაზეც. ამიტომ ეს მოჭარბებული მორთულობა აღნიშნულ ინტერიერში, პირველ რიგში არის სომეხი კომერსანტის სურვილის გამოხატულება, რომელიც მთელი ცხოვრება ოცნებობდა აეშენებინა თავისი ,,ოცნების სასახლე,,! რა თქმა უნდა ეს კიჩია, მაგრამ 21-ე საუკუნის გადასახედიდან ძალიან თვითმყოფადი და დახვეწილი კიჩი! (ილუსტრაციები ი. დანართ 25 ში)

საჯარო ბიბლიოთეკის I კორპუსი - ყოფილი სათავადაზნაურო ბანკი ანუ ქართული ბანკი (ლ. გუდიაშვილის ქ. N3) (1913-1916წ), (არქიტექტორი ანატოლი კალგინი, მხატვარი ჰ.გრინევსკი). ფასადის დეკორი ნეოფიტე, ვლადიმერ და ლავრენტი აგლაძეების მიერ არის

შესრულებული. ნაგებობა ძველი ქართული ხუროთმოძვრული მოტივების გამოყენების ერთ-ერთი სრულყოფილი ნიმუშია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მომდევნო პერიოდის ქართული არქიტექტურის განვითარებაში. მსხვილ ბურჯებზე დაყრდნობილი ღრმა გალერეა-ლოჯია, გუდიაშვილის ქუჩის მხარეს, ისევე, როგორც გვერდითი გალერეა და კუთხეში აღმართული კოშკი, მოჩუქურთმებული სარკმლები და ორნამენტული რომბები ნაგებობის საზეიმო ხასიათს განაპირობებს. აღსანიშნავია ინტერიერიც: ვესტიბიულისა და ყოფილი საოპერაციო დარბაზის (სამკითხველო დარბაზი) კამარათა მოხატულობა, ქვის მოაჯირის მოდერნის სტილისათვის დამახასიათებელი დენადი ფორმები.

აჟურული ხის კარები შესრულებულია კ.ბოტკოველის მიერ, ფასადის დეკორი ქვის მჭრელების, ძმები აგლაძეების მიერ ა.კალგინისა და გ.გრინევსკის მოდელებით. (ილუსტრაციები იხ. დანართ 4-ში)

კედლის მხატვრობის დეკორი აღმოსავლურია, ხალიჩისებრი ორნამენტებით გაჯერებული და კოლორიტში დახვეწილი. შენობის ყველა მოხატულობის ავტორია ცნობილი თბილისელი მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ჰ.გრინევსკი, შესრულებულია პეტერბურგელი მხატვრების ტარუსინისა და პრუსეცკის მიერ.

ორსართულიანი სახლი ყოფილი მადათოვის ქუჩაზე, (გიორგი ათონელის 31-ში ამჟამად საცხოვრებელი სახლი) ყოფილი სასტუმრო

“ლონდონი”.პროექტი დამტკიცებულია 1872 წლის 22 მაისს. პროექტის ავტორი თბილისელი არქიტექტორი ოტო იაკობსიმსონია. სახლის პატრონი ალექსანდრე იაკობის ძე ზუბალაშვილი იყო. შენობაში სასტუმრო 1875 წელს გაიხსნა და 1910 იანი წლების დასაწყისამდე იარსება. იმ დროინდელი თბილისის ერთ ერთი საუკეთესო სასტუმრო იყო. სასტუმროში გახსნილი იყო კაზინო, რომლის სტუმარი ილია ჭავჭავაძეც ყოფილა. სადარბაზოს მასშტაბური, ფართო ინტერიერი კარგადაა განათებული შქფარნის მეშვეობით, ნახევრად ხვეული კიბე დინამიკურ სივრცეს ქმნის. კედლები მოხატულია რუსტიკისა და პანელების გამოსახულებით, კიბის უჯრედის უკანა არეები გრაფიკული ორნამენტებით. სერთო ფონზე გამოყოფილია ჩარჩოში ჩასმული რეალისტურად შესრულებული პეიზაჟები, პლაფონზე კი ცის ფრაგმენტი. პეიზაჟებს შორის გამოირჩევა ვედუტა – ქალაქ პირნას ხედი.(ილუსტრაციები იხ.დანართ 26-ში)

მოდერნის პერიოდის მონუმენტურ - დეკორატიული ფერწერის ნიმუშები როგორც საცხოვრებელი სახლების, ისე საზოგადოებრივ შენობებისა მეტყველებს იმდროინდელი მხატვარ-დეკორატორების დახვეწილ გემოვნებასა და შესრულების მაღალ ოსტატობაზე, დღესაც იწვევს მნახველის აღფრთოვანებას. აღსანიშნავია ისიც, რომ რომ სასწრაფოდ საჭიროებს კონსერვაციასა და რესტავრაციას, რათა მომავალ თაობებს არ დაუკარგოთ მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერის უნიკალური ნიმუშები რაც ქმნის თბილისური სახლის/სადარბაზოს განუმეორებელ სახეს.

ავტორს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ნაშრომის მნიშვნელოვანი შედეგია ისიც, რომ შედგენილია მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერის ინტერიერის მქონე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სია მისამართებით და მათი თბილისში განლაგების დისლოკაციის რუქა. ეს მასალა გამოყენებული იქნება როგორც სხვა მკვლევარების, ასევე ტურისტული სააგენტოების მიერ ტურისტული მარშრუტების დადგენის მიზნით.



თბილისში მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერის მქონე ინტერიერის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების განლაგების დისლოკაციის რუკა

თბილისში მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერის მქონე ინტერიერის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების სია მისამართებით

1.	შენობა: XX საუკუნის დასაწყისი აშენების წელი:1890-1892 არქიტექტორი: ა.შიმკევიჩი მისამართი: ვ.მაიაკოვსკის ქ. №1
2.	შენობა: კინოთეატრი აპოლო აშენების წელი: 1909 არქიტექტორი: უცნობია მისამართი: აღმაშენებლის გამზ. №135
3.	შენობა: კინოთეატრი პალასი აშენების წელი:XX საუკუნის დასაწყისი არქიტექტორი: უცნობია მისამართი: აღმაშენებლის გამზ. № 123
4.	შენობა:საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: XIX საუკუნის დასასრული, XX საუკუნის დასაწყისი არქიტექტორი: უცნობია მისამართი: ზ.ჭავჭავაძის № 5
5.	შენობა: საცხოვრებელი სახლი აშენების წელი:XIX საუკუნის ბოლო XX-ის დასაწყისი არქიტექტორი: უცნობია მისამართი: აღმაშენებლის გამზ.№ 93
6.	შენობა: საცხოვრებელი სახლი აშენების წელი:1903 არქიტექტორი: უცნობია მისამართი: აღმაშენებლის გამზ. №36
7.	შენობა: ძმები ზუბალაშვილების სახალხო სახლი (კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური

	დრამატული თეატრი) აშენების წელი: 1909 არქიტექტორი: ს. კრიჩინსკი მისამართი: კ.მარჯანიშვილის ქ. № 8
8.	შენობა: კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოების სახლი (თი-ბი-სი ბანკის სათავო ოფისი) აშენების წელი: 1910 არქიტექტორები: ლუჩანო დე ბლასა და ანჯელო ანდრეოლეტი მისამართი: კ.მარჯანიშვილის ქ. № 7
9.	შენობა: ყოფილი რეალური სასწავლებელი აშენების წელი:მეოცე საუკუნის დასაწყისი არქიტექტორი: მ.ნეპრინცევი მისამართი: უ.ჩხეიძის ქ. № 20
10.	შენობა: საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: XIX საუკუნის დასასრული, XX საუკუნის დასაწყისი არქიტექტორი: უცნობია მისამართი: მ.წინამძღვრიშვილის ქ. № 39
11.	შენობა:საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: XIX საუკუნის დასასრული, XX საუკუნის დასაწყისი არქიტექტორი: უცნობია მისამართი: ქურდიანის ქ. №16
12.	შენობა:საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: XIX საუკუნის დასასრული, XX საუკუნის დასაწყისი არქიტექტორი: უცნობია მისამართი: თაყაიშვილის ქ. № 3-5
13.	შენობა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი

	ყოფილი ქართული გიმნაზია აშენების წელი: 1906 არქიტექტორი: სვიმონ კლდიაშვილი მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზ. №1
14.	შენობა: თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი აშენების წელი:1880, 1896 არქიტექტორი: ვ. შრეტერი მისამართი: რუსთაველის გამზ. № 25
15.	შენობა: შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი აშენების წელი: 1887 არქიტექტორები: კ. ტატიშჩევი და ა. შიმკევიჩი მისამართი: შ. რუსთაველის გამზ. № 17
16.	შენობა: ოფიცერთა სახლი (თბილისის არტისტული წრისათვის ("კრუუჟოკი") აშენების წელი: 1916 არქიტექტორი: დავიდ ჩისლიევი მისამართი: შ. რუსთაველის გამზ. № 16
17.	დიდების ტაძარი , „ცისფერი გალერეა“ (საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეა) აშენების წელი: 1890-1892 არქიტექტორი: ალბერტ ზალცმანი სკუდერი მისამართი: შ.რუსთაველის გამზ. № 11
18.	შენობა: სასტუმრო „მაჟესტიკი“ (სასტუმრო მარიოტი) აშენების წელი:1915 არქიტექტორი: გაბრიელ ტერ-მიქელოვი მისამართი: შ. რუსთაველის გამზ. № 13
19.	შენობა: მეფისნაცვლის სასახლე (ახალგაზრდობის სასახლე, პიონერთა სასახლე) აშენების წელი: **1845-47, რეკონსტრუქცია - 1865-69**

	არქიტექტორი: ი. სემიონოვი (რეკონსტრუქცია - ოტო იაკობ სიმონსონი) მისამართი: შ. რუსთაველის გამზ. № 6
20.	შენობა: ქალაქის საკრებულოს შენობა აშენების წელი: 1878 არქიტექტორი: ა. შტერნი, ა. ოზეროვი მისამართი: თავისუფლების მოედანი № 2
21.	შენობა: თავად ვასილ გაბაშვილის საცხოვრებელი სახლი აშენების წელი:1897 არქიტექტორი: კ. ტატიშჩევი მისამართი: შ. რუსთაველის გამზ. № 54
22.	შენობა: საჯარო ბიბლიოთეკის III კორპუსი აშენების წელი: 1910 არქიტექტორი: მ. ოგაჯანოვი და რ. გოლენიშჩევი მისამართი: ლ.გუდიაშვილის ქ. № 7
23.	შენობა: სათავადაზნაურო ბანკი (საჯარო ბიბლიოთეკის I კორპუსი) აშენების წელი: 1913-1916 არქიტექტორი: ა. კალგინი და მხატვარი გ.გრინევსკი მისამართი: ლ.გუდიაშვილის ქ. № 3
24.	შენობა: სასტუმრო (საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) აშენების წელი: 1835 არქიტექტორი: ჯუზეპე ბერნარდოცი მისამართი: ლ.გუდიაშვილის ქ. № 1
25.	შენობა: უზენაესი სასამართლოს შენობა აშენების წელი: 1894 არქიტექტორი: ა.შიმკევიჩი მისამართი: ძმები ზუბალაშვილების ქ. № 32
26.	შენობა: სამხატვრო აკადემია

	აშენების წელი: 1850-იანი წლები არქიტექტორი: გ.ივანოვი, რეკონსტრუქცია ს.კლდიაშვილი მისამართი: ალ. გრიბოედოვის ქ. № 27
27.	შენობა: იუსტიციის სამინისტროს ყოფილი შენობა აშენების წელი: 1898 არქიტექტორი: კ.ტატიშჩევი მისამართი:რუსთაველის გამზ.№30
28.	შენობა: სახელმწიფო კონსერვატორია აშენების წელი: 1901-1904 არქიტექტორი: ა.შიმკევიჩი მისამართი: ალ. გრიბოედოვის ქ. № 8
29.	შენობა: საცხოვრებელი სახლი აშენების წელი:1913-14 არქიტექტორი:მ.ნეპრინცევი მისამართი: ა.ჭავჭავაძის 1 ჩიხი № 3
30.	შენობა: ნიკოლოზ ბოზარჯანცის საცხოვრებელი სახლი აშენების წელი:1917 არქიტექტორი: მ.ოგაჯანოვი მისამართი: დ. ჭონქაძის ქ. № 12
31.	შენობა: მირაზა-რიზე-ჰანის საცხოვრებელი სახლი აშენების წელი:1889-92 არქიტექტორი: უცნობია მისამართი: დ. ჭონქაძის ქ. № 11
32.	შენობა: აბა მადათოვას საცხოვრებელი სახლი აშენების წელი:1902 არქიტექტორი: მ.ოგაჯანოვი მისამართი: დ. ჭონქაძის ქ. № 4
33.	შენობა: საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: 1914

	არქიტექტორი: მ.ნეპრინცევი მისამართი: პ.ინგოროყვას ქ.№20
34.	შენობა: ეროვნული ბანკი აშენების წელი:1910-იანი წლები არქიტექტორი: მ.ოგანჯანოვი მისამართი: გ. ლეონიძეს ქ. № 3
35.	შენობა: მწერალთა კავშირი აშენების წელი:1903-1905 არქიტექტორი: კარლ ცაარი მისამართი: ი. მაჩაბელის ქ. № 13
36.	შენობა: კალანტაროვის საცხოვრებელი სახლი აშენების წელი:1908 არქიტექტორი: ღ.სარქისიანი მისამართი: მაჩაბლის №17/27
37.	შენობა: საშემოსავლო სახლი აშენების წელი:XX საუკუნის დასაწყისი არქიტექტორი: ლ.სარქისიანი მისამართი: გალაქტიონის ქ. № 3
38.	შენობა: ძმები სეილანოვების საცხოვრებელი სახლი აშენების წელი:1911 არქიტექტორი: ღ.სარქისიანი მისამართი: გალაქტიონის ქ. № 18
39.	შენობა: 50-ე საჯარო სკოლა აშენების წელი:XIX საუკუნის ბოლო არქიტექტორი: უცნობია მისამართი: გ. ქიქოძეს ქ. № 4
40.	შენობა: საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: XIX საუკუნის დასასრული, XX საუკუნის დასაწყისი

	არქიტექტორი: უცნობია მისამართი: შ.დადიანის ქ. № 18
41.	შენობა: ტატიშჩევის საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: XIX საუკუნის დასასრული არქიტექტორი: კ.ტატიშჩევი მისამართი: ლ.ასათიანის ქ. № 18
42.	შენობა: 43-ე საჯარო სკოლა აშენების წელი:1910-11 არქიტექტორი: ღ სარქისიანი მისამართი: ლ.ასათიანის ქ. № 50
43.	შენობა: საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: XIX საუკუნის დასასრული, XX საუკუნის დასაწყისი არქიტექტორი: უცნობია მისამართი: ლ.ასათიანის ქ.№58
44.	შენობა: მანთაშოვის საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: XX საუკუნის დასაწყისი არქიტექტორი: ღ.სარქისიანი მისამართი: მ.ლერმონტოვის და ქიქოძის კუთხე
45.	შენობა: ვაჭარ მანთაშევის სავაჭრო რიგი აშენების წელი:1903 არქიტექტორი:ღ. სარქისიანი, მისამართი: შარდენის ქუჩა
46.	შენობა: თამამშევის ქარვასლის თეატრი აშენების წელი:1851, 1874 არქიტექტორი: სკუდერი მისამართი: თავისუფლების მოედანი
47.	შენობა: სამხედრო ტაძარი აშენების წელი:1903

	არქიტექტორი:რ.გედიკე, დ.გრიმი მისამართი: რუსთაველის გამზ. №6
48.	შენობა:საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: XIX საუკუნის დასასრული, XX საუკუნის დასაწყისი არქიტექტორი: უცნობია მისამართი: გალაქტიონის №15
49.	შენობა:საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: XX საუკუნის დასაწყისი არქიტექტორი: უცნობია მისამართი: ვ. სარაჯიშვილის №3
50.	შენობა:საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: XIX საუკუნის დასასრული არქიტექტორი: უცნობია მისამართი: ბ. ახოსპირელის ჩიხი№ ¾
51.	შენობა: ყოფილი სასტუმრო ლონდონი აშენების წელი:1872-75 არქიტექტორი:ოტო იაკობსიმსონი მისამართი: გ.ათონელის ქ. № 31
52.	შენობა: სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: 1880-1890 არქიტექტორი: უცნობია მისამართი: თამარ აბაკელიას ქ.№ 5
53.	შენობა: სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: 1897წ არქიტექტორი: ი.გარიცილოვი მისამართი: ლადო ასათიანის ქ.№13
54.	შენობა: სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი აშენების წელი: 1910

	არქიტექტორი: უცნობია მისამართი: კონსტანტინე მაყაშვილის ქ.№18

ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები

1. საცხოვრებლის ძველი ტიპის შენობების მხოლოდ მცირე ნაწილია შენარჩუნებული, ამიტომ მათი ყოველმხრივი შესწავლა წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას, რათა მოხდეს არსებული შენობების მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერის დაფიქსირება, კონსერვაცია.
2. ისტორიული შენობების და მათი შიდა საზოგადოებრივი სივრცეების შესწავლა და ანალიზი უნდა ხდებოდეს მათი ადგილმდებარეობის, ისტორიული უბნების არეალის გათვალისწინებით.
3. სადარბაზო, როგორც არქიტექტურული ელემენტი მე-19 საუკუნის ბოლოს, ახალი ტიპის "ფეშენებელურ" სახლებთან ერთად ჩნდება, როდესაც არისტოკრატია სულ უფრო ევროპული ყოფის სტანდარტებისკენ მიისწრაფის და წინანდელი სახლების მასშტაბით აღარ კმაყოფილდება.
4. უხვად მორთულმა სადარბაზო-ვესტიბიულმა განსაკუთრებით პარადული, საზეიმო იერი შესძინა თბილისურ სახლს და ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა.
5. საჭიროა ისტორიული თბილისის უბნებში, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აგებული შენობების აღდგენისათვის, რესტავრატორებს მიეცეს მეცნერულად დასაბუტებული რეკომენდაციები კონკრეტული შენობების ინტერიერების მონუმენტურ-დეკორატიული ფერწერის შესანარჩუნებლად.
6. ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიქმნა სადარბაზოიანი სახლების სია მისამართებით და თბილისში მათი დისლოკაციის რუკა, რომელზეც დატანილია როგორც საცხოვრებელი, ასევე საზოგადოებრივი შენობები. ეს მასალა დაეხმარება სხვა მკვლევარებს, ასევე ტურისტულ სააგენტოებს ტურისტული მარშრუტების შედგენის დროს.

ლიტერატურა

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წწ,თბილისი,“საბჭოთა საქართველო” 1960წ ტI, გვ160

2. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917წწ, თბილისი,“საბჭოთა საქართველო”1963წ ტII, გვ198

3. თ. ბერიძე, და აღმოცენდა თბილისი, თბილისი, “ნაკადული”1977წ. გვ.228

4. თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, 1985წ გვ.193

5. მ.ბერძენიშვილი, თბილისის გარეუბნების სახე მე-18 საუკუნეში,თბილისი, “მეცნიერება” 1984წ. გვ/91

6. დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია. თბილისი, “საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა”, 1952წ. გვ.294

7. თ. გერსამია, ძველი თბილისი, თბილისი. “არტანუჯი” 1989წ გვ.80

8. ი. გრიშაშვილი ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბილისი “სახელგამი” 1927წ. გვ.256

9. შ.კაკურია, ქ.თბილისის მოსახლეობა 1803-1970წწ, ”მეცნიერება” თბილისი,1979წ. გვ.214

10. თ. კვირკველია, ძველი თბილისი, თბილისი,1985წ. გვ.24

11. კვირკველია, ძველი თბილისის ქუჩებსა და ქუჩაბანდებში. 1989წ.“საბჭოთა საქართველო”, გვ.56.

12. 12. თ. კვირკველია, ძველთბილისური დასახელებები, “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1985წ გვ.50

13. მ.კარბელაშვილი, ს.კინწურაშვილი, ნ.ჯანბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, “საბჭოთა საქართველო” თბილისი, 1958, გვ.188

14. ც.კილაძე, მ.მეძმარიაშვილი, თ.გერსამია თბილისური სადარბაზოები, თბილისი, შპს ‘ბიზარტი” 2012წ, გვ.168

15. http://www.modernism.ge/index.php?action=page&p_id=363&lang=geo

ბ.კორნეევი ,,არგონავტები ნავი,, ჟურნალი ,,კურანტი,, 1919. გადამოწმებული იქნა 20 მაისს 2015წ

16. მ. მანია, ევროპელი არქიტექტორები თბილისში. თბილისი, 2006 წ.გვ.182

17. შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ნ. დუმბაძე, ა. სურგურაძე, თბილისის ისტორია. თბილისი, "საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა", 1958წ. გვ.560

18. მ.პოლიევკტოვი, გ.ნათაძე, ძველი ტფილისი, ტფილისი, "სახელგამი"1930, გვ.99.

19. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში; თბილისი-1975წ, გვ 322

20. ჯ. სამუშია, თბილისის ისტორია, თბილისი, "პალიტრა" 2014წ გვ.20

21. ნ. სუმბაძე, თბილისური ჰერბარიუმი თბილისი, "არტანუჯი" 2013წ გვ.25

22. ნ. თათარაშვილი, მოდერნი თბილისში გზამკვლევი რუკა და მარშრუტითბილისი, პრემიერვიდეოეპრეს 83 2008წ გვ.200

23. თ.ტაბატაძე ,,არტისტული კაფე ქიმერიონი და მისი მოხატულობა. ტიფლისი, 1919 წელი", თსსა, 2011. გვ.240

24. დ.ხოშტარია, თბილისის ძველი სასტუმროები თბილისი, "ხელოვნება" 2011წ გვ.28

25. http://www.georgianart.ge/index.php?option=com_content&view=article&id=&Ite mid=&ed=7 მ.ჩიხრაძე - თბილისი 1910-1921 წლებში (კულტურული ცხოვრების ისტორიული მიმოხილვა) გადამოწმებული იქნა 20.05. 2015წ

26. ნ. ჯაში, სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება, თბილისი, "ხელოვნება" 1983წ გვ.97

27. Архитектура Советской Латвии, изд.Стройиздат М. 1973, стр.105

28. Т.Р.Абдулрагимова. Декоративные особенности символов и знаков в экстериерах зданий баку XIX и начала XX веков, Тбилиси,Труды ГТУ 2012г №2(484) стр.49-53

29. В.Беридзе, З.Курдиани, Л.Рчеулишвили, Тбилиси, М. Гос.издательство архитектуры и градостроительстваю. 1957 ст.92

30. Дм. Баградзе, Н.Бердзенов Тифлис в историческом и этнографическом отношениях.Санкт-Петербург, Г.Берештам 1870г стр 153

31. Габриель Фар-Бекер Исскуство модерна изд. АСТМ М.2000, стр.425

32. В.Головин, Головинский проспект, «Сабчота Сакартвело» Тб.2009, стр.25

33. Горюнов В.С.Тублин М.П.Архитектура эпохи модерна, Стройиздат. М.1992, стр.360

34. Гутнов А.Э. Эволуция градостроительства – М.Стройиздат, 1985, стр.256

35. К.Джавришвили, Тбилиси, краткий путеводитель «Сабчота Сакартвело» Тбилиси, 1961г. Стр.106

36. Н.Джанберидзе, М Карбелашвили, С.Кинцурашвили Архитектура Тбилиси «Сабчота Сакартвело» Тбилиси, 1967г. Стр.175

37. Н.Джанберидзе, К.Мачабели, Тбилиси-Мцхета, изд.Искусство, М. 1981, стр.254.

38. Н.Джанберидзе, Архитектурные памятники Грузии, изд. Стройиздат. М.1966, стр.376

39. И.Дзуцова, Художественный облик старого Тбилиси изд. «Сабчота Сакартвело»Тбилиси, 1975, стр.102

40. Иоселиани П. Описание древностей города Тифлиса 1866 Типография Гл.упр.Нам. Кавказа стр.315

41. Ильина М.И. Архитектура Тбилиси, М. Изд.Акад.архитектуры СССР, 1940, стр. 123

42. Т.Квирквелия, Тбилиси изд.»Сабчота сакартвело», 1982, стр.192

43. Т.Квирквелия, Старый Тбилиси. Тбилиси. »Сабчота сакартвело» 1983, стр.25

44. Т.Квирквелия, Архитектура Грузии. Тб »Сабчота сакартвело» 1985, стр.185

45. С.Кинцурашвили, Маршруты старого Тбилиси, Тбилиси., »Сабчота сакартвело» 1966, стр.25

46. Я.Крастиныш Стиль модерн в архитектуре Риги, М. «Стройиздат»1983, стр.185

47. М.Н. Микаилова Стилевой характер архитектуры Баку в XIX начале XX века Тбилиси,Труды ГТУ 2013г №2(488) стр. 93-96

48. М.Н.Микаилова. Архитектура баку Баку XIX начала XX века – органический сплав местных и европейских стилей, Тбилиси,Труды ГТУ 2012г №2(484) стр.45-48

49. Путешествия Шардена в Закавказие в 1672-1673гг, 1902, стр.301

50. Полиевктов М. Старый Тбилиси в известиях современников, Тб. «Госиздат», 1929г стр.102

51. Харди Уильям Путеводитель по стилью Ар Нуво, изд.Радуга, М.2008, стр.128

52. Г.Хуцишвили. Тбилиси через века и годы. Тбилиси,»Сабчота сакартвело» 1983г. стр. 199.

53. Г.Хуцишвили. Г.Тбилиси (Малый туристический путеводитель) Тбилиси, »Сабчота сакартвело» 1978, стр.154

54. И.Цицишвили, Рекрнструкция регенерация старых районов городов Грузии, Тбилиси, »Сабчота сакартвело» 1988, стр.42

55. Г.Н.Чубинишвили, Н.П.Северов, Пути грузинской архитектуры Тбилиси, Техника да шрома, 1936 стр.179

56. М.Мания Градостроительно-пространственная структура исторического Тбилиси, Диссертация на соискание ученой степени кандидата искусствоведения, Тбилиси, На правах рукописи, 1989г стр. 205.

57. В.Цинцадзе. Архитектура старого города. Жилые дома I половины XIX века Тб. Изд.АНТСА. 1958г. стр.153

58. E.E. Japaridze, Tbilisi Entrance Halls, 1870-1920, Tbilisi, ”xelovneba” 1997,p.171

59. Mania Maia, Architectural Walks of old Tbilisi, Tbilisi Worl dbank 2008, p.183

60. A.Walther Bernardo Bellotto Genannt Cfnaletto: Ein Venezianer malte Dresden.Pirna und den Konigstein – Dresden: Veri.d.Kunst.2004, p.192

61. W.Brunner, Verlichene Idyllen, Wandlilder im Berliner Miethaus der Jahrhunder wende, Berlin, 1996, p163

62. http://tbilisiguide.ge/wg/routes/route3.php გადამოწმებული იქნა 20.05. 2015წ

ილუსტრაციები

იოსეფ მარია ოლბრიხი - სეცესიონის სახლი ვენაში (1897-1898).

იოსეფ ჰოფმანი - ბრიუსელის სასახლე სტოკლში

ჩარლზ რენე მაკინტოში - ხელოვნების სკოლის შენობა გლაზგოში



გუსტავ კლიმტი

ანტონიო გაუდი - სახლი კასა ბატლიო

ანტონიო გაუდი- სახლი მილა

ანტონიო გაუდი- საგრადა ფამილია

ესპანური წარმოშობის იტალიელი მოდელიერი მარიანო ფორტუნი ი მადრაცო

გერმანელი ილუსტრატორი ოტო ეკმანი,

ჯუზეპე სომარუგა

კარლო ბუგატი

ემილ გალეს ნამუშევრები

კარლ ფაბერჟეს ნამუშევრები

რენე ლალიკის ნაკეთობები

ა. მუხა - ბიუსტი (1900წ)



ა. მუხა ბრასლეტი და ბეჭედი

ა. მუხა - ბიზანტიელის თავი: ქერა ქალბატონი

ა. მუხა - მადონა ლილიებით (1905)

ცენტრალური სადგურის შენობა პრაღაში

დანართი 2

რიგა

რიგა, იუგენდსტილით აგებული შენობები

დანართი 3.

ბაქო, რკინიგზის სადგურის შენობა

ტიფლისის ბანკი

ჩრდილოეთის ბანკი

აღა მუსა ნაგიევის საცხოვრებელი სახლები „28 მაისის“ ქუჩაზე

თოჯინების თეატრის შენობა (1910წ)

აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონია (1910-12წწ)

კ.გაჯიევის სახლი(პლიშკო 1912)

ლუთერანული კირხეს შენობა (1895-1897)

ისმაილის სასახლე

ბაქო, მუხტაროვის სახლი

დანართი 4.

თბილისი, ეროვნული ბანკის შენობა

მარჯანიშვილის თეატრი, (ზუბალაშვილების სახალხო სახლი)

თი-ბი-სი ბანკის შენობა (ყოფილი უნივერმაღი, 1913).



საჯარო ბიბლიოთეკა

დანართი 5

ანტონიანსის ქ.№8 ანტონიანსის ქ.№10

რიგის სადარბაზოები

Баку-Это
Онлайн журнал

Баку-Это
Онлайн журнал

KATV 1



ბაქოს სადარბაზოები

დანართი 6

ყაზბეგის ქ.

ქურდიანის ქ.

ზ. ჭავჭავაძის ქ.5



დანართი 7

თანამედროვე შენობების სადარბაზოები



სანქტ–პეტერბურგი. საცხოვრებელი სახლი (ზოოლოგიური შეს. 2–4)

სანქტ-პეტერბურგი. საცხოვრებელი სახლი «Stella Maris»

საცხოვრებელი სახლის სადარბაზო (ინგლისი)

საცხოვრებელი სახლის სადარბაზო (ინგლისი)

საცხოვრებელი სახლის სადარბაზო (ჩეხეთი)

ასტრახანი. რვასართულიანი სახლის სადარბაზო მხატვარი ბორის ჩერნიჩენკო

პორტუგალია, ქ.ფუნშალი

თანამედროვე შენობების სადარბაზოები

დანართი 8

ეკტორ გიმარის მიერ გაფორმებული პარიზის მეტროს სადგურები და შენობა

მეფისნაცვლის სასახლე (1858-1859)

ტფილისის ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი (1870-90)

ქალაქის საკრებულოს შენობა (1872წ.)

სახაზინო თეატრი (1880-1896), ახლანდელი ოპერისა და ბალეტის თეატრი

დიდების ტაძარი (1892წ).

არტისტული საზოგადოების თეატრი (1901, არქიტ. კ. ტატიშჩევი, ა. შიმკევიჩი; ახლანდელი შ. რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრი)

იუსტიციის სამინისტროს ყოფილი შენობა (1898)

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1901-04)

უზენაესი სასამართლოს შენობა(1894წ)

ზუბალაშვილის სასტუმრო (1835წ) ამჟამად შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

მ. ნეპრინცევი

რეალური სასწავლებლის ყოფილი შენობა უ.ჩხეიძის 20

საცხოვრებელი სახლი , ჭავჭავაძის 1 ჩიხი №3 (1913-14წ) მ.ნეპრინცევი

საცხოვრებელი სახლი ინგოროყვას 20 (1914წ) მ. ნეპრინცევი

კავკასიის სააბრეშუმო სადგური - ა. შიმკევიჩი







კინოთეატრი “აპოლო” თბილისში

ქართული გიმნაზია (ახლანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი)

მწერალთა კავშირის - ყოფილი დავით სარაჯიშვილის სახლი (1903-1905წ)



კ.ტატიშჩევის სახლი (1897წ არქიტექტოტი კ.ტატიშჩევი სკულპტორი ნ.ალიევი)

კალანტაროვის სახლი, მაჩაბლის 17/27, არქიტ. ღ.სარქისიანი

პირველი სადარბაზო









მეორე სადარბაზო



ლ.ასათიანის 58



დანიელ ჭონქაძის 11მირაზა-რიზე-ჰანის ალმასის სასახლე

დანიელ ჭონქაძის 12, თამბაქოს მწარმოებლის, პირველი გილდიის ვაჭრის ნიკოლოზ ბოზარჯანცის სახლი არქიტექტორი მ.ოგაჯანოვი (1917წ)

ჭონქაძის 4 - აბა მადათოვას სახლი არქიტექტორი მ.ოგაჯანოვი



ჭონქაძის 4 - აბა მადათოვას სახლი არქიტექტორი მ.ოგაჯანოვი

43-ე საჯარო სკოლა ლ.ასათიანის ქუჩაზე

ქიქოძის №4. 50-ე საჯარო სკოლა.

მანთაშევის სავაჭრო რიგი

შალვა დადიანის 18

გალაკტიონ ტაბიძის №18. ძმები სეილანოვების სახლი, არქიტ.ღ. სარქისიანი (1911)













დანართი 16

გ. ტაბიძის ქუჩა №15

თამარ აბაკელიას №5





ლადო ასათიანის ქ.№13.



კონსტანტინე მაყაშვილის ქ.№18

დანართი 18

დავით აღმაშენებლის №36, ერასტი ჭავჭანიძის სახლი













E4



დანართი 19

დავით აღმაშენებლის №93 საცხოვრებელი სახლი












]

დანართი 20

სარაჯიშვილის ქ.№3

ბ. ახოსპირელის ჩიხი №3/7

წინამძღვრიშვილის ქ. №39

1914

ე.თაყაიშვილის ქ. №3,5

ბათუმი, გორგასლისქ.№ 56

ქიმერიონის მხატვრობა

ზალცმანის მიერ მოხატული ჭერი

ზალცმანის მხტვრობა რესტორან „ანონასთვის“

ს.სუდეიკინი, ესკიზი „ქიმერიონისათვის“

მასხარები კაფეს სტუმარი ურჩხული

ნიმფა

ქალი

ნატურმორტი

www.georgianart.ge

www.georgianart.ge

www.georgianart.ge

დ.კაკაბაძე “აივანზე”

დანართი 24

კინოთეატრი პალასი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია







დანართი 26

სასტუმრო “ლონდონი”(გიორგი ათონელის №31